

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ელექტრონული გამჭვირვალობა საქართველოში

2010

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF
FREEDOM OF INFORMATION



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

Institute for Development of Freedom of Information

**საქართველოს საჯარო დაწესებულებების
საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების
მონიტორინგი**

(2010 წლის აგვისტო-დეკემბერი)

თბილისი

2011

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს „**ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის**“ მიერ განხორციელებული პროექტის ანგარიშს - სამინისტროებისა და მათ მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური ვებ-გვერდების სტრუქტურული და მინარსობრივი შიგთავსის ანალიზის შესახებ.

ნაშრომში გამოქვეყნებულია ინსტიტუტის ექსპერტების სტატიები, რომლებიც ეხება ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული დემოკრატიის განვითარების როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს მაგალითებს, გაანალიზებულია საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, დადგენილია საქართველოს ოფიციალური ვებ-სივრცის ინტერნეტ გამჭვირვალობის ხარისხი და ასევე, მისი განვითარების ტენდენციები, მოცემულია სტრუქტურულ-სამართლებრივი ანალიზი. ნაშრომში წარმოდგენილია კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული ინსტიტუტის ექსპერტთა რეკომენდაციები საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების განვითარების მსოფლიო სტანდარტების მისაღწევად.

კვლევა განხორციელდა
„საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების მონიტორინგი“ - პროექტის ფარგლებში.

ფინანსური მხარდაჭერა:

ღია საზოგადოების ინსტიტუტი (Open Society Institute)



ეროვნული უსაფრთხოების არქივი (The National Security Archive)



სტატიების ავტორები:
ლევან ავალიშვილი, კონსტანტინე ჯანჭღავა

რედაქტორები:
ლევან ავალიშვილი, გიორგი კლდიაშვილი

პროექტზე მუშაობდნენ:
დავით დოლიძე, ნატა კობახიძე, მარიკა კეკეყმაძე

ბიულეტენში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ და „ეროვნული უსაფრთხოების არქივის“ პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი სტატიების შინაარსზე.

აგრძალულია ბიულეტენში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის წერილობით ნებართვის გარეშე.

ISBN 978-9941-0-3203-5

წინასიტყვაობა

მსოფლიოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ინტერნეტი საზოგადოებისთვის იქცა ხელისუფლების ეფექტური კონტროლის მნიშვნელოვან მექანიზმად. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში სახელმწიფო ორგანოების ოფიციალური ვებ-რესურსები იქცა მოსახლეობისთვის ელექტრონული (ონლაინ) მომსახურების მიღების საუკეთესო საშუალებად, ისევე, როგორც საჯარო სექტორის ფინანსური მონიტორინგის ეფექტურ ინსტრუმენტად. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე, დასავლეთის მონინავე დემოკრატიის ქვეყნებმა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ფინანსური ხარჯებისა და ანტიკრიზისული გეგმების პროაქტიულად გამოქვეყნების შედეგად გააუმჯობესეს კომუნიკაცია საკუთარ მოსახლეობასთან და აღადგინეს სახელმწიფო ფინანსურ ინსტიტუტებისადმი გაჩენილი მოსახლეობის უნდობლობა. დასავლეთის მთავრობების ინიციატივამ, რომელიც ორიენტირებული იყო მიმდინარე პროცესების შესახებ საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირებაზე, შედეგად მიიღო მოსახლეობის მხრიდან ხელისუფლებისადმი საგრძნობლად გაზრდილი ნდობის მანდატი.

სახელმწიფო ორგანოს საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ემსახურება საზოგადოების ინტერესებს და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობაზე ორიენტირებულად, როდესაც ის ყოველმხრივ გამჭვირვალეს და საჯაროს ხდის თავის საქმიანობას. როგორც დემოკრატიული სახელმწიფოების მაგალითმა ცხადყო, ხელისუფლების ავტორიტეტი და მისდამი მოსახლეობის ნდობის ხარისხი პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში არსებულ გადანაცვებების მიღებისა და რეალიზაციის დემოკრატიულ პროცესთან, ზოგადად გამჭვირვალე „თამაშის წესებთან“, არსებულ პროცესებში საზოგადოების ყველა ფენის მონაწილეობასთან. თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, ინტერნეტ სივრცის განვითარების ტემპები და მოსახლეობის მიერ უახლესი ტექნიკური საშუალებების ფართოდ გამოყენება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ საქართველოშიც, დასავლეთის ქვეყნების მსგავსად, ჩნდება საზოგადოების მხრიდან დაკვეთა, რომ ქვეყანაში განვითარდეს როგორც ელექტრონული მმართველობა, ისე ელექტრონული დემოკრატია.

2009 წელს, მაშინ ჯერ კიდევ ახლადშექმნილმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ – განახორციელა პროექტი „საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების (სამინისტროების) ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგი“. პროექტის ფინანსური მარდაშტერი იყო ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტთან არსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთგული უსაფრთხოების არქივი“. პროექტის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს სამინისტროების ოფიციალური ვებ-რესურსების მონიტორინგი, გაანალიზდა ვებ-გვერდების სტრუქტურული და შინაარსობრივი შიგთავსი. გამოვლინდა საქართველოს ოფიციალური ვებ-სივრცის არსებული სურათი, ძირითადი ნაკლოვანებები და განვითარების ტენდენციები. ამასთან ერთად, შედგა საქართველოს სამინისტროების ინტერნეტ-გამჭვირვალობის პირველი რეიტინგი.

ფონდ „ღია საზოგადოების ინსტიტუტის“ და „ეროვნული უსაფრთხოების არქივის“ ფინანსური მხარდაჭერით „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა“ 2010 წელს განახორციელა ანალოგიური მინაარსის პროექტი - „საჯარო დანესებულებების საინფორმაციო რესურსების მონიტორინგი“. ამჯერად კვლევის ობიექტებად შერჩეული იქნენ სამინისტროებისა და მათ ფარგლებში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური ვებ-გვერდები. საერთო ჯამში შეფასდა 48 საჯარო დანესებულება.

ნაშრომში წარმოდგენილია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ ექსპერტების სტატიები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:

- ელექტრონული მმართველობის და ელექტრონული დემოკრატიის განვითარების საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო;
- პროექტის სამიზნე ობიექტების შერჩევის სამართლებრივი დასაბუთება;
- მონიტორინგის მეთოდოლოგია და შეფასების კრიტერიუმების განახლებული ცხრილი;
- კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და ზოგადი ტენდენციების მიმოხილვა;
- მონიტორინგის შედეგების სტატისტიკური მონაცემები.

საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა ზრდის ტემპები და მთავრობის მიერ შეთავაზებული ონლაინ სერვისები უახლოეს მომავალში სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საჯარო ფუნქციას შესძენს და ვებ-სივრცეს საჯარო ინფორმაციის მიღების ხელმისაწვდომ საშუალებად აქცევს. ყოველივე ეს კი შეუწყობს ხელს საქართველოში ელ-გამჭვირვალობის ინსტიტუციურ განვითარებას და ქვეყანაში ელექტრონული დემოკრატიის დამკვიდრებას.

ამავე დროს ვფიქრობთ, რომ ინსტიტუტის საქმიანობა, გარკვეულწილად, ხელს შეუწყობს საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული დემოკრატიის აღიარებული პრინციპების დამკვიდრებას. აღნიშნული პროცესების განვითარება პირდაპირ კავშირშია საჯარო სექტორის კეთილ ნებასთან და მეტწილად დამოკიდებულია მათი მხრიდან არასამთავრობო და ექსპერტულ რესურსებთან თანამშრომლობის სურვილზე. ვიმედოვნებთ, რომ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ საქმიანობისადმი საჯარო დანესებულებების მიდგომა იქნება ისეთივე პოზიტიური და თანამშრომლობაზე ორიენტირებული, როგორც იყო წინამდებარე პროექტის განხორციელების პროცესში. ინსტიტუტის სახელით მადლობას ვუცხადებთ ყველა საჯარო დანესებულებას, რომლებმაც სრულად ან ნაწილობრივ გაითვალისწინა ინსტიტუტის მიერ მიწოდებული რეკომენდაციები და გამოთქვა ჩვენთან სამომავლო თანამშრომლობის სურვილი.

გიორგი კლდიაშვილი
პროექტის დირექტრი

ლევან ავალიშვილი
პროექტის კოორდინატორი

თავი I - ელექტრონული მმართველობა და ელექტრონული გამჭვირვალობა - საერთაშორისო ტენდენციები და საქართველო	
ელექტრონული მმართველობიდან - ელექტრონულ დემოკრატიამდე	9
გამჭვირვალე ელ-მმართველობა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე	14
ელექტრონული მმართველობის განვითარების გლობალური ტენდენციები	21
ელ-მმართველობის და ელ-გამჭვირვალეობის განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში -	32
თავი II - საქართველოში ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონულ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის მოკლე მიმოხილვა	
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი	41
„სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №9	43
„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი.	44
„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი	45
„საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება №4.	46
„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის ახლებური რედაქცია	46
„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება №225	47
„ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობის სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ დადგენილება №280	47
უკანასკნელ წლებში შემოღებული ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალეობის სამართლებრივი რეგულირების სხვა კონკრეტული მაგალითები.	48
თავი III - მონიტორინგის სამიზნე ობიექტები	
საჯარო დაწესებულებები	57
სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოები	61
▪ სამინისტროები	61
▪ სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებები	69
▪ საჯარო სამართლის იურიდიული პირები	73
▪ დამოუკიდებელი ეროვნული მარგულირებელი ორგანოები	80
სხვა საჯარო დაწესებულებები	84
თავი IV - მონიტორინგის მეთოდოლოგია და შეფასების კრიტერიუმები	
კვლევის (მონიტორინგის) მეთოდოლოგია და შეფასების კრიტერიუმები	87
მონიტორინგის განხორციელების გზები	90
საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალეობის შეფასების პარამეტრები	94
თავი V - მონიტორინგის შედეგები, გამოვლენილი პრობლემები და ზოგადი ტენდენციები	
კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ზოგადი ტენდენციები თემატური ბლოკების მიხედვით	
▪ თემატური ბლოკი 1 - ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ	114
▪ თემატური ბლოკი 2 - საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა	117
▪ თემატური ბლოკი 3 - მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ	121
▪ თემატური ბლოკი 4 - ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები	124
▪ თემატური ბლოკი 5 - სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმატიული აქტების საქმიანობა	128
▪ თემატური ბლოკი 6 - საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას	132
▪ თემატური ბლოკი 7 - საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები	136
▪ თემატური ბლოკი 8 - საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა	139
▪ თემატური ბლოკი 9 - საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)	141
▪ თემატური ბლოკი 10 - ინფორმაციის მართივად აღქმის კრიტერიუმები	144
▪ თემატური ბლოკი 11 - დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები	146
საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების გამჭვირვალეობის სტატისტიკა საქართველოში	149

თავი I

ელ-მმართველობა და
ელ-გამჭვირვალობა – საერთაშორისო
ტენდენციები და საქართველო



იუნესკოს განსაზღვრებით (www.unesco.org) – ელექტრონული მმართველობა გულისხმობს საჯარო სექტორის მხრიდან ინფორმაციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მომსახურებისა და ინფორმაციის მიწოდების გაუმჯობესებისათვის, გადანყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის მხარდასაჭერად, ასევე, როგორც ხელისუფლების უფრო ანგარიშვალდებულებული, გამჭვირვალე და ეფექტური ფუნქციონირებისათვის. ელ-მმართველობა ხელს უწყობს დებატების, ლიდერების, პოლიტიკის და ინვესტიციების, აგრეთვე განათლებაზე ხელმისაწვდომობის, მოქალაქეთა აზრების გაზიარების, ინფორმაციის მიწოდებისა და სერვისების ახალი ფორმების დანერგვას. ელექტრონული მმართველობის კონცეფცია უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ელექტრონული მთავრობა, ვინაიდან მას შეუძლია შეიტანოს ცვლილებები მოქალაქეებისა და ხელისუფლების ურთიერთკავშირში და ურთიერთქმედებაში. ელ-მმართველობას შეუძლია დაამკვიდროს უფლებებისა და ვალდებულებების მხრივ მოქალაქეობის ცნების ახალი მოდელი. მისი მიზანია ჩართოს მოქალაქე გადანყვეტილების მიღების პროცესში, აღჭურვოს იგი რეალური ძალაუფლებით, გაზარდოს მისი, როგორც საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილის შესაძლებლობები.

ელექტრონული მმართველობა მსოფლიო საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ის 21-ე საუკუნის ინფორმაციული საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. დღესდღეობით არსებობს ელექტრონული მმართველობის რამდენიმე დეფინიცია: ციფრული მმართველობა, ონლაინ მმართველობა, ინტერნეტ მმართველობა და სხვა. რა ტერმინითაც არ უნდა აღვნიშნოთ სახელმწიფო მმართველობის ეს ახალი და ნოვატორული საშუალება, ფაქტია, რომ გლობალური მასშტაბით ის აქტიურად იმკვიდრებს ადგილს, როგორც სახელმწიფო ადმინისტრირების მნიშვნელოვანი მექანიზმი. აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის პრაქტიკული დანერგვა და განვითარება ოთხი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება:

- **ელ-მმართველობა მოქალაქეებისათვის - G2C (Government-to-Citizen);**
- **ელ-მმართველობა ბიზნესისთვის - G2B (Government-to-Business);**
- **ელ-მმართველობა სახელმწიფო ორგანოებისთვის - G2G (Government-to-Government);**
- **ელ-მმართველობა საჯარო მოხელეებისათვის - G2E (Government-to-Employees).**

ელ-მმართველობის განვითარების ჩამოთვლილი მიმართულებები საკმაოდ ბევრ ქვე-ელემენტს მოიცავს: საჯარო ინფორმაციის ონლაინ გამოქვეყნება, საზოგადოებრივი გამოკითხვები, აქტიური ორმხრივი ინტერაქტივი სახელმწიფო სტრუქტურებსა და მომხმარებლებს შორის, სხვადასხვა ონლაინ სერვისების არსებობა, ხმის მიცემის ელექტრონული ფორმატი და სხვა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ არსებობს ელექტრონული მმართველობა, რომელიც არ ეფუძნება ინტერნეტ მოხმარებას, ანუ ისეთი ელექტრონული საშუალებები და სერვისები როგორებიცაა: ტექსტური გზავნილები, ბიომეტრიული პასპორტები და პირადობის მოწმობები, სატელეფონო სერვისები და სხვა.

ექსპერტები საერთაშორისო პრაქტიკაში ელექტრონული მმართველობის დანერგვის რამდენიმე სტადიას განასხვავებენ:

- **პირველი სტადია** – საჯარო დანებსებულებები ითვისებენ ინტერნეტს, იქმნება მთავრობის სხვადასხვა სტრუქტურის ვებ-გვერდები, თუმცა ისინი უფრო ზოგადი ინფორმაციის შემცველები არიან;
- **მეორე სტადია** – ვებ-გვერდები უფრო მეტ შინაარსს იძენენ: ჩნდება ახალი ამბები, სამართლებრივი დოკუმენტები და ოფიციალური პუბლიკაციები, აგრეთვე შესაძლებელია ვებ-გვერდზე ძიების ჩატარება, ელექტრონული ფოსტის გაგზავნა;
- **მესამე სტადია** – ვებ-გვერდების ინტერაქტიულობის დონე მაღლდება. იქმნება სამთავრობო პორტალები, სადაც მომხმარებელთა კონკრეტული ჯგუფებისთვის საინტერესო ინფორმაცია თავსდება. შესაძლებელია სხვადასხვა ფორმებისა და ბლანკების ჩამოტვირთვა, აუთენტიფიკაციის მექანიზმების დანერგვა;
- **მეოთხე სტადია** – მომხმარებელს ინტერნეტის მეშვეობით ურთიერთობის საშუალება აქვს. ინტერნეტის დახმარებით მოქალაქეებს შეუძლიათ ხმა მისცენ არჩევნებში და რეფერენდუმებში, მიიღონ სხვადასხვა დოკუმენტი: პასპორტი, მართვის მოწმობა, ვიზა, ლიცენზია და ა.შ. ამავე ეტაპზე შესაძლებელია ინტერნეტის გამოყენებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა და ა.შ.;
- **მეხუთე სტადია** – მთავრობას ყველა სახის მომსახურების განევა შეუძლია ინტერნეტის მეშვეობით.¹

მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ელ-მმართველობის ხუთივე ეს სტადია საკმაოდ კარგად არის განვითარებული. საქართველოშიც შეინიშნება რიგი დადებითი ძვრები, თუმცა ამის შესახებ ჩვენი კვლევის მეორე ნაწილში გვექნება საუბარი. ამჯერად კი გვინდა შევჩერდეთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა ელექტრონული გამჭვირვალობა, რადგანაც განვითარებული ელექტრონული მმართველობა თავისთავად არ გულისხმობს ელექტრონული გამჭვირვალობის უცილობელ არსებობას, თუმცა მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, **თუ ელ-მმართველობა ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ხელს უწყობს სახელმწიფო ადმინისტრირების ხარისხის გაუმჯობესებას და მისი ეფექტურობის ამაღლებას, ელ-გამჭვირვალობა სახელმწიფო ანგარიშვალდებულებისა და ანგარიშგების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თანამედროვე საინფორმაციო ხანაში.**

1 „საქართველოში ინფორმაციის გამჭვირვალობის სამართლებრივი ბაზის მიმოხილვა“ - ვია კიკნაძე, „ელექტრონული გამჭვირვალობის დანერგვა საქართველოში“, გვ. 14., თბილისი, 2007 წელი.

ელექტრონული მმართველობიდან – ელექტრონულ დემოკრატიამდე

ელექტრონული დემოკრატია, როგორც დემოკრატიის განვითარების ხარისხობრივად ახალი, უფრო მაღალი საფეხური, მნიშვნელოვნად ზრდის დემოკრატიის პოტენციალს, მის ეფექტიანობასა და ქმედითობას. ელექტრონული დემოკრატია ეფუძნება ინფორმაციისა და კომუნიკაციის ინტერაქტივს, ურთიერთქმედებას, გლობალურ სოციალურ კავშირებს, სიტყვის თავისუფლების უპრეცედენტო შესაძლებლობებს, გლობალურ თავისუფალ ასოციაციათა შექმნას და ინფორმაციის გავრცელებას, პროფესიული და საზოგადოებრივი პერსპექტივების ზრდას, რაც გარკვეულწილად შლის ერი-სახელმწიფოს იდენტურობას და აყალიბებს გლობალურ და ლოკალურ იდენტურობებს. აძლევს ახალ შესაძლებლობებს ბიზნესსა და მთავრობებს. ხელს უწყობს მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფოთა გადანაცვლების მიღების პროცესში. უფრო დინამიურს ხდის საზოგადოებრივ ცხოვრებას.²

ელექტრონული დემოკრატია საკმაოდ ახალი ტერმინია, რადგანაც მისი ინსტიტუციური დამკვიდრება მხოლოდ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო. ელ-დემოკრატია გულისხმობს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას მთავრობების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ჯგუფების, მოქალაქეების, ბიზნესის თუ პოლიტიკური პროცესების მონაწილე სხვა სუბიექტების მიერ, ადგილზე და საერთაშორისო სივრცეში. ფართო გაგებით ელექტრონული დემოკრატია გულისხმობს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა აზრების გათვალისწინებასა და მათ აქტიურ ჩართვას პოლიტიკური გადანაცვლებების მიღებაში, პოლიტიკური პროცესების მართვაში. ელექტრონული მმართველობისგან განსხვავებით, რომელიც იქმნება „ზევიდან“ სახელმწიფო აპარატის ეფექტური ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის, ელექტრონული დემოკრატია ორიენტირებულია მოქალაქეთა უფრო აქტიურ ჩართვაზე პოლიტიკურ პროცესებში, სახელმწიფოს მართვის „ქვევიდან“ (საზოგადოებიდან) მომდინარე ინიციატივაზე.

ელექტრონული დემოკრატიის ამოცანაა გაუადვილოს მოქალაქეებს სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში და გადანაცვლებების მიღებაში თანამონაწილეობის საშუალება. მას შეუძლია ხელი შეუწყოს გადანაცვლებების მიღების პროცესის გამჭვირვალობას, უფრო დაახლოვოს მოსახლეობა ხელისუფლებასთან და გაზარდოს ხელისუფლების ლეგიტიმურობის ხარისხი. დემოკრატიის ასეთი ფორმა შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირად და გარკვეულწილად შეცვალოს წარმომადგენლობითი დემოკრატიის დამკვიდრებული ნორმები, რაც სულ უფრო არაეფექტური ხდება მმართველი ელიტის მიერ თანამედროვე მანიპულაციური ტექნოლოგიების გამოყენების გამო.

შესაძლებელია გამოვკვეთოთ ელექტრონული დემოკრატიის განვითარების რამდენიმე გლობალური ტენდენცია:

1. იზრდება ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებისა და მისი გამოყენების ხარისხობრივი მაჩვენებლები;
2. ელექტრონული ფოსტა მკვიდრდება კომუნიკაციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად;
3. იქმნება სამთავრობო პორტალები, რომლებიც არსობრივად განსხვავდება ჩვეულებრივი სამთავრობო ვებ-გვერდებისგან, იქმნება ინტერნეტ საზოგადოებრივი ჯგუფები;

2 ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები – ქეთევან როსტიაშვილი. <http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=35&lang=ka>

4. ონლაინ სერვისები ქმნიან ახალ კიბერ სივრცეს;
5. ყოველდღიურად მკვიდრდება ახალი ელექტრონული ინოვაციები და უმჯობესდება მომხმარებელთა მოთხოვნებზე რეაგირების ხარისხი;
6. ინტერნეტი იქცევა იდეებისა და მოსაზრებების გაცვლის უნივერსალურ სივრცედ, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულება დემოკრატიული პროცესების განვითარებაზე (ონლაინ დებატები, პროტესტები, პეტიციები, გამოკითხვები, განხილვები და ა.შ.);
7. ინტერნეტ გამჭვირვალობა ხელს უწყობს საერთო დემოკრატიული ხარისხის გაუმჯობესებას;
8. ელექტრონულ მმართველობაში დაბანდებული თანხები უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებას და მმართველობის ეფექტურობის გაუმჯობესებას;
9. ჩნდება ინტერნეტ საზოგადოების ლიდერები (ბლოგერები, სოციალური ქსელების აქტიური მომხმარებლები და ა.შ.), რომლებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და პოლიტიკურ პროცესებზე;
10. სახელმწიფო უწყებები ცდილობენ საჯარო პოლიტიკის ფორმირებისას მეტი ინტერაქტივის გამოყენებას და გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური მიმართულებების კორექტირებას.

ელექტრონული დემოკრატიის სტანდარტების სრულფასოვანი დამკვიდრებისთვის, ისევე როგორც ზოგადად ელექტრონული მმართველობის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, უმთავრესი პირობაა ქვეყანაში ინტერნეტ მომხმარებელთა მაღალი რაოდენობა. მაგალითისთვის, ესტონეთში მოსახლეობის უკვე 75%-ს აქვს ინტერნეტ წვდომა, ხოლო სამხ. კორეაში (გაეროს კვლევებით სამხ. კორეა ელ-მთავრობის განვითარებით მსოფლიოში პირველ ადგილზე იმყოფება) მოსახლეობის 81%-თვის არის ხელმისაწვდომი ინტერნეტი (თითქმის 40 მილიონი ადამიანისათვის).

ინტერნეტ მომხმარებლებისა და მოსახლეობის მსოფლიო სტატისტიკა

მსოფლიო რეგიონები	მოსახლეობა (2010 წ.)	ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა		მოსახლეობის ინტერნეტ წვდომის მაჩვენებელი	მატება 2000-2010	ინტერნეტ მომხმარებლების განაწილება რეგიონების მიხედვით
		2000 წ. 31 დეკ.	2010 წელი			
აფრიკა	1,013,779,050	4,514,400	110,931,700	10.9 %	2,357.3 %	5.6 %
აზია	3,834,792,852	114,304,000	825,094,396	21.5 %	621.8 %	42.0 %
ევროპა	813,319,511	105,096,093	475,069,448	58.4 %	352.0 %	24.2 %
ახლო აღმოსავლეთი	212,336,924	3,284,800	63,240,946	29.8 %	1,825.3 %	3.2 %
ჩრდ. ამერიკა	344,124,450	108,096,800	266,224,500	77.4 %	146.3 %	13.5 %
ლათ. ამერიკა/კარიბის რეგიონი	592,556,972	18,068,919	204,689,836	34.5 %	1,032.8 %	10.4 %
ოკეანეთი/ავსტრალია	34,700,201	7,620,480	21,263,990	61.3 %	179.0 %	1.1 %
მთლიანი ჯამი	6,845,609,960	360,985,492	1,966,514,816	28.7 %	444.8 %	100.0 %


იმისთვის, რომ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოჩნდეს დემოკრატიის ხარისხის დამოკიდებულება ინტერნეტის განვითარების დონეზე, გვინდა წარმოვადგინოთ ამ ორი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზის სკალა, სადაც დემოკრატიის განვითარების ინდექსი წარმოდგენილია ორგანიზაცია Economist Intelligence Unit-ის მიერ (<http://www.eiu.com>), ხოლო ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობის მონაცემები ვებ-პორტალ - ინტერნეტის მსოფლიო სტატისტიკის მიერ (www.internetworldstats.com).

ქვეყანა	ადგილი დემოკრატიის განვითარების გლობალურ რეიტინგში	ინტერნეტ მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი
ნორვეგია	1	94.8 %
ისლანდია	2	97.6 %
დანია	3	86.1 %
შვედეთი	4	92.5 %
ახ. ზელანდია	5	85.4 %
ავსტრალია	6	80.1 %
ფინეთი	7	85.3 %
შვეიცარია	8	75.3 %
კანადა	9	77.7 %
ნიდერლანდები	10	88.6 %

როგორც ამ სტატისტიკური ბაზებიდან ჩანს, მსოფლიოში ყოველწლიურად იზრდება ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა და 2010 წლის მდგომარეობით მსოფლიოს 28,7%-ს აქვს წვდომა ინტერნეტზე. **ამავე დროს ფაქტია, რომ მაღალგანვითარებული დემოკრატიის ქვეყნებში ინტერნეტ საზოგადოება მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციას იძენს.**

2006-2008 წლებში საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობამ მნიშვნელოვნად იმატა. კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით ფიქსირებული ინტერნეტ მომხმარებლების რაოდენობა 2 წელიწადში 7,8%-დან 23,8%-მდე გაიზარდა.


საქართველოში ფიქსირებული ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვის ზრდის დინამიკა



აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ფიქსირებული მომხმარებლების რაოდენობა არ ასახავს რეალურ სურათს, რადგან საბოლოო ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა გაცილებით მაღალია საქართველოში (ფიქსირებულ IP-ით უმეტეს შემთხვევაში ერთზე მეტი მომხმარებელი სარგებლობს, სახელმწიფო ან სხვა ორგანიზაციებში კი, თავისთავად, გაცილებით მეტია მომხმარებელთა საერთო რიცხვი). ინტერნეტის მსოფლიო სტატისტიკის ონლაინ რესურსის (www.internetworldstats.com) ინფორმაციით, რომელიც ეყრდნობა გაერო-ს ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების საკითხების სააგენტოს (United Nations agency for **information and communication technology issues - ITU**) მონაცემებს, საქართველოში ინტერნეტ მომხმარებელთა რიცხვის ზრდის დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	ინტერნეტ მომხმარებელთა რაოდენობა	მოსახლეობა	ინტერნეტ მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი
2000	20,000	4,389,004	0.5 %
2006	332,000	4,389,004	7.6 %
2009	1,024,000	4,615,807	22.2 %
2010	1,300,000	4,600,825	28.3 %

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ოფიციალური მონაცემები, სამწუხაროდ, ადასტურებს საქართველოს რეგიონებში ინტერნეტ წვდომის დაბალ მაჩვენებელსაც, თუმცა შეიმჩნევა ტექნიკური ნაპრალის შემცირების დადებითი ტენდენციაც:



აღსანიშნავია საქართველოში ინტერნეტ ბიზნეს-სფეროს (ეკონომიკური სექტორის სხვა სეგმენტებთან შედარებით) განვითარების წარმატებული დინამიკაც, რომლის ზრდამაც 2009 წელს 34%-ს მიაღწია და 94 824 961 მილიონი ლარი შეადგინა. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ ინტერნეტი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დინამიურად განვითარებადი და პერსპექტიული ბიზნეს დარგია.

ელექტრონული დემოკრატია დაფუძნებულია ელექტრონულ მმართველობაზე და გულისხმობს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ურთიერთქმედებას, მათ ადაპტირებას დემოკრატიული ფასეულობების უნივერსალურ სტანდარტებთან. მაგალითად, ევროსაბჭოს ელექტრონული მმართველობის კონცეფცია მოიცავს თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების განვითარებას საჯარო სექტორის ფუნქციონირების სამი მიმართულებით: სახელმწიფო ორგანოებისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთობა, სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირება დემოკრატიული პროცესების ყველა სტადიაზე (ელექტრონული დემოკრატია), საჯარო მომსახურების უზრუნველყოფა (ელექტრონული საჯარო სერვისი).

ელ-დემოკრატია მოითხოვს მთავრობების, ამომრჩევლების, პოლიტიკური პარტიებისა და სოციალური ჯგუფების ელექტრონული ფორმით ჩართულობას დემოკრატიულ პროცესებში. მკვიდრდება ურთიერთქმედების და ანგარიშვალდებულების უფრო აქტიური და მაღალი სტანდარტი.

- ელექტრონული დემოკრატია ამკვიდრებს ხელისუფალსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობის სრულიად ახალ ფორმებს:
- **ელ-ჩართულობა (e-engagement)** - საზოგადოების მონაწილეობა სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებაში ელექტრონული ქსელების საშუალებით;
 - **ელ-კონსულტაცია (e-consultation)** - ელექტრონული ინტერაქტივი საჯარო მოხელეებს, მოქალაქეებსა და დაინტერესებულ ჯგუფებს შორის;
 - **ელ-კონტროლი (e-controllership)** - სახელმწიფო ორგანოების ხარჯების, საქმიანობისა და მომსახურების ხარისხის ელექტრონული მართვა და კონტროლი.

ამავე დროს ელექტრონული დემოკრატიის, ისევე როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედაა ხელისუფლების გამჭვირვალობა, რადგანაც, მხოლოდ ურთიერთნდობაზე და ხელისუფლების ანგარიშვალდებულებაზე დაფუძნებულ საზოგადოებას ძალუძს დემოკრატიულ პრინციპებზე ფუნქციონირებადი სახელმწიფოს მართვა. გვსურს აქვე აღვნიშნოთ, რომ ელექტრონული მმართველობის კონცეფცია, მისი თავდაპირველი სახით, ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ელ-გამჭვირვალობის კომპონენტის განვითარებას, ვინაიდან ორიენტირებული იყო ელექტრონული მომსახურების განვითარების ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასა და მმართველობის ეფექტურობის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების/რეგულაციების არ-არსებობაც იყო, რაც შექმნიდა ელექტრონული გამჭვირვალობის დამკვიდრებისთვის აუცილებელ სამართლებრივ ბაზას. თუმცა, 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ბევრი რამ შეცვალა ამ მიმართულებით. პირველ რიგში ეს ცვლილებები გამოწვეული იყო ბიზნეს და სახელმწიფო სექტორისადმი საზოგადოების ნდობის უპრეცედენტო ვარდნით. სწორედ გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები დარწმუნდნენ ელ-გამჭვირვალობის ახალი სტანდარტების დამკვიდრების აუცილებლობაში. ამის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე მაგალითია აშშ-ის პრეზიდენტის ინოვაციური სტრატეგია „გამჭვირვალე და ღია მთავრობის ინიციატივა“ (Open Government Initiative).

გამჭვირვალე ელ-მმართველობა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე

Memorandum for the Heads of Executive
Departments and Agencies

SUBJECT: Transparency and Open Government

We will work together to ensure the public trust and establish a system of transparency, public participation, and collaboration. Openness will strengthen our democracy and promote efficiency and effectiveness in Government.

BARACK OBAMA

აშშ-ის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას ერთ-ერთი პირველი ინიციატივა ფორმულირებულია მის მიერ გამოცხადებულ „გამჭვირვალე და ღია მთავრობის“ მემორანდუმში: „ჩემი ადმინისტრაცია მოწოდებულია შექმნას მთავრობის გამჭვირვალეობის უპრეცედენტო დონე. ჩვენ ერთად ვიმუშავებთ იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ საზოგადოების ნდობა, დავამკვიდროთ გამჭვირვალეობის სისტემა, საზოგადოების ჩართულობა და თანამშრომლობა. ღიაობა გააძლიერებს ჩვენს დემოკრატიას, უფრო ეფექტიანს და ქმედითს გახდის მთავრობას.“ ახალი ინიციატივა სამ პოსტულატზეა დაფუძნებული:

- **გამჭვირვალეობა** - ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეები ინფორმაციით მთავრობის საქმიანობის შესახებ, რათა იყოს უფრო ანგარიშვალდებულნი მათ წინაშე;
- **მონაწილეობა** - ხელისუფლებამ აქტიურად უნდა გაითვალისწინოს გარე წყაროებიდან მიღებული ექსპერტული შეფასებები, რათა ინფორმაციის მიღების ხარჯზე გაუმჯობესდეს მისი პოლიტიკა;
- **თანამშრომლობა** - ოფიციალურმა პირებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან და მოქალაქესთან ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.

2009 წლის 21 იანვარს გამოცემული მემორანდუმის მიხედვით, „ღია და გამჭვირვალე მთავრობის“ ინიციატივის მომზადება დაევალა „მართვისა და საბიუჯეტო ოფისს“ (Office of Management and Budget), რომელმაც დირექტივის მომზადების პროცესში ჩართო არა მარტო საექსპერტო წრეები, არამედ ფართო საზოგადოებაც. თეთრი სახლის „ღია მთავრობის“ ინიციატივის შემუშავებაში მონაწილეობდა ხელისუფლების გამჭვირვალეობაში უშუალოდ დაინტერესებული საზოგადოებაც. საინტერესოა, რომ ეს ინიციატივა უპირველეს ყოვლისა შეეხო სამთავრობო ელექტრონული რესურსების გამჭვირვალეობას. შემუშავებული დირექტივის მიხედვით შეერთებული შტატების „ღია მთავრობის“ ინიციატივა ინტერნეტ სივრცეში განხორციელდა. მართვისა და ბიუჯეტის ოფისის მიერ გამოცემულმა დირექტივამ დაავალდებულა ყველა სააგენტო და სახელმწიფო სტრუქტურა განევიტარებინათ ღიაობის პოლიტიკა ოთხი ძირითადი მიმართულებით:

1. **საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება ელექტრონულ ფორმატში** - საჯარო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს დროულად და მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომ ფორმატში. ამავე დროს, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებამ ხელი უნდა შეუწყოს საჯარო ინფორმაციის ოფიციალურ გამოთხოვნათა

რიცხვის ვლებას. ყველა სახელმწიფო სტრუქტურას დაევალა საკუთარ ვებ-გვერდზე შექმნა ღია მთავრობის ცალკე განყოფილება [http://www.\[agency\].gov/open](http://www.[agency].gov/open);

2. **გამოქვეყნებული ინფორმაციის ხარისხობრივი გაუმჯობესება** - კონტროლის მექანიზმების შექმნა სამთავრობო ინფორმაციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, ინფორმაციის ობიექტურობის შეფასება;
3. **ღია მთავრობის მიდგომის შექმნა და ინსტიტუციონალიზაცია** - თითოეულმა სახელმწიფო სტრუქტურამ უნდა შექმნას და დანერგოს ღია მთავრობის საკუთარი სტრატეგია. ინიციატივის კოორდინაციისთვის უნდა შექმნას „ღია მთავრობის“ მართვის პანელი www.whitehouse.gov/open;



4. **ღია მთავრობის პოლიტიკის ლოგიკური ჩარჩოს შექმნა** - ღია მთავრობის იდეის ხორცშესხმისთვის ინოვაციური ტექნიკური მიღწევების პრაქტიკული დანერგვა, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის კომუნიკაციის ხარისხის გაუმჯობესება.³

აღსანიშნავია, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაციის ინიციატივა გამჭვირვალე და ღია მთავრობის შექმნაზე დაფუძნებულია რიგ საკანონმდებლო აქტებზე. მათ შორის 2002 წელს მიღებული ელექტრონული მმართველობის აქტი, ინფორმაციის ხარისხის აქტი, ქალაქის ბრუნვით დოკუმენტაციის წარმოების შეზღუდვის აქტი და სხვა.

ბარაკ ობამას ინიციატივისა და „მართვისა და ბიუჯეტის ოფისის“ დირექტივის შესაბამისად შეერთებულ შტატებში განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტი, რამაც მნიშვნელოვნად აამაღლა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულება საკუთარი მოქალაქეების მიმართ:

- პირველად გამოქვეყნდა თეთრი სახლის ყველა ვიზიტორის/სტუმრის სია. ამ ელექტრონული მონაცემთა ბაზის საშუალებით ამერიკელებს საშუალება აქვთ ნახონ თუ ვის მოსაზრებებს უსმენს თეთრი სახლის ადმინისტრაცია პოლიტიკის ფორმირებისა და დაგეგმვის პროცესში (<http://www.whitehouse.gov/briefing-room/disclosures/visitor-records>);

3 <http://www.whitehouse.gov/open/documents/open-government-directive>

	NAMELAST	NAMEFIRST	NAMEMID	UIN	BOYDNR	ACCESS_TYPE	TOA
1	IMMELT	JEFFREY	R	BUSMFG	71579	AL	5/20/09 7:...
2	TRUMKA	RICHARD	L	BUSMFG	70208	AL	5/20/09 8:...
3	ABBAS	MAHMOUD		U02228		VA	
4	AYERS	WILLIAM		U92919	0	VA	5/20/09 13:1
5	AYERS	WILLIAM	A	U63883	68643	VA	1/27/09 16:...
6	BALLMER	STEVEN	A	U84453	71587	VA	4/8/09 19:0...
7	BALLMER	STEVEN	A	U94221	74703	VA	5/20/09 10:...
8	BALLMER	STEVEN	A	U02028	74697	VA	5/20/09 12:1
9	BARRY	DAVID	J	U13287	0	VA	5/20/09 9:1...
10	BARTLETT	STEPHEN	H	U95802	69132	VA	5/20/09 10:2
11	BAUER	GARY	W	U17581	0	VA	7/15/09 7:0...


ეთერი სახლის სტუმრების მონაცემთა ბაზა – www.whitehouse.gov

- ასევე პირველად გამოქვეყნდა ონლაინ ფორმატში საჯარო ინფორმაცია პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ფინანსური ანაზღაურების შესახებ და შესაძლებელი გახდა ადმინისტრაციაში დასაქმებული საჯარო მოხელეების წლიური ფინანსური ანგარიშების მიღებაც (<http://www.whitehouse.gov/briefing-room/disclosures/annual-records/2010>);

	Employee Name	Employee Status	Salary	Pay Basis
1	Zichal, Heather R.	Employee	\$100,000.00	Per Annum
2	Zelman, Allison L.	Employee	\$50,000.00	Per Annum
3	Young, Latoya A.	Employee	\$58,511.00	Per Annum
4	Young, Katherine H.	Employee	\$42,000.00	Per Annum
5	Young, Jr., Regina D.	Employee	\$60,232.00	Per Annum
6	Yeager Kaplan, Jennifer	Employee	\$66,300.00	Per Annum
7	Wright, Jessica N.	Employee	\$96,900.00	Per Annum
8	Wong, Shale L.	Employee	\$0.00	Per Annum
9	Witt, Abigail	Employee	\$45,000.00	Per Annum

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ანაზღაურება – www.whitehouse.gov

- შეიქმნა ონლაინ რესურსი, სადაც მომხმარებელს საშუალება აქვს დეტალურად გაეცნოს „ამერიკის ეკონომიკური გაჯანსაღებისა და რეინვესტიციის აქტის“ (The American Recovery and Reinvestment Act of 2009) თანახმად სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ პროექტებსა და მათ ფინანსურ ანგარიშგებას (www.recovery.gov);



აქტის ფარგლებში გაცემული გრანტების დეტალური ვიზუალიზაცია – www.recovery.gov

- 2009 წლის მაისში დაიწყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის მიერ ინიცირებული მასშტაბური პროექტი – მონაცემთა ელექტრონული ბაზა – www.data.gov. პროექტის ფარგლებში შექმნილ ვებ-რესურსზე ელექტრონულ ფორმატში თავსდება აშშ-ის მთავრობის სხვადასხვა დეპარტამენტებისა და სააგენტოების განკარგულებაში მყოფი საჯარო მონაცემები. ვებ-პორტალზე უკვე თავმოყრილია 167

000 სხვადასხვა ცნობა ფედერალური მთავრობის საქმიანობის შესახებ. ასეთი უნივერსალური ელექტრონული მონაცემთა ბაზა, დაფუძნებული ერთი სარკმლის პრინციპზე, მომხმარებელს უადვილებს ინფორმაციის მიღებას ხელისუფლების სტრუქტურებში აკუმულირებული მნიშვნელოვანი მონაცემების შესახებ. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიმდინარეობს მონაცემთა ბაზის რეგულარული გაუმჯობესება მომხმარებელთა სურვილებისა და რჩევების გათვალისწინებით;



ელექტრონული მონაცემთა ბაზა - www.data.gov

- შეერთებული შტატების მოქალაქეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ონლაინ რესურსით - www.usaspending.gov. მონაცემთა ბაზა მოიცავს ინფორმაციას ამერიკის მთავრობის მიერ გაცემული გრანტების, კონტრაქტების, ფინანსური დახმარებების და სხვა ხარჯებითი საქმიანობის შესახებ. ნებისმიერ მსურველს საშუალება აქვს გაეცნოს ფედერალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების განკარგვის ოფიციალურ მონაცემებს, რაც ამკვიდრებს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების ახალ სტანდარტს და აღრმავებს ნდობას მოსახლეობასა და მმართველ ელიტას შორის;



ფედერალური ბიუჯეტის განკარგვის ელექტრონული მონაცემთა ბაზა - www.usaspending.gov

- კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა დაინერგა 2009 წლის ივნისიდან. შეიქმნა სპეციალური ვებ-რესურსი - www.it.usaspending.gov, სადაც აისახება ამერიკის მთავრობის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სფეროში ინვესტირებული თანხების ოდენობა (ყოველწლიურად დაახლოებით 78 მილიარდი აშშ დოლარი) და მოცემულია დაფინანსებული პროექტები, პროგრამები და მიმართულებების ჩამონათვალი. საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პანელი საშუალებას აძლევს IT სპეციალისტებს თვალყური ადევნონ სფეროს განვითარებას, მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა განხილვებში, კორექტივები შეიტანონ პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში;



IT სფეროში დაფინანსებული პროექტების მონაცემთა ბაზა – www.it.usaspending.gov

- გადასახადების ამერიკულ გადამხდელებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ სახელმწიფოს მიერ საგარეო დახმარებაზე განხორციელებულ ფინანსურ დანახარჯებს, განვითარების დინამიკას, არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს. ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილ ვებ-გვერდზე – www.foreignassistance.gov;



აშშ-ს მიერ საქართველოსთვის განხორციელებული ფინანსური დახმარება – www.foreignassistance.gov

- „ღია მთავრობის“ ინიციატივის ფარგლებში აშშ-ის ხელისუფლება დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო საკუთარ გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე, არამედ პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობის გააქტიურებასაც. ამ მიმართულებით შექმნილია და ფუნქციონირებს მრავალი ინოვაციური ვებ-რესურსი, სადაც როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ისე სპეციალისტებსა და საჯარო მოხელეებს საშუალება აქვთ მიანვდინონ საკუთარი მოსაზრებები და იდეები სახელმწიფო ორგანოებს. მაგალითად, ვებ-რესურსის – www.challenge.gov გამოყენებით შეერთებული შტატების სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები აქვეყნებენ იდეათა კონკურსებს – დარგების განვითარებაზე მიმართულ კონკრეტულ პროექტებზე. საჯარო მოხელეებს შეუძლიათ თავისუფლად გამოიყენონ ეს ვებ-გვერდი ინოვაციური იდეების განხორციელებისათვის და ამისთვის ხანდახან ფულადი ჯილდოებიც მიიღონ. ამავე დროს, მათ თავად შეუძლიათ შესთავაზონ სახელმწიფო უწყებას კონკრეტული წინადადებები. იდეების ურთიერთგაცვლა ხდება არა მხოლოდ ფედერალური მნიშვნელობის ვებ-რესურსების გამოყენებით, არამედ კონკრეტული სახელმწიფო უწყებების ვებ-გვერდების მეშვეობითაც. მაგალითად, აშშ-ის სახელმწიფო

დეპარტამენტის ვებ-პროექტი „აზრების სივრცე 2.0“ – Opinion Space 2.0 (www.state.gov/opinionspace/) ყველა მსურველს უქმნის შესაძლებლობას დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმართულებებისა და ამოცანების შესახებ. დღეისთვის უკვე 24 სხვადასხვა დეპარტამენტი იყენებს საკუთარ ვებ-გვერდზე IdeaScale (www.ideascale.com) – აპლიკაციას, რაც საშუალებას აძლევს კონკრეტული სამთავრობო ონლაინ რესურსის დამთვალეირებელს გამოხატოს და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება რომელიმე მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე ღია მთავრობის პოლიტიკის განვითარებასთან დაკავშირებით;



იდეების გაცვლის პანელი „სამშობლოს დაცვის დეპარტამენტის“ ვებ-გვერდზე – www.dhs.gov

- იმისთვის, რომ მომხმარებლისთვის გამარტივდეს წვდომა მთავრობის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა ონლაინ პროექტებზე და სერვისებზე, შეიქმნა და ფუნქციონირებს მასშტაბური ვებ-პორტალი www.usa.gov. მისი მეშვეობით გამარტივებულია ყველა იმ ინფორმაციულ რესურსთან წვდომა, რომლის ადმინისტრირებასაც ინტერნეტ სივრცეში უზრუნველყოფს ამერიკის მთავრობა, სხვადასხვა დეპარტამენტები და სააგენტოები. ვებ-პორტალი ზრდის ხელმისაწვდომობას საინფორმაციო სივრცეში გაბნეული ელექტრონული სერვისებისა და საჭირო ცნობების გამოყენების მსურველთათვის და, ფაქტობრივად, ამერიკის ვირტუალურ კარიბჭეს წარმოადგენს.



აშშ-ის მთავრობის ერთიანი ვებ-პორტალი – www.usa.gov

ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ არასრული სია იმ ვებ-პროექტებისა, რომელთა განვითარებაც აქტიურად მიმდინარეობს ფედერალური მთავრობის მიერ გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის დონის ასამაღლებლად.⁴ აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია არსებული ონლაინ პროექტებისა და ცალკეული სახელმწიფო უწყებები, კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრალური ხელისუფლების დირექტივების გარეშე, ნერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, გადაწყვეტილებებს, კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს, იყენებენ სოციალურ მედიას, აქვეყნებენ „ღია მთავრობის“ ანგარიშებს, აუმჯობესებენ საკუთარ ვებ-რესურსებს – ღიაობის, ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ჩართულობის პრინციპებზე დაყრდნობით. აღსანიშნავია, რომ ელ-დემოკრატიის ინსტიტუციური დამკვიდრების გარდა, ელექტრონულ მმართველობას ასევე მნიშვნელოვანი პრაქტიკული სარგებელიც მოაქვს აშშ-ის მთავრობისა და მოქალაქეებისათვის. მაგალითად, საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა ამცირებს საქმის წარმოების ხარჯებს. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამულმა დანერგვამ აშშ-ის ენერჯეტიკის დეპარტამენტში 2006-2009 წლებში 160 მილიონი დოლარის ეკონომია უზრუნველყო, სახაზინო დეპარტამენტში 199 მილიონი დოლარის ეკონომია და ა.შ.

შეერთებული შტატების მაგალითზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ელექტრონული გამჭვირვალობა თანამედროვე ელ-მმართველობის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი და კომპონენტია. ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის ამერიკული მიღწევები, მათი განვითარების დინამიკა და მიზნები კარგად არის ჩამოყალიბებული მართვისა და ბიუჯეტის ოფისის მიერ კონგრესის სახელზე გაგზავნილ მოხსენებაში სახელწოდებით: „2002 წლის ელექტრონული მმართველობის აქტის იმპლემენტაციის ანგარიში“ (FY 2009 Report to Congress on the Implementation of The E-Government Act of 2002 - <http://www.whitehouse.gov/omb/e-gov/>), ისევე როგორც თეთრი სახლის მიერ გამოქვეყნებულ „ღია მთავრობის განვითარების ანგარიშიში ამერიკელ ხალხს“ (Open Government Progress Report to the American People - <http://www.whitehouse.gov/open>).

4 უფრო დანვრლებით შეგიძლიათ იხილოთ თეთრი სახლის ინოვაციური პროექტების გალერეა - <http://www.whitehouse.gov/open/innovations>


ელექტრონული მმართველობის განვითარების გლობალური ტენდენციები

ელექტრონული მმართველობის გლობალური ტენდენციების ანალიზისთვის მნიშვნელოვანი წყაროა გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების დეპარტამენტის მიერ რეგულარულად ჩატარებული კვლევები. ბოლო ასეთი კვლევა გამოქვეყნდა სახელწოდებით – „გლობალური ელექტრონული მმართველობის მიმოხილვა 2010 – ელექტრონული მმართველობა ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის პირობებში“ (The 2010 United Nations e-Government Survey: Leveraging e-government at a time of financial and economic crisis).⁵

კვლევა ჩატარდა 2009 წელს და გამოქვეყნდა 2010 წლის დასაწყისში. იგი ასახავს ელექტრონული მმართველობის გლობალური ტენდენციების განვითარების დინამიკას მსოფლიო ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის ფონზე. არ შევჩერდებით ამ მასშტაბური და ძალზე მნიშვნელოვანი კვლევის მეთოდოლოგიის აღწერაზე,⁶ მაგრამ აღსანიშნავია, რომ ელექტრონული მმართველობის განვითარების საბოლოო ინდექსის (E-Government Development Index) გაანგარიშება საკმაოდ ბევრი ნიშნულით ხორციელდებოდა:

- ონლაინ სერვისების ინდექსი – Online service index;
- ელექტრონული ჩართულობის ინდექსი – E-participation index;
- სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის ინდექსი – Telecommunication infrastructure index;
- ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსი – Human capital index.

გაერთოს სპეციალისტების აზრით არსებობს ელექტრონული სერვისების განვითარების ოთხი სტადია:



5 http://www2.unpan.org/egovkb/global_reports/10report.htm

6 ანგარიშის მეთოდოლოგია განხილულია ამ საკითხისადმი მიძღვნილ ჩვენს წინა კვლევაში: „ელექტრონული მმართველობა საქართველოში: მსოფლიო ტენდენციები“ – ქეთევან როსტიაშვილი <http://www.idfi.ge/?cat=researches&topic=35&lang=ka>

1 დონე

სამთავრობო ვებ-გვერდები მომხმარებლებს აწვდიან ინფორმაციას საჯარო პოლიტიკაზე, მმართველობაზე, კანონმდებლობაზე, ინსტრუქციებზე/მიზნობებზე, საჯარო დოკუმენტებზე და არსებულ მომსახურებაზე. ვებ-გვერდებზე მოიძიება ბმულები სხვა სამინისტროებსა და ხელისუფლების შტოების ორგანოებზე. მოქალაქეებს საშუალება აქვთ გაიგონ სიახლეები ხელისუფლების საქმიანობის შესახებ და ბმულების მეშვეობით აქვთ წვდომა დაარქივებული ინფორმაციისადმი;

2 დონე

ოფიციალური ვებ-რესურსები უზრუნველყოფენ ორმხრივ ელექტრონულ კომუნიკაციას ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის, მაგალითად, მომსახურების და განაცხადების ჩამოტვირთვის ფორმები. მრავალენოვან ვებ-გვერდებს აქვთ აუდიო და ვიდეო ფუნქციები. ელექტრონული მომსახურება საშუალებას აძლევს მომხმარებელს მოითხოვონ და გზავნილების სახით, დისტანციურად მიიღონ სხვადასხვა არაელექტრონული ფორმები ან პერსონალური ინფორმაცია;

3 დონე

სამთავრობო ვებ-გვერდები ორმხრივ კომუნიკაციაში რთავენ მოსახლეობას, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ითხოვენ და იღებენ გამოხმაურებას მოქალაქეებისგან სამთავრობო პოლიტიკის, პროგრამების, რეგულაციების შესახებ. ოფიციალური ვებ-გვერდებიდან შესაძლებელია ფინანსური ტრანზაქციების განხორციელება, ელექტრონული ფორმით ხმის მიცემა, სხვადასხვა ფორმების ატვირთვა და ჩამოტვირთვა, გადასახადების გადახდა, ლიცენზიების, ნებართვებისა და სერტიფიკატების მიღება;

4 დონე

ხელისუფლების ოფიციალურმა ვებ-გვერდებმა შეცვალეს მთავრობისა და მოქალაქეების კომუნიკაციის და ურთიერთკავშირის სახე. სამთავრობო სტრუქტურები ვებ-2.0 და სხვა ინტერაქტიური სისტემების გამოყენებით პროაქტიურად ითხოვენ ინფორმაციას და მოსაზრებებს საზოგადოებისგან. მთავრობები ხელისუფლებაზე ორიენტირებულ მიდგომას ცვლიან საზოგადოებაზე ორიენტირებული მიდგომით, ისინი ქმნიან გარემოს, სადაც მოქალაქეები ჩართულნი არიან სახელისუფლებო საქმიანობაში და აქვთ ხმის უფლება გადანაცვტილების მიღების პროცესში.

მნიშვნელოვანია აგრეთვე აღინიშნოს ის ონლაინ სერვისები, რომელთა ინტეგრაციაც სამთავრობო ვებ-პორტალებზე და სამინისტროების ვებ-გვერდებზე უზრუნველყოფს ოთხივე ზემოთ აღნიშნული მიდგომების ეფექტურ დანერგვას:

ვებ ფუნქციები და სერვისები
რა არის ახალი ვებ-გვერდზე;
ხშირად დასმული შეკითხვები;
დაარქივებული ინფორმაცია.

ვებ ფუნქციები და სერვისები
საიტის რუკა;
ბმულები/კავშირი სხვა ოფიც. ვებ-გვერდებთან;
ბმულები/კავშირი საჯარო სექტორის სხვა სერვისებთან.

ვებ ფუნქციები და სერვისები
საიტის შიგთავსის ხელმისაწვდომობა;
აუდიო/ვიდეო კონტენტის მხარდაჭერა;
RSS ფუნქცია;
საიტის შიგთავსი რამდენიმე ენაზეა ხელმისაწვდომი.

ვებ ფუნქციები და სერვისები
WAP/GPRS მხარდაჭერა;
ტექსტური გზავნილების მიღების სერვისი;
რეგისტრაცია მობილური ტელ. საშუალებით;
გადასახადების და ჯარიმების გადახდა მობილური ტელეფონით.

ვებ ფუნქციები და სერვისები
გადასახადები;
რეგისტრაცია;
ნებართვები, სერტიფიკატები, ჯარიმები;
პირადობის მოწმობის აღება;
კომუნალური მომსახურება.

ვებ ფუნქციები და სერვისები
ონლაინ ფორმები;
ონლაინ გადარიცხვები;
განაცხადება სამთავრობო დახმარების მისაღებად;
ელექტრონული გზავნილის მიღების ონლაინ დადასტურება.

ვებ ფუნქციები და სერვისები
საიტზე რეგისტრაცია;
ავტორიზებული პროფილის ნამდვილობა და მმართვეა;
ერთი სარკმლის პრინციპი;
ინფორმაციის წაკითხვადი ფორმატი;
ქვეყნის ხელმძღვანელთან კავშირის საშუალება.

ვებ ფუნქციები და სერვისები
საკუთარი პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნის საშუალება;
კონტენტის შეფასების და გავრცელების საშუალება;
შეთავაზების ინიცირების საშუალება;
„ჩემი საიტის“ ფუნქცია;
ელ-ჩართულობის შედეგების გამოყენება გადანაცვლებების მიღების პროცესში.

მსოფლიოს არც თუ ისე ბევრ ქვეყანას აქვს განვითარებული ელექტრონული მმართველობის რესურსები ოთხივე ზემოხსენებულ დონეზე. ელექტრონული მომსახურების ინდექსით წამყვანი ქვეყნები, ისევე როგორც ზოგადად ელექტრონული მმართველობის განვითარების დონით, არიან სამხ. კორეა, აშშ და კანადა.

ძალზე მნიშვნელოვანია აგრეთვე **ელექტრონული ჩართულობის** (ელ-თანამონაწილეობის) განვითარების განხილვაც. ინტერნეტი ახალ ასპარეზს უხსნის პოლიტიკოსებს საკუთარი პოზიციებისა და მიდგომების ელექტრონული გამყარებისთვის. ამავე დროს ინტერნეტი ქმნის გარემოს სადაც საზოგადოების ყველა ჯგუფს, მათ შორის მარგინალიზებულს, საშუალება აქვს დააფიქსიროს საკუთარი მოქალაქეობრივი პოზიცია და მიაღწიოს კონკრეტულ მიზანსაც კი. უკვე მრავალი მთავრობა ცდილობს საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით დაამყაროს უკუკავშირი მოსახლეობასთან. მთავრობები ცდილობენ პირდაპირ მიაწოდონ ინფორმაცია მოქალაქეებს, ჩართონ ისინი პოლიტიკურ პროცესებში და ამ გზით გაამყარონ საკუთარი პოლი-


ტიკური პლატფორმები. გაეროს ექსპერტთა აზრით ელ-ჩართულობა სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს:

- 1. ელ-ინფორმაცია (E-Information)** - ეს არის ცალმხრივი კომუნიკაცია მთავრობასა და მოქალაქეებს/ბიზნეს სექტორს შორის. ოფიციალური ვებ-გვერდების საშუალებით ხელისუფლება მომხმარებელს აწვდის ელექტრონულ ინფორმაციას პოლიტიკის, კანონმდებლობის, პროცედურების, მოქალაქეობის, ბიუჯეტის, მომსახურების და კომპეტენციის ფარგლებში არსებული სხვა საკითხების შესახებ. ელ-ინფორმაცია მიზნად ისახავს მოქალაქეთა ფართო წრის ჩართვას გადაწყვეტილებების დაგეგმვის, და განხორციელების პროცესში. ელ-ინფორმაცია ვრცელდება ფორუმების, ბლოგების, სოციალური ქსელების, ტექსტური გზავნილების, ელექტრონული ფოსტის და სხვა საშუალებებით;
- 2. ელ-კონსულტაცია (E-Consultation)** - არის მთავრობის მიერ ინიცირებული ორმხრივი კომუნიკაცია ხელისუფლების ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის. ელ-კონსულტაციის ფორმატში მთავრობები მონოდეულნი არიან მიიღონ და გაითვალისწინონ საზოგადოების და ბიზნესის მოსაზრებები და გამოხმაურებები საჯარო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხებზე. მთავრობები აქვეყნებენ საჯარო დიალოგის შედეგებს და ცდილობენ განავითარონ კომუნიკაციის ეს მიმართულება. მთავრობები ნერგავენ ისეთ ონლაინ საშუალებებს როგორებიცაა: გამოკითხვები, განხილვები, ჩატი, ბლოგები, სოციალური ქსელები, ინფორმაციის გაცვლის საშუალებები და სხვა. ამავე დროს, თავად მოქალაქეები მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით ცდილობენ დაამყარონ (მაგ. ელექტრონული პეტიციები) კომუნიკაცია სამთავრობო სტრუქტურებთან;
- 3. ელ-გადაწყვეტილების მიღება (E-Decision Making)** - მთავრობებსა და მოქალაქეებს შორის ორმხრივი კომუნიკაციის კიდევ ერთი საშუალებაა. მოქალაქეები ნაწილობრივ, ან სრულად არიან ჩართულნი გადაწყვეტილების და პოლიტიკის მიღების პროცესში. მთავრობები ითვალისწინებენ მოქალაქეთა წინადადებებსა და მოსაზრებებს სამთავრობო პროექტებისა და გადაწყვეტილებების მართვის პროცესში. მოქალაქეებს თავადაც აქვთ საშუალება მთავრობებთან თანამშრომლობით შეცვალონ, გააუმჯობესონ ან შექმნან საჯარო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებები. რეალური ძალაუფლებით აღჭურვილი მოქალაქეები აქტიურად ერთვებიან სახელმწიფო პოლიტიკის და პროგრამების მართვის პროცესში.

ელ-ჩართულობის ინდექსის მიხედვით მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სამეულში შევიდნენ სამხ. კორეა, ავსტრალია და ესპანეთი. აღნიშნის ღირსია, რომ თუ ლიდერი ქვეყნების ოცეულში მეცხრე პოზიციაზე ესტონეთის მოხვედრა არავისთვის გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, ნამდვილი სიურპრიზი გახდა მე-18 ადგილზე ყაზახეთის განთავსება (ყაზახეთი 2008 წელს ელ-ჩართულობის რეიტინგში 106-ე ადგილზე იყო). ქვეყანამ, რომელიც 2008 წელს ელექტრონული მმართველობის განვითარების დონით 81-ე ადგილზე იმყოფებოდა, შეძლო სულ რაღაც 2 წელიწადში თითქმის 40 პოზიციით წინ წაწევა. ელ-ჩართულობის ხარისხობრივი მაჩვენებლებით ყაზახეთმა ისეთ ქვეყნებსაც კი გადაუსწრო როგორცაა აშშ და დიდი ბრიტანეთი. ასეთ წარმატებას პირველ რიგში საფუძველი ჩაუყარა ელექტრონული მმართველობის ეროვნულმა ვებ-პორტალმა www.e-gov.kz. ვებ-პორტალი გარდა ონლაინ სერვისებისა და ინფორმაციის დიდი მოცულობისა გამოირჩევა ვებ 2.0 (web 2.0)⁷ კონცეფციის

7 უფრო დანვრლებით ვებ 2.0 შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე - <http://radar.oreilly.com/2010/05/what-does-government-20-look-l.html>

ინტეგრაციით და ორიენტირებულია მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობაზე. ერთი სარკმლის პრინციპზე დაფუძნებული ვებ-პორტალის საშუალებით მოსახლეობას აქვს წვდომა ყველა სამთავრობო რესურსზე და სანიფორმაციო სერვისზე, ფუნქციონირებს ვიდეო და საგანმანათლებლო პროგრამები ბავშვებისთვის, ონლაინ განხილვები და კონსულტაციები, ქვეყნდება ელ-ჩართულობისთვის აუცილებელი მოვლენათა კალენდარი, პრემიერ-მინისტრსა და მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრს აქვს საკუთარი ბლოგი სადაც შესაძლებელია ოფიციალური პირებისთვის კითხვების დასმა და შესაბამისი პასუხების მიღება, ავტორიზირებულ მომხმარებელს საშუალება აქვს ელექტრონული მიმართვები გაუგზავნოს ხელისუფლების ნებისმიერ ორგანოს, ონლაინ ფორუმზე მიმდინარეობს სხვადასხვა საკითხების განხილვები, მოქალაქეებს საშუალება აქვთ ინიცირება გაუკეთონ საკუთარ წინადადებებს და სხვა.



ვახაზეთის ელექტრონული მთავრობის ვებ-პორტალი – www.e-gov.kz

ელ-ჩართულობის ძირითადი მახასიათებლები ოთხ თემატურ ბლოკად შეიძლება დაიყოს:

ვებ ფუნქციები

ვებ-გვერდი უზრუნველყოფს მოსახლეობას ინფორმაციით ელ-მმართველობაში ჩართულობის მიზნით;

ვებ-გვერდი აწვდის ინფორმაციას მოსახლეობას ელ-მონაწილეობის შესახებ.

ვებ ფუნქციები

ონლაინ გამოკითხვები;

ონლაინ განხილვები;

ჩატი და დაუყოვნებლივი შეტყობინებები;

ვებ ჟურნალები;

მომსახურებისა და ახალი ამბების ჩამონათვალი;

სხვა ინტერაქტიული სერვისები.

ვებ ფუნქციები

მოქალაქეთა განცხადებები და მათ მიერ მომსახურების დონის შეფასება;

უკუკავშირის საშუალება;

ინფორმაცია დასაქმების შესახებ.

ვებ ფუნქციები

სადისკუსიო ფორუმები;

განხილული დისკუსიების არქივი;

ოფიციალურ პირთა გამომხატველი მოქალაქეთა წინადადებებზე;

ელ-კონსულტაციების მოდერაიცია;

ონლაინ პეტიციები;

ონლაინ ხმის მიცემა.

კვლევის მიხედვით **ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსით** (E-Government Development Index) მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ოცეული შემდგენიარად გამოიყურება:

ადგილი	ქვეყანა	ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის ხარისხი
1	სამხრეთ კორეის რესპუბლიკა	0.8785
2	ამერიკის შეერთებული შტატები	0.8510
3	კანადა	0.8448
4	დიდი ბრიტანეთი	0.8147
5	ნიდერლანდების სამეფო	0.8097
6	ნორვეგია	0.8020
7	დანია	0.7872
8	ავსტრალია	0.7863
9	ესპანეთი	0.7516
10	საფრანგეთი	0.7510
11	სინგაპური	0.7476
12	შვედეთი	0.7474
13	ბაჰრეინი	0.7363
14	ახალი ზელანდია	0.7311
15	გერმანია	0.7309
16	ბელგია	0.7225
17	იაპონია	0.7152
18	შვეიცარია	0.7136
19	ფინეთი	0.6967
20	ესტონეთი	0.6965

„ტოპ-ოცეულში“ მოხვედრილი ქვეყნების უმრავლესობა ერთ სულ მოსახლეზე მაღალი შემოსავლით და ეკონომიკური სტაბილურობით გამოირჩევიან. ეკონომიკურმა ფაქტორებმა უმეტესწილად განსაზღვრა ამ ქვეყნების ელ-მმართველობის განვითარების მაღალი მაჩვენებელი. ამავე დროს ელ-მმართველობის განვითარებისთვის, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსების ხარისხობრივ მაჩვენებლებს. შესაბამისად, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებს, სადაც კარგად განვითარებულია სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, მაღალია მოსახლეობის განათლების დონე, ელ-მმართველობის წარმატებით განვითარებისთვის მეტი ფინანსური და ადამიანური რესურსი გააჩნიათ. კარგად განვითარებული ვებ-გვერდები და ელ-სერვისები ნაკლებად ეფექტიანი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მოსახლეობა ინტერნეტის ან შესაბამისი უნარ-ჩვევების არ ქონის გამო ვერ იყენებს მათ. გაერო-ს ექსპერტთა აზრით, ნაკლებგანვითარე-

ბულმა ქვეყნებმა არსებული ტექნოლოგიური ნაპრაღის დასაძლევად ფინანსური და ინტელექტუალური ინვესტირებით ერთდროულად უნდა განავითარონ სამი ძირითადი მიმართულება – სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა, ონლაინ სერვისები და საგანმანათლებლო სისტემა.

ამავე დროს, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ნაკლებგანვითარებულ ქვეყნებს ახალ ტექნოლოგიებში (მობილური კავშირი) ინვესტირებით, კარგად კონსტრუირებული ვებ-პორტალების შექმნით, სათემო ცენტრებისა და საკომუნიკაციო სერვისების ქსელის განვითარებით (რაც ზრდის მოსახლეობაში ინტერნეტის წვდომის ხარისხს), ხშირ შემთხვევაში არსებული ტექნოლოგიური ჩამორჩენის აღმოფხვრის პოტენციალი გააჩნიათ. იკვთება გლობალური ტენდენცია, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ანიჭებს უპირატესობას ინტერნეტის საშუალებით დამყარებულ კავშირს საკუთარ მოსახლეობასთან. ონლაინ გამოკითხვები, განხილვები, ბლოგები და სოციალური ჩაბმულობის სხვა მექანიზმები ხშირად ხდება რეალური გარდაქმნებისა და გაუმჯობესების წინაპირობა. ამის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება გამოდგეს ბაჰრეინის ეროვნულ ვებ-პორტალი www.bahrain.bh.




ბაჰრეინის ეროვნული ვებ-პორტალი – www.bahrain.bh

გაუმჯობესებული ვებ-რესურსის ხარჯზე ქვეყანამ დიდი ნახტომი გააკეთა გაეროს ელ-მმართველობის განვითარების რეიტინგში (42-ე 2008 წელს, 13-ე 2010 წელს) და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდით. ვებ-პორტალი უამრავ ელექტრონულ მომსახურებას სთავაზობს საკუთარ მომხმარებელს. ელ-მმართველობის კონცეფციის შესაბამისად თემატურად არის გამოყოფილი ელ-სერვისები მოქალაქეებისთვის, ბიზნესისა და სამთავრობო სტრუქტურებისათვის. ქვეყნის სტუმრებს შეუძლიათ შეუკვეთონ ელექტრონული ვიზა ან მობილური ტელეფონით მიიღონ ინფორმაცია ავიარების შესახებ. ვებ-პორტალზე შესაძლებელია მოიძიოთ ინფორმაცია არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო მომსახურების შესახებაც. ინტეგრირებული ბლოგის მეშვეობით მიმდინარეობს იდეებისა და მოსაზრებების გაცვლა ოფიციალურ პირებთან და ა.შ.

მსოფლიო რეგიონების ელ-მმართველობის განვითარების დონეების შედარების სკალიდან ჩანს, რომ ევროპა კვლავ რჩება ლიდერად ამ მიმართულებით. ამავე დროს ევროპა მსოფლიოს ერთადერთი რეგიონია, რომელიც ცდილობს შექმნას ელ-მმართველობის რეგიონული სისტემა.

ელ-მმართველობის განვითარება მსოფლიოს რეგიონების მიხედვით



ელ-მმართველობა ევროპული ინფორმაციული საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება. 2011-2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით, რომელსაც ევროკომისია კურირებს, 2015 წლისთვის ელ-მმართველობით სრულად ისარგებლებს ევროკავშირის მოსახლეობის 50% და ბიზნესის 80%. მიუხედავად იმისა, რომ ერთიანი სისტემის ინტეგრაცია ევროკავშირში საკმაოდ რთული, შრომატევადი და დიდ ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული პროექტია, ის, პერსპექტივაში, მნიშვნელოვანი თანხების ეკონომიას მოახდენს. მაგალითად, წინასწარი გათვლებით, დეკლარირების ერთიანი ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს 50 მილიარდი დოლარის ყოველწლიურ ეკონომიას⁸. აღნიშნის ღირსია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ელ-ჩაბმულობა მიმართული ელ-გამჭვირვალობისა და ელ-დემოკრატიის განვითარებისკენ, ევროკავშირის ელექტრონული მმართველობის სამოქმედო გეგმის 5 პრიორიტეტულ მიმართულებაშია. დაწყებულია ელ-მმართველობის პანევროპული პილოტური პროექტები:


- საჯარო შესყიდვების ონლაინ სისტემა - PEPPOL (Pan European Public Procurement Online);
- ევროპულ საზღვრებში დაცული პირადობის მონმობების სისტემა - STORK (Secure identity across borders linked);
- საზღვრის გადალახვის პროცედურების გამარტივებული ონლაინ სისტემა - SPOCS (Simple Procedures Online for Cross-border Services);
- სამოქალაქო რეესტრის ევროპული ქსელი - ECRN (European Civil Registry Network);
- ელ-ჩართულობის პანევროპული ქსელი - PEP-NET (Pan European E-Participation Network);
- ელ-გზამკვლევი და ელ-სერვისები - eGOS (e-Guidance and e-Government Services) და სხვა.⁹

რაც შეეხება ცალკეულად აღებულ ევროპულ ქვეყნებს, რეიტინგის მიხედვით ევროპული ათეული შემდეგნაირად გამოიყურება:

8 http://ec.europa.eu/information_society/activities/egovernment/policy/index_en.htm
 9 http://ec.europa.eu/information_society/activities/egovernment/implementation/ict_psp/index_en.htm

№	ქვეყანა	ელ-მმართველობის განვითარების ინდექსის ხარისხი
1	დიდი ბრიტანეთი	0.8147
2	ნიდერლანდების სამეფო	0.8097
3	ნორვეგია	0.8020
4	დანია	0.7872
5	ესპანეთი	0.7516
6	საფრანგეთი	0.7510
7	შვედეთი	0.7474
8	გერმანია	0.7309
9	ბელგია	0.7225
10	შვეიცარია	0.7136

სიას სათავეში უდგას დიდი ბრიტანეთი, რომელმაც კარგად დაგეგმილი სახელ-მწიფო პროგრამის ხარჯზე მოსახლეობისთვის საკმაოდ ბევრი ინოვაციური სერვისი დანერგა. ელ-მმართველობის წარმატებით განვითარებისთვის გადამწყვეტი აღმოჩნდა მომხმარებელზე ორიენტირებული ეროვნული ვებ-პორტალის www.direct.gov.uk ამოქმედება.



დიდი ბრიტანეთის ელ-სერვისების ერთიანი ონლაინ სისტემა – www.direct.gov.uk

ვებ-პორტალი უზრუნველყოფს ბრიტანეთის მოქალაქეებს სრული ინფორმაციით არსებული სამთავრობო სერვისების შესახებ, აწვდის სხვადასხვა პრაქტიკულ ცნობებს. ბრიტანელები ვებ-პორტალის დახმარებით იღებენ საჭირო რჩევებს, მონაწილეობენ ონლაინ დისკუსიებსა და კამპანიებში. ვებ-გვერდს აქვს მობილური აპლიკაციების მხარდაჭერა. არსებობს სპეციალური განყოფილება ბავშვებისთვის. ერთ კონკრეტულ მისამართზე თავმოყრილია ინფორმაცია სატრანსპორტო, ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების, გარემოს დაცვის, ფიზიკური ნაკლოვანებების მქონე პირების, სამართლებრივი, ფინანსური, ახალგაზრდობის და სხვა სოციალური საკითხების შესახებ. ფაქტობრივად, ვებ-პორტალი ახდენს სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტების ხელში არსებული ინფორმაციული ნაკადების აკუმულირებას და მოსახლეობას უადვილებს წვდომას მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისადმი – დაწყებული გამოყენებული ბატარეების სწორი უტილიზაციიდან, დამთავრებული ცნობებით ახალი ელექტრონული ვირუსების გავრცელების შესახებ.

დასასრულს უნდა აღინიშნოს საერთაშორისო რეიტინგის ლიდერი ქვეყნის – სამხ. კორეის წარმატებაც. სამხრეთ კორეამ მრავალწლიანი, გათვლილი და დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში განავითარა ელექტრონული მმართველობის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანი ყველა კომპონენტი. ელექტრონული ტრანზაქციების, სხვადასხვა ფინანსური ოპერაციებისა და ხარჯთაღრიცხვის სანარმოებლად, ფორმების და აპლიკაციების შესავსებად (ინფორმაცია 5300 საჯარო სერვისზე, ელ-ფოსტის გამოყენებით 720 საჯარო სერვისის მიღება, 28 სხვადასხვა ფორმის ელექტრონულად შევსების საშუალება) არსებობს ვებ-გვერდი www.egov.go.kr, რომელიც ელექტრონული ავტორიზაციის შემდეგ ხდება მოქალაქეების ფინანსური საქმიანობის პერსონალური გვერდი. თავისი მარტივი დიზაინითა და მრავალფუნქციურობით გამოჩეული, ეროვნული პორტალის www.korea.go.kr საშუალებით მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომი ხდება ყველა სამთავრობო სტრუქტურის ინტეგრირებული სისტემა.



სამხ. კორეის ელ-მმართველობის პორტალი – www.korea.go.kr

ეროვნული ვებ-პორტალი ხელმისაწვდომს ხდის სამთავრობო ინფორმაციას, ონლაინ შესავსებ ფორმებს და ტრანზაქციებს, მობილური შეტყობინებების და ელექტრონული კონსულტირების პროგრამებს.

მოსახლეობის ელ-ჩართულობის მიზნით ფუნქციონირებს ცალკე ვებ-გვერდი www.epeople.go.kr, იგი აკავშირებს მოსახლეობას ყველა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ საქმეთა ელექტრონულ განხილვას და აღსრულებას, იძლევა კორუფციის შესახებ შეტყობინებების გაგზავნის საშუალებას. უზრუნველყოფს თხოვნების, შუამდგომლობების, წინადადებების გაგზავნას, ელექტრონული გზავნილების კონტროლს, სოციალურ-პოლიტიკური ან სხვა შინაარსის დისკუსიებისა და განხილვების წარმოებას.



სამხ. კორეის ელ-ჩართულობის სერვისი – www.epeople.go.kr

საჯარო ინფორმაციის გაცემის ელექტრონული სისტემა www.open.go.kr საშუალებას იძლევა განხორციელდეს ელექტრონულ ფორმატში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნა და მიღება.



სამხ. კორეის საჯარო ინფორმაციის გაცემის ელექტრონული სისტემა – www.open.go.kr

კორეის ელ-მმართველობის მასშტაბური პროგრამა, რომელსაც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ქვეყნის პირველი პირი, ჯერ კიდევ შორეულ 1994 წელს დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ასეულობით მილიონი დოლარი ჩაიდო, მიღწეულმა შედეგმა ნამდვილად განაპირობა ქვეყნის რეგიონული ლიდერობა IT სფეროში და ქვეყნის ბიუჯეტი მნიშვნელოვანი ფინანსური შედეგებით უზრუნველყო. არსებული მონაცემების მიხედვით, ბიუჯეტის ეკონომიამ 1 მილიარდი დოლარი, ხოლო სოციალურ-ეკონომიური ხარჯების დაზოგვამ 16 მილიარდ დოლარი შეადგინა. მოხდა ადმინისტრირების ოპტიმიზაცია: საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე პასუხის გაცემის ვადა შემცირდა 30-დან 7 დღემდე, საჯარო ინფორმაციის 53% გაიცემა ელექტრონულ ფორმატში, ერთი დღიდან 2 წუთამდე შემცირდა საქონლის ექსპორტზე დახარჯული დრო, იმპორტზე 2,5 საათიდან 1,5 საათამდე, მგზავრების რეგისტრაციის დრო 40 წუთიდან 25 წუთამდე, ელ-საბაჟო უზრუნველყოფს წლიურად 2,5 მილიარდი დოლარის დაზოგვას. საგადასახადო დეკლარირების 80% და სერტიფიკატების მიღების 75% ელექტრონულ ფორმატში ხდება და ეს ყველაფერი მხოლოდ 2008 წლის მონაცემებით¹⁰. სავარაუდოდ, ელექტრონული მმართველობის 2010 წლის მიღწევები და ახალი პროგრამები კიდევ უფრო დიდ სარგებელს მოუტანს ზოგადად ქვეყნის მოსახლეობას.

10 http://www.korea.go.kr/new_eng/service/viewContent.do?enContId=00001264605104039000_151

ელ-მმართველობის და ელ-გამჭვირვალობის განვითარების ზოგადი ტენდენციები საქართველოში


საქართველომ ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსით მსოფლიოს 192 ქვეყანას შორის მხოლოდ მე-100 ადგილი დაიკავა. ამ მაჩვენებლით პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს შორის საქართველო მხოლოდ 3 ქვეყანას უსწრებს (სომხეთი 110-ე, ტაჯიკეთი 122-ე და თურქმენეთი 130-ე).

184 ქვეყანას შორის საქართველომ მე-100 ადგილი დაიკავა ონლაინ სერვისების რეიტინგში, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების ინდექსით საქართველო მხოლოდ 115-ე ადგილზეა. ადამიანური რესურსების პოტენციალის ინდექსით საქართველო 52-ე ადგილს იკავებს 184 ქვეყანას შორის. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოს ელექტრონული ჩართულობის რეიტინგში აქვს 127-ე ადგილი.

საქართველოში ელ-მმართველობის სფეროების განვითარების შეფარდება



საქართველოს მაჩვენებლების შეფარდება მსოფლიოს საშუალო მაჩვენებლებთან




როგორც ზემოთ მოყვანილი სტატისტიკური გრაფებიდან იკვეთება, საქართველოს ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მოსახლეობის ელექტრონული ჩაბმულობის ინდექსის მიხედვით აქვს. თუ სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარება საკმაოდ დიდ ფინანსურ დანახარჯებს და მნიშვნელოვან კაპიტალდაბანდებს მოითხოვს მთავრობისა და ბიზნეს სექტორისგან, ელ-ჩართულობის განვითარება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე და საკითხისადმი სახელმწიფო სტრუქტურების შესაბამის მიდგომაზე. მსოფლიოს 184 ქვეყანას შორის მოსახლეობის ელექტრონული ჩართულობის ინდექსით 127-ე ადგილი საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია. ეს უმეტესწილად გამოწვეულია სახელმწიფო სტრუქტურების და საზოგადოების ინფანტილური დამოკიდებულებით ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისადმი. ამავე დროს, ადამიანური რესურსების განვითარების მაღალი მაჩვენებელი (52-ე ადგილი მსოფლიოში) ადასტურებს საქართველოს მოსახლეობის მზაობას აქტიურად ჩაერთოს მთავრობის მიერ ინიცირებულ ელექტრონულ პროექტებში. აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, თუ გეოგრაფიულად და მოსახლეობის რაოდენობით დიდ ქვეყნებში მოქალაქეების ელექტრონული ჩართულობა ძირითადად ლოკალურ, ადგილობრივ დონეზეა შედეგის მომტანი, ისეთ მცირე ქვეყანაში როგორც საქართველოა ელ-ჩართულობამ შეიძლება რეალური ეფექტი მოახდინოს, რადგანაც ხელისუფლებას აქვს პირდაპირ წვდომა საკუთარ მოქალაქეებზე და, შესაბამისად, გამარტივებულია მათი ჩაბმა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. **„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“** (შემდგომში IDFI) მიერ საქართველოს ოფიციალური ინტერნეტ რესურსების (ვებ-გვერდების) საინფორმაციო გამჭვირვალობის მონიტორინგმაც ცხადყო, რომ საჯარო დაწესებულებები (სამინისტროები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები) ნაკლებ ყურადღებას უთმობენ თავიანთი ვებ-გვერდების დამთვალიერებელთან ინტერაქტიული კავშირის დამყარებას. თითქმის არც ერთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ ფუნქციონირებს ფორუმი ან ბლოგი, სპეციალური განყოფილებები, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საჯარო განხილვების მოწყობა თუ ინიციატივების განხილვა, ონლაინ გამოკითხვები, ვებ 2.0 დამახასიათებელი სოციალური ქსელების აპლიკაციები და სხვა. იშვიათია ვებ-გვერდებზე ონლაინ კონსულტაციების ფუნქციები, სოციალურ ქსელებში ინფორმაციის გავრცელების პროგრამული საშუალებები, მობილურ ტელეფონებზე საინფორმაციო სერვისების მიღების შესაძლებლობა. სახელმწიფო სტრუქტურების დამოკიდებულება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მომხმარებელთა ჩართვასთან დაკავშირებით ფაქტობრივად ანალოგიურია ვებ-გვერდებზე არსებული კითხვა-პასუხის რუბრიკებთან – სადაც ოფიციალური ორგანოები თავად სვამენ კითხვებს და თავადვე სცემენ მათ პასუხს. ვფიქრობთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ რამდენიმე წლის წინ ინიცირებული საჯარო კამპანია „მთავრობის ანგარიში ხალხს“ უფრო ქმედითი იქნებოდა თუ პერმანენტული ინიციატივიდან რეალურ მექანიზმად გადაიქცეოდა. ამ იდეის განხორციელების ყველაზე მარტივი და მისაღები ფორმა კი სწორედ მთავრობის ელექტრონული რესურსების განვითარება იქნებოდა, რადგანაც ანგარიშვალდებულების თანამედროვე და ეფექტურ პლატფორმად ვებ-სივრცეა მიჩნეული.

არსებული ტენდენციის მაგალითად გვინდა მოვიყვანოთ IDFI-ის მიერ ჩატარებული მცირე კვლევის შედეგები. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა სამთავრობო ვებ-გვერდებიდან ელექტრონული ფორმით კონსულტაციის მიღების ეფექტურობის შეფასებას. მოქალაქის სახელზე დარეგისტრირებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები. აღსანიშნავია, რომ კვლევის ობიექტებიდან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო


ტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.mcs.gov.ge) არ მოიძიებოდა არც ელექტრონული ფოსტის მისამართი და არც მიმართვის ელექტრონული ფორმა, ასეთივე მდგომარეობა იყო სატყეო დეპარტამენტის (www.forestry.gov.ge), ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ფონდის (www.atipfund.gov.ge) ვებ-გვერდებზე, ელ-შეტყობინების გასაგზავნი ფორმა არ მუშაობდა სოციალური მომსახურების სააგენტოს (www.ssa.gov.ge) ვებ-გვერდზეც. საბოლოო ჯამში, ელექტრონული შეკითხვის გაგზავნა მოხერხდა 14 სამინისტროსა და მათ სისტემაში შემავალ 26 სსიპ-ის ელექტრონულ მისამართზე. გამოკითხული 40 საჯარო დაწესებულებიდან პასუხი მხოლოდ 15-სგან მივიღეთ.

საჯარო დაწესებულებების ონლაინ შეკითხვების გაგზავნის სტატისტიკა



საჯარო დაწესებულებების ონლაინ პასუხების სტატისტიკა (შეკითხვები გაეგზავნა 14 სამინისტროსა და 26 სსიპ-ს)

დასმული შეკითხვა: „თქვენი დაწესებულების რომელი სტრუქტურული ერთეულია პასუხისმგებელი საზოგადოებასთან ურთიერთობაზე, რომელ განყოფილებაში გავგზავნო მიმართვა?“



კიდევ ერთი ნეგატიური ტენდენცია გამოიკვეთა მას შემდეგ რაც IDFI-იმ გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ოფიციალური ვებ-გვერდების 2009-2010 წლების ინტერნეტ-მომხმარებელთა რიცხვის შესახებ. საჯარო ინფორმაცია გამოვითხოვეთ საქართველოს პარლამენტიდან, პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან, ქალაქ თბილისის მერიიდან, 16 სამინისტროდან, შესყიდვების, სამოქალაქო და საჯარო რეესტრების სააგენტოებიდან. სამწუხაროდ, უწყებათა უმეტესობამ საერთოდ არ გაგვცა ოფიციალური პასუხი დასმულ შეკითხვაზე. ხოლო მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ საქართველოს პარლამენტს, ენერჯეტიკის სამინისტროს, ისევე როგორც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს არ ჰქონდათ სტატისტიკური მონაცემები მათი ვებ-გვერდების დამთვალიერებელთა რიცხვის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დამოკიდებულება საკუთარი საინფორმაციო რესურსის საზოგადოებრივი ცნობადობის შესახებ ხელს ნამდვილად არ უწყობს საქართველოში ელექტრონული ჩართულობის განვითარებას.

ამავე დროს, მიღებულმა საჯარო ინფორმაციამ დაადასტურა ის ფაქტიც, რომ ოფიციალური ვებ-რესურსების მომხმარებელთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. მაგალითად, 2010 წელს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.government.gov.ge) 200066 მომხმარებლის ელექტრონული ვიზიტი დაფიქსირდა, იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.justice.gov.ge) 313500, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ვებ-გვერდზე (www.mrdi.gov.ge) 52855, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.spa.ge) 206874, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.cra.gov.ge) 188818. განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მომხმარებელთა რიცხვის ზრდის სტატისტიკა: 2009 წელს – 309035 მომხმარებელი და სამჯერ მეტი, 999402 დამთვალიერებელი 2010 წელს. ოფიციალური სამთავრობო ინტერნეტ რესურსების დამთვალიერებელთა რიცხვის ზრდის დინამიკა ადასტურებს იმ გარემოებას, რომ საქართველოში შექმნილია ყველა წინაპირობა ელექტრონული ჩართულობის განსავითარებლად.

რაც შეეხება საქართველოში ელექტრონული სერვისების განვითარებას, 2010 წელს ამ კუთხით ნამდვილად პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება. საქართველოში ამ სფეროს განვითარების ლიდერებად აღმასრულებელი ხელისუფლების ორი დაწესებულება გვევლინება – ფინანსთა და იუსტიციის სამინისტროები. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.mof.gov.ge) თავმოყრილია საკმაოდ ბევრი ელექტრონული სერვისი: ავტომობილის განბაჟების ღირებულების გამოთვლა, ქონების გადასახადის განაკვეთების და კოეფიციენტების გამოთვლის ონლაინ სისტემა, შევსებული სარეგისტრაციო ანკეტების ვებ-კამერით აქტივაცია, დეკლარაციის ონლაინ შევსებისა და გაგზავნის საშუალება, საჯარო სამსახურის დეკლარაციის შევსება, საფოსტო გზავნილების ელექტრონულად განბაჟება, ონლაინ აუქციონი და ონლაინ გადახდების საშუალება. გარდა ამისა, ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია მნიშვნელოვანი მონაცემები: ელექტრონული ბიუჯეტი, ინფორმაცია მეწარმეთა შესახებ, საქველმოქმედო და სალარო აპარატების რეესტრები და სხვა. მეტი ინტერაქტივისთვის საიტზე ინტეგრირებულია აუდიო/ვიდეო განმარტებები. ამავ დროს აღსანიშნავია ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ელექტრონული სერვისების ცალკე ვებ-პორტალის ამოქმედება (www.rs.ge), რაც გადასახადის გადახდელს საქმიანობას მნიშვნელოვნად გაუადვილებს.



შემოსავლების
სამსახურის
სერვისების
ელექტრონული
სისტემა - www.rs.ge

ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკური სამსახური G2G და G2E-ის მიმართულებით ახორციელებს მნიშვნელოვან ელექტრონულ პროექტებს: სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა (eTreasury), დოკუმენტბრუნვის მართვის ელექტრონული სისტემა (eDocument), სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემა (eBudget), სახელმწიფო სექტორის ელექტრონული სისტემების ფინანსური მართვის ერთიან საინფორმაციო სისტემაში გაერთიანება, ყველა ელექტრონული სისტემის სახელმწიფო ფინანსური მართვის ერთიან, უნიფიცირებულ სისტემაში ინტეგრაცია და სხვა.¹¹

ელექტრონული მომსახურებები დაინერგა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაშიც. ახალი ინიციატივის განხორციელების შემდეგ შესაძლებელი გახდა პროგრამა სკაიპის გამოყენებით ონლაინ რეჟიმში ნებისმიერი სახის თანხმობის, განცხადების, მინდობილობისა და რწმუნებულების ნოტარიული დამოწმება, ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე (www.notary.ge) შესაძლებელია იურიდიული კონსულტაციის მიღებაც. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობებთან ინტეგრირებულმა მონაცემთა ელექტრონულმა ბაზამ გაზარდა სხვადასხვა საჯარო ინფორმაციაზე მოსახლეობის ელექტრონული ხელმისაწვდომობის ხარისხი. ფუნქციონირებს აღსრულების ეროვნული ბიუროს (www.nbe.gov.ge) მოვალეთა და სააღსრულებო საქმისწარმოების ელექტრონული რეესტრები. საკანონმდებლო მაცნეს ვებ-გვერდზე (www.matsne.gov.ge) ელექტრონული ფორმით გამოქვეყნებულმა ნორმატიულმა აქტებმა იურიდიული ძალა შეიძინეს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული სერვისის საშუალებით უცხოეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მიეცათ აიღონ პასპორტი, სააგენტო გეგმავს ძალიან მნიშვნელოვანი სიახლის დანერგვას - ელექტრონული პირადობის მონწილობა (eID). მონწილობა პლასტიკური ბარათის ტიპის იქნება და მასზე ელექტრონული ხელმოწერა იქნება განთავსებული. eID ბარათი შეითავსებს სოციალური, დაგროვების და მგზავრობის ბარათების, სადაზღვევო პოლისის და სხვა ფუნქციებს. ელექტრონული ხელმოწერა საშუალებას მისცემს მოქალაქეს აწარმოოს სხვადასხვა ონლაინ ფინანსური ოპერაციები და მიიღოს არსებული ელექტრონული სერვისები, ბარათით ხელმოწერილ ნებისმიერ ელექტრონულ დოკუმენტს ოფიციალური ძალა ექნება. 2010 წლის დასაწყისში იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შეიქმნა ახალი სსიპ-ი - მონაცემთა გაცვლის სააგენტო, რომლის მიზნადაც მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბება და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარება განისაზღვრა. მომხმარებლისათვის ელ-სერვისებზე წვდომის გამარტივების მიზნით აღნიშნულმა სააგენტომ საქართველოში არსებული ელექტრონული სერვისების თავმოსაყრელად შექმნა ვებ-გვერდი - www.e-government.ge.


11 <http://www.fas.ge/4219>



ელ-სერვისების პორტალი (მონაცემთა გაცვლის სააგენტო) – www.e-government.ge

ამავე დროს, სააგენტო ევროკავშირთან პარტნიორობის ფორმატში გეგმავს პროექტ E-Georgia განხორციელებას. ოფიციალური განცხადების მიხედვით პროექტი საქართველოში ელ-მმართველობის შემდგომ განვითარებას ემსახურება და სამ ეტაპად იყოფა: 1) ევროკავშირის ქვეყნებში ადაპტირებული პრაქტიკის საუკეთესო მოდელების ქართულ რეალობაში იმპლემენტაცია; 2) შესაბამისი რეგულაციებისა და სტანდარტების დანერგვა; 3) ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფა მძლავრი ინსტიტუციური მექანიზმის – კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი რეაგირების ჯგუფის (CERT) მეშვეობით. პროექტის დახმარებით მონაცემთა გაცვლის სააგენტო გეგმავს სახელმწიფო უწყებთაშორის ქსელის შექმნას, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარებას და მონაცემთა დაცვის სანდო მექანიზმის დანერგვას.¹²


ელექტრონული გამჭვირვალობის კუთხითაც საქართველოში შეინიშნება რიგი დადებითი ტენდენციები. პირველ რიგში აღსანიშნავია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის დანერგვა, რაც 2010 წლის ბოლოს განხორციელდა. სახელმწიფო ტენდერების ელექტრონული რესურსის შექმნა საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცებული გეგმის ნაწილია. ვებ-პორტალი უზრუნველყოფს ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილე ნებისმიერი პირისათვის. ასეთი ელექტრონული სისტემა ხელს უწყობს ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებას, უზრუნველყოფს შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მიღებას და გამჭვირვალეს ხდის მიმდინარე ტენდერების პროცესს. (www.procurement.gov.ge)



სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა – <https://tenders.procurement.gov.ge>

12 <http://e-government.ge/news-169-1.html>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, მიმართული ანგარიშგაღებულებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, საჯარო მმართველობის სფეროში ხორციელდება. საჯარო სამსახურის ბიურომ ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდომი გახადა საჯარო მოხელეების მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები (www.csb.gov.ge). იგივე ბიურო ადმინისტრირებას უწევს სპეციალურად შექმნილ ვებ-გვერდს (www.jobs.gov.ge), რომელიც ხელს უწყობს საჯარო სამსახურში დასაქმების მსურველთა ინფორმირებულობის დონის გაზრდას.



თანამდებობის პირთა დეკლარაციების საძიებო სისტემა საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე - www.csb.gov.ge

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი საჯარო მონაცემთა ბაზები განთავსებული ფინანსთა სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარებისთვის. სახელმწიფო ორგანოები მნიშვნელოვან საჯარო ინფორმაციას ფლობენ სხვადასხვა სოციალური, ეკონომიკური თუ ფინანსური საკითხების შესახებ. ხშირად, პრობლემატური ხდება ამ საჯარო ინფორმაციის გაცემა, პირველ რიგში არასწორი ადმინისტრირების ან შეზღუდული რესურსების გამო. ამიტომაც წამყვანი დემოკრატიული ქვეყნები პრაქტიკაში აქტიურად ნერგავენ მონაცემების ელექტრონული ხელმისაწვდომობის სტანდარტებს. მაგალითად, აშშ-ში ელ-გამჭვირვალობის უმთავრეს პროექტად საჯარო მონაცემების ელ-ბაზა მიჩნეული (www.data.gov), ასეთივე ელექტრონული ბაზა ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში (www.data.gov.uk). სამწუხაროდ, ღია მონაცემების (open data) პროაქტიულად გამოქვეყნების პოლიტიკა ჯერჯერობით არ ატარებს საქართველოში ინსტიტუციურ ხასიათს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული მმართველობის განვითარების კუთხით საქართველოში დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა. პრაქტიკაში ინერგება თანამედროვე IT ტექნოლოგიები და იგეგმება მნიშვნელოვანი ელექტრონული პროექტები. 2007 წლიდან ფუნქციონირებს ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია. კომისიას უშუალოდ კურირებს მთავრობის კანცელარია და მის შემადგენლობაში შედიან როგორც სფეროს ექსპერტები, ისე იმ საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებიც ჩართული არიან საქართველოში ელ-მმართველობის დანერგვის პროცესში. კომისიის მიზანია ელექტრონული მმართველობის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებების ურთიერთქმედების კოორდინაცია. სამწუხაროდ, კომისიის მოღვაწეობისა და საქმიანობის შესახებ ინტერნეტ სივრცეში საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. ამ ეტაპზე ჯერ კიდევ არ არის შექმნილი საინფორმაციო საზოგადოებისა და ელექტრონული მმართველობის განვითარების

სტრატეგიული დოკუმენტი ან სამოქმედო გეგმა. გლობალური ტენდენციები ადასტურებს, რომ „ერთი სარკმლის“ პრინციპი წარმატებული ელ-მმართველობის გასაღებია (ამის დადასტურებად ყაზახეთის მაგალითის მოყვანაც შეიძლება). ყველა საინფორმაციო რესურსისა და ელ-მომსახურების თავმოყრა ერთ კონკრეტულ ვებ-პორტალზე მნიშვნელოვნად უადვილებს მომხმარებელს წვდომას მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციისა თუ მომსახურებისადმი. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ელ-მმართველობის ეფექტური დამკვიდრებისათვის დაგეგმვისა და კოორდინაციის ვალდებულება ზემოდან, ანუ მთავრობიდან უნდა მოდიოდეს. ელ-მმართველობის დამკვიდრების ეს აუცილებელი პირობა კარგად არის განსაზღვრული „ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მონყობის რეფორმის ცენტრის“ მიერ შემუშავებულ კონცეფციაში „ელექტრონული მთავრობა: მმართველობის ორგანოს თანამედროვე ტექნოლოგიით ორგანიზების პრინციპი“:

„ეროვნული მასშტაბით ელექტრონული მთავრობების შექმნა, ანუ ყველა დონის (ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი) და დარგის მმართველობის ორგანოების და საჯარო დაწესებულებების მასობრივი გადაყვანა საქმიანობის საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე წარმოების პრინციპზე, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან უმნიშვნელოვანესი და კომპლექსური ხასიათის პოლიტიკური გადანყვები-ლებების მიღებას გულისხმობს სულ ცოტა, სამი საკვანძო მიმართულებით. ეს მიმართულებებია:


- ინფორმატიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- მმართველობის სისტემის დეცენტრალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკა;
- რაციონალური საჯარო სამსახურის შექმნის სახელმწიფო პოლიტიკა.“¹³

ჩვენის აზრით, ცალკეულად აღებული რომელიმე სამინისტრო ვერ შეძლებს ქვეყნის ელ-მმართველობის ყოვლისმომცველი და მულტიკომპონენტიანი (ცენტრალური, რეგიონული, ადგილობრივი დონეები) პროგრამის ეფექტურ დაგეგმვა და/ან განხორციელებას. სწორედ ცენტრალურმა მთავრობამ უნდა უზრუნველყოს **ტექნიკურ-ტექნოლოგიური** (ქვეყნის კომპიუტერებით აღჭურვა და ინტერნეტის გლობალურ ქსელში გაერთიანება/, სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა), **ინსტიტუციური** (საჯარო სამსახურების, კომპეტენციების და ურთიერთქმედების ლოგიკური სისტემა) და **საინფორმაციო გარემოს** (საზოგადოების ჩართულობა) შესაბამისი პირობების შექმნა. მთავრობამ დაგეგმილი პროგრამებითა და გამიზნული ინვესტირებით უნდა უზრუნველყოს რეგიონების ტექნიკურ/IT ჩამორჩენის აღმოფხვრა. შეიმუშაოს საზოგადოებრივი ელ-ჩართულობის პოლიტიკა, დაამკვიდროს ელექტრონული გამჭვირვალობის სტანდარტები, შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და ა.შ. იმედს გამოვთქვამთ, რომ სფეროს განვითარებაში ჩაბმული იქნება დაინტერესებული საზოგადოებრივი სექტორიც და საინფორმაციო საზოგადოების შექმნით საქართველოში ელექტრონული დემოკრატიის ახალი სტანდარტები დამკვიდრდება.

13 http://www.cegstar.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=46&info_id=1084

თავი II

საქართველოში ელ-მმართველობასა და ელ-გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის მოკლე მიმოხილვა



როდესაც საუბარია ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში ელ-მმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არსებობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირების გაზრდაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსს, რაც მოიცავს საჯარო დაწესებულებების მხრიდან ვებ-გვერდების მეშვეობით მომსახურების განვევას, მომხმარებელთან ინტერნეტით ურთიერთობის სხვა ფორმებს (სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის მიღება, ვაჭრობებში მონაწილეობის საშუალება და ა.შ.) და ინტერაქტივის დამკვიდრებასა და მისი დონის ამაღლებას; ხოლო როდესაც საუბარია ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში ელ-გამჭვირვალობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის არსებობის შესახებ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება იმ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების მეშვეობით ამ დაწესებულებების მმართველობის სფეროში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით გამოქვეყნებას და ამ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, აგრეთვე, ზოგადად, საზოგადოების მონაწილეობას საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო უფლებამოსილებათა განხორციელებას მიკუთვნებულ საკითხთა განხილვასა და მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში.

წარმოგიდგენთ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმ სამართლებრივი ბაზის მოკლე მიმოხილვას, რომელიც მოიცავს ზემოთ ხსენებული საკითხების რეგულირებას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი

2005 წლის 20 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

მოცემული კანონი ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. უნდა აღინიშნოს, რომ იმ სახელმწიფო შესყიდვათა სია, რომელზეც მოცემული კანონი არ ვრცელდება საკმაოდ გრძელია, მაგალითად, კანონი არ ვრცელდება: ელექტროენერჯის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე; უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე; ტელე-რადიო ეთერის დროის შესყიდვასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებით რეკლამის გავრცელებასთან და შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებას ან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე და ა.შ. შესაბამისად, კანონით მონწესრიგებული სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული მმართველობის რეჟიმი დაინტერესებულ პირთათვის საკმაოდ არა ინფორმატიულია, ვინაიდან გულისხმობს მხოლოდ

შებლდული რაოდენობის სახელმწიფო შესყიდვების სახეობების ელექტრონული მმართველობისა და გამჭვირვალობის მეშვეობით რეგულირებას.

2010 წლის აგვისტოში კანონის მე-2 მუხლში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, **კანონი პირდაპირ ადგენს, რომ მისი ერთ-ერთი მიზანია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.** მოცემულ ცვლილებასთან მიმართებაში აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ შესაბამისი ცვლილება მოიცავდა ტერმინ სისტემის შეცვლას ტერმინით – ელექტრონული სისტემა. 2010 წლის მარტში კანონის მე-3 მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად შემოღებულია ცნება – შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი, რომელიც განმარტებულია როგორც რეესტრი, რომელსაც უფლებამოსილი ორგანო (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. მოცემული რეესტრი კანონის თანახმად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. რეესტრში აისახება შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც რეესტრში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვებში, რაც შეიძლება მოვიპოვოთ როგორც ელ-გამჭვირვალობის, კონკრეტული მიმართულებით დამკვიდრების სამართლებრივ რეგულირებად. ამასთან, კანონის ძალით ტერმინი – სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე პირდაპირ გულისხმობს ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვასაც. სახელმწიფო შესყიდვების სფეროში ელექტრონული მმართველობის რეჟიმის დამკვიდრებისათვის ასევე მნიშვნელოვანია კანონით შემოღებული და განსაზღვრული ისეთი ცნებები როგორებიცაა: შემსყიდველი ორგანიზაცია (ის საკანონმდებლო დაზუსტება, რომ შესყიდვის განმახორციელებელი პირის რეგისტრაცია ხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში); 2010 წლის პირველი მარტიდან ამოქმედებული ცნება (ტერმინი) – ელექტრონული საშუალებები (საშუალებები, რომლებითაც შესაძლებელია ინფორმაციის დამუშავება, მათ შორის ციფრული დამუშავება, მიღება-გადაცემა, გავრცელება და შენახვა საკაბელო, ოპტიკური, სამაუნყებლო ან/და სხვა ელექტრონული საშუალებებით); 2010 წლის პირველი აგვისტოდან ამოქმედებული შემდეგი ცნებები (ტერმინები) – ელექტრონული ტენდერი (200 000 ლარის ან მეტი ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის საშუალება), გამარტივებული ელექტრონული ტენდერი (200 000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის საშუალება) და ელექტრონული ვატრობა (ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემადგენელი პროცედურა, რომლის დროსაც პრეტენდენტს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით შეუძლია შეამციროს მის მიერ წარმოდგენილი ფასი შესყიდვის პროცედურაში გამარჯვების მოპოვების მიზნით). ცალკე აღნიშვნის ღირსია, კანონით განსაზღვრული უფლებამოსილი ორგანოს (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო) საქმიანობის განმსაზღვრელი მუხლის კონკრეტული დებულებები. **მაგალითად, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციად კანონი პირდაპირ განსაზღვრავს შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნას, სრულყოფასა და მასზე ზედამხედველობას.** ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების მიზნით და შესყიდვების პროცესში ელექტრონული დოკუმენტი-ბრუნვის უზრუნველსაყოფად სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი, აგრეთვე მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს ნებისმიერი ინფორმაცია

ანდა დოკუმენტი, რომლებსაც აქვთ სრული იურიდიული ძალა. 2010 წლის პირველი მარტიდან ამოქმედდა მუხლი, რომლის თანახმადაც ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ამასთან გამარტივებული შესყიდვაც შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონულად, შემსყიდველი ორგანიზაციის გადანაცვებების საფუძველზე. მართალია, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია პირველად თავსდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, თუმცა ხსენებულ განცხადებას სატენდერო კომისია მოქმედი კანონმდებლობის თანახმად აქვეყნებს გაზეთ „24 საათში“.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული მმართველობის რეჟიმში მოქცევის მცდელობა უმეტესწილად აისახება კანონში 2010 წელს შეტანილ ცვლილებებსა და დამატებებში, შესაბამისად, აღნიშნული საკანონმდებლო სიახლეები პრაქტიკაში ჯერ კიდევ ასათვისებელია.

„სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №9.

2010 წლის 22 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ გამოიცა „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანება №9. ბრძანების მიზანია შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ გადანაცვებების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეწყობა. ბრძანებაში შემოღებულია ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვისათვის ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორებიცაა: შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა, ელექტრონული სახელმწიფო შესყიდვა, სისტემაში რეგისტრაცია, სტუმარი, სისტემის რეგისტრირებული მომხმარებელი და ა.შ.; შემდეგი სახის სტატუსები: ტენდერი გამოცხადებულია, წინადადების მიღება დაწყებულია, წინადადების მიღება დასრულებულია, გამარჯვებული გამოვლენილია, მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება, ხელშეკრულება დადებულია, დასრულებულია უარყოფითი შედეგით, ტენდერი არ შედგა, ტენდერი შეწყვეტილია და ა.შ. ბრძანება პირდაპირ და უშუალოდ ადგენს ელექტრონული მმართველობის რეჟიმს, განსაზღვრავს რა ისეთ მუხლებს, როგორებიცაა სისტემაში რეგისტრაცია, სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსება და განცხადებაში ცვლილების შეტანა, სატენდერო დოკუმენტაციის განთავსება და დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა, წინადადების წარდგენა, საკვალიფიკაციო მონაცემების ჩამოყალიბების პრინციპები, შერჩევა/შეფასება, სატენდერო კომისია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადება და სისტემაში ატვირთვა, ელექტრონული გარანტია და საფასური და მისთ.

ბრძანებაში პირდაპირ მოყვანილია განმარტება, რომ შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი სახელმწიფო შესყიდვების პორტალი (www.procurement.gov.ge), რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის მეშვეობით ღია, გამჭვირვალე და კონკურენტულ გარემოში. ბრძანება აგრეთვე ადგენს სააგენტოსთან ელექტრონული ფოსტით (info@procurement.gov.ge) ურთიერთობის შემდეგ შემთხვევებს: შემსყიდველი ორგანიზაციებისა და მიმწოდებლის მიერ ტექნიკური ან/და პროცედურული საკითხების დაზუსტება, ელექტრონული გარანტიის დედნისა და საფასურის

გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლების გაგზავნა სააგენტოში. დროებით წესთან ერთად ბრძანებით დანართების სახით აგრეთვე დამტკიცებულია მომხმარებლის რეგისტრაციის განაცხადი და აფიდავიტის ფორმა. ზოგადად, შეიძლება აღინიშნოს, რომ ბრძანება კარგად აესებს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული ფორმით განხორციელების „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ზოგად ჩარჩო-დებულებებს, რაც აგრეთვე წარმოადგენს „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 3 ივნისის საქართველოს პრეზიდენტის №376 ბრძანებულებაში მოყვანილი სახელმწიფო შესყიდვების პროცესისა და დახვეწის კონტროლის მიზნის ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპის („ელექტრონული მომსახურებისა და ელექტრონულ სისტემაზე დაყრდნობილი შესყიდვების პრაქტიკის დანერგვა“) გამოძახილს.

„ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი

2008 წლის 14 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მოცემული კანონი განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტ-ბრუნვის სისტემის და მასში ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს. ზემოთ დასახელებული კანონის ძალით საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას. კანონში შემოღებულია ისეთი ცნებები, როგორებიცაა: *ელექტრონული დოკუმენტი*, *ელექტრონული ხელმოწერა*, *ციფრული ხელმოწერა*, *ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატი*, *ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის გამცემი*, *ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა* და ა.შ. კანონის ძალით დადგენილია, რომ ელექტრონულ დოკუმენტზე ციფრული ხელმოწერა ითვლება მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ მართალია ელექტრონული ხელმოწერის უსაფრთხოების პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სახელმწიფოს პირდაპირ ევალება შესაბამისი მექანიზმების შემუშავება, თუმცა კანონი არ აკონკრეტებს თუ რომელმა საჯარო დაწესებულებებმა და რა ვადებში უნდა განახორციელონ ხსენებული მექანიზმების შემუშავება. ზემოთ აღნიშნული პირობების დადგომამდე კანონის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო ორგანოების (ორგანიზაციები, დაწესებულებები, მათ შორის, საჯარო სამართლის იურიდიული პირები) საქმიანობაზე საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, თუ შესაბამისი კანონით საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ხელმოწერის გამოყენების შესაძლებლობა პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ან თუ არ არსებობს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილება. საწინააღმდეგოდ ზემოთქმულისა, კანონი ადგენს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ნებისმიერი საინფორმაციო სისტემიდან გამოთხოვილ ელექტრონულ დოკუმენტს აქვს იურიდიული ძალა, თუ სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული დოკუმენტის დადასტურებას ავტომატურ რეჟიმში. აღნიშნული წარმოადგენს ელექტრონული მმართველობის განვითარებისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ პირველ საკანონმდებლო ნაბიჯს, რაც არსებულ რეალობაში უკვე მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდების მეშვეობით შემოთავაზებული მომსახურების მაგალითზე.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი

2008 წლის 19 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

მოცემული კანონი განსაზღვრავს საჯარო რეესტრის წარმოების ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო რეესტრის მწარმოებელი ორგანოს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლება-მოვალეობებს, მის მიერ გაწეული მომსახურების ვადებს, საფასურის განაკვეთებს, საფასურის გადახდის, გადახდისაგან გათავისუფლების და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესსა და პირობებს. კანონში განმარტებულია ისეთი ცნებები, როგორებიცაა: რეგისტრაცია, სარეგისტრაციო წარმოება, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ა.შ. კანონი ადგენს, რომ საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით სააგენტო იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას და მართვის ავტომატურ საშუალებებს. ამასთან, სააგენტო უფლებამოსილია ელექტრონული ასლის სახით შეინახოს და გასცეს თავის მიერ შექმნილი ან თავისთან დაცული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელთა ელექტრონულ ასლებს და მათ ამონაბეჭდებს აქვთ ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც ამ დოკუმენტებს. სააგენტო აგრეთვე უფლებამოსილია ნებისმიერი ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით, დოკუმენტაციამაც მონაცემები შეიძლება შეტანილი იქნეს როგორც მექანიკური, ისევე ელექტრონული საშუალებებით. **სამწუხაროდ, კანონი პირდაპირ არ ავალდებულებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე მოცემული დოკუმენტაციის განთავსებას, გათვალისწინებულია მხოლოდ დოკუმენტების შენახვა და გაცემა, რაც არ გულისხმობს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებას.**

საინტერესოა რეგისტრაციის ზოგადი პრინციპების დანერგვაც, რაც მოიცავს იმ ფაქტს, რომ რეგისტრაცია წარმოებს როგორც სარეგისტრაციო დოკუმენტების, აგრეთვე ამ დოკუმენტაციის ელექტრონული ასლების საფუძველზე. მართვის ავტომატური საშუალების გამოყენებით წარმოდგენილი განცხადების რეგისტრაციაში გატარების წინაპირობაა რეგისტრაციის საფასურის გადახდა. კანონი აგრეთვე არეგულირებს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების საფუძვლებს და იქვე განმარტავს, რომ, როგორც წესი, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების ვადაა 30 კალენდარული დღე. ამასთან, ეს ვადა აითვლება შესაბამისი გადაწყვეტილების დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან, ხოლო გადაწყვეტილების სააგენტოს შესაბამის ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შემთხვევაში – გამოქვეყნებიდან. **ანუ ამ შემთხვევაში გარკვეული სახის ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მხოლოდ ალტერნატივა არის მოცემული.** ანალოგიურ შემთხვევას აგრეთვე ვაწყდებით სააგენტოს მიერ რეგისტრაციის საკითხზე გადაწყვეტილების გამოცემისას, როდესაც სხენებული გადაწყვეტილება გამოიცემა წერილობითი ფორმით, რომელიც შეიძლება გამოიცეს მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენებითაც. თვით გადაწყვეტილება ძალაში შედის საქართველოს კანონმდებლობის დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე, ხოლო გამოქვეყნებად აგრეთვე ჩაითვლება გადაწყვეტილების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებაც.

შესაბამისად, ელექტრონული მმართველობის გარკვეული ნიშნების რეგულირების პირობებში, ელექტრონული გამჭვირვალობის საფუძველს კანონი იმპერატიულად პირდაპირ არ ადგენს. თუმცა, სხენებული კანონის თანახმად, მართვის ავტომატური საშუალებების გამოყენების, ასევე დოკუმენტის დამონშების წესი და პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციით.

„საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება №4

2010 წლის 15 იანვარს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოიცა „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება №4

ინსტრუქცია განსაზღვრავს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საჯარო რეესტრის წარმოებისა და ინფორმაციის გაცემის წესებსა და პირობებს, წარმოებაში მონაწილე მხარეებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. იმ ნაწილში, სადაც ბრძანებით მოწესრიგებულია დოკუმენტაციისა და მათი ასლის გაცემა დადგენილია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო უფლებამოსილია ნებისმიერი დოკუმენტი მიიღოს, გამოსცეს ან გასცეს როგორც ქალაქის მატარებლებზე, ასევე ელექტრონული და მართვის ერთიანი ავტომატური საშუალებების გამოყენებით. აქვე არსებობს პირდაპირი მითითება, რომ ელექტრონული სახით დოკუმენტი გაიცემა სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის – www.napr.gov.ge შესაბამისი ბმულების მეშვეობით და მისი ამონაბეჭდის მიმართ დედანთან სისწორის დამოწმებისათვის დადგენილი წესები არ გამოიყენება. ამასთან, ამ ამონაბეჭდს აქვს იგივე იურიდიული ძალა, რაც თავად ელექტრონული სახით გამოცემულ დოკუმენტს. ელექტრონული მმართველობის სპეციფიკურ სამართლებრივ რეგულირებას აგრეთვე იძლევა განცხადებისა და დოკუმენტების წარდგენის შესახებ მუხლიც, რომლის თანახმადაც სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია სააგენტოში შეიძლება წარდგენილ იქნეს ნებისმიერი ტერიტორიული სამსახურისათვის ან ავტორიზებული პირისათვის მიმართვით, პირადად, ელექტრონულად ან ფოსტის მეშვეობით. განცხადების ფოსტის მეშვეობით წარდგენისას განცხადებაზე ხელმოწერა უნდა დამოწმდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინსტრუქცია აწესებს ელექტრონული მმართველობის ზოგად რეჟიმს იმ ნაწილში, რაც გულისხმობს სააგენტოს მიერ როგორც დოკუმენტაციის გაცემას, ასევე მიღებასაც.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის ახლებური რედაქცია

2011 წლის პირველი იანვრიდან ძალაში შევიდა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის ახლებური რედაქცია, რომელიც არეგულირებს ნორმატიული აქტების გამოქვეყნების საკითხს. **მოცემული მუხლის თანახმად ნორმატიული აქტის ოფიციალურ ანუ იურიდიულ ძალის მქონე გამოქვეყნება ითვლება მისი სრული ტექსტის „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე პირველად გამოქვეყნება.** ამასთან, კანონის თანახმად, ამავე ვებ-გვერდზე ელექტრონული ფორმით განთავსებულ სისტემატიზებულ ნორმატიულ აქტებს გააჩნიათ აგრეთვე ოფიციალური იურიდიული ძალა. ამავე კანონით განისაზღვრება ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვისა და სისტემატიზაციის საკითხები. 2010 წლის 2 ივლისს ძალაში შესული შესაბამისი ცვლილების თანახმად „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების სახელმწიფო აღრიცხვისა და სისტემატიზაციის და სამართლებრივი სისტემის საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით იქმნება ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრი, რომელიც ასევე წარმოებს ელექტრონული ფორმით „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე. ელექტრონული გამჭვირვალობის რეგულირების რეჟიმის პარალელურად კანონი განსაზღვრავს მოცემულ სფეროსთან მიმართებაში ელექტრონული მმართველობის

რეჟიმსაც, რაც აისახება უკვე ხსენებულ 26-ე მუხლში მოყვანილ ირიბი მითითებით, იმის თაობაზე რომ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტის გამოქვეყნებისა და მომსახურების საფასურის ოდენობა, ასევე გადახდის წესი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.

„საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება №225

2010 წლის 6 დეკემბერს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ გამოიცა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ ნორმატიული აქტების გამოქვეყნებისა და მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობისა და გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბრძანება №225.

ბრძანება მოქმედებს 2011 წლის პირველი იანვრიდან. იგი ადგენს საფასურის ორ სახეს – გამოქვეყნების საფასურს და მომსახურების საფასურს. ბრძანებით გამოქვეყნების საფასური დაწესებულია „მაცნეს“ ვებ-გვერდზე ნორმატიული აქტებისა და სხვა საინფორმაციო დოკუმენტების გამოქვეყნებისათვის, ხოლო მომსახურების საფასური დაწესებულია „მაცნეს“ ვებ-გვერდზე განთავსებული სისტემატიზებული ნორმატიული აქტებით სარგებლობისათვის, აგრეთვე თემატურად კლასიფიცირებული ნორმატიული აქტების ელექტრონულად მიწოდებისათვის.

„ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ დადგენილება №280

2007 წლის 17 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მიიღო „ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ დადგენილება №280. დადგენილებით განსაზღვრულია კომისიის შემადგენლობა და დამტკიცებულია ელექტრონული მმართველობის განვითარების ხელშეწყობი სამთავრობო კომისიის თანდართული დებულება. თვით კომისია წარმოადგენს „საქართველოს ზოგიერთი სამთავრობო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა ერთიანი სამთავრობო ქსელის შექმნის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 ნოემბრის 511 განკარგულებით შექმნილი კომისიის უფლებამონაცვლეს. დადგენილების თანახმად კომისიის ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს მიეკუთვნება: სახელმწიფო დაწესებულებების მიერ განეული მომსახურების ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით მიწოდების ხელშეწყობა; სახელმწიფო დაწესებულებების საქმიანი პროცესების ოპტიმიზაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების საშუალებით; სახელმწიფო დაწესებულებებში ელექტრონული ხელმოწერის დანერგვის კოორდინაცია; საქართველოს მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო ორგანოების ერთიანი საინფორმაციო რესურსების შექმნის კოორდინაცია და ა.შ.

კომისიის ძირითად უფლება-მოვალეობებს მიეკუთვნება: თემატური სამუშაო ჯგუფების შექმნა, შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის განსახილველად წარდგენა, ბიზნესის საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა და ა.შ.

გემოხსენებული წარმოადგენს სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული მმართველობის განვითარებისაკენ გადადგმულ საკმაოდ მნიშვნელოვან ნაბიჯს, მიუხედავად

დადგენილებაში მოყვანილ დებულებათა ზოგადი ხასიათისა, აღნიშნული ამჟამად მიუთითებს სახელმწიფოს ნებაზე შეამზადოს ზოგადი ნიადაგი სამომავლო კონკრეტული ელექტრონული მმართველობის ელემენტების დასაწერად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს დადებით გარემოებას. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილებით განსაზღვრულია კომისიის სხდომების ოქმების წარმოება, **კომისიის სხდომების საოქმო ჩანაწერებში მოყვანილი ინფორმაციის ღიაობა ძალზედ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ელექტრონული მმართველობის დაწესების მიმართული ნაბიჯების საფუძვლების ფართო საზოგადოების მიერ გასაცნობად.** კომისია მოქმედია და მისი შემადგენლობა ყოველწლიურად იცვლება, მის შემადგენლობაში უკანასკნელი ცვლილება საქართველოს მთავრობის №33 დადგენილებით 2010 წლის 9 თებერვალს განხორციელდა.

უკანასკნელ წლებში შემოღებული ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის სამართლებრივი რეგულირების სხვა კონკრეტული მაგალითები

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მოქმედ საკანონმდებლო სივრცეში ელექტრონული მმართველობის მარეგულირებელი ნორმები გაცილებით უფრო ხშირადაა წარმოდგენილი, ვიდრე ელექტრონული გამჭვირვალობის მარეგულირებელი ერთეული ნორმები. გარდა ზემოთ მოყვანილისა, უკანასკნელ წლებში შემოღებული ელექტრონული მმართველობის სამართლებრივი რეგულირების კონკრეტულ მაგალითებს მიეკუთვნება:

2009 წლის 17 ივლისს მიღებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონი და 2009 წლის 22 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №228 „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს დებულების დამტკიცების“ შესახებ, მოცემული სამართლებრივი აქტებით სააგენტოს უშუალო ფუნქციებად განისაზღვრა სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებისას ელექტრონული მმართველობის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი სისტემის შექმნა, ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ახალი სახის მომსახურების დანერგვა, მონაცემთა შენახვისა და მიწოდების სტანდარტის დანერგვა, ელექტრონული დოკუმენტების გაცვლის ერთიანი სისტემის შექმნა და ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა, რამაც პრაქტიკული ასახვა ჰპოვა მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ შექმნილი ვებ-გვერდის – www.e-government.ge -ს სახით. აღნიშნული ვებ-გვერდი წარმოადგენს საქართველოს ელექტრონულ სამთავრობო რესურსებზე წვდომის გაადვილების მიზნით შექმნილ პორტალს, სადაც შესაძლებელია კატეგორიების მიხედვით დახარისხებული იმ ნებისმიერი სახის ელექტრონული მომსახურების მოძიება, რაც რეალურად გააჩინა საქართველოს სამთავრობო უწყებებს;

2009 წლის 28 დეკემბრის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „მოვალეთა რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ №234 ბრძანებით განისაზღვრა, რომ მოვალეთა რეესტრის წარმოება ხორციელდება ელექტრონული საშუალებებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ. აღნიშნულმა პრაქტიკული ასახვა ჰპოვა აღსრულების ეროვნული ბიუროს შესაბამისი ვებ-გვერდის შექმნით <https://public.reestri.gov.ge/DEBT>, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია

ლია მოვალეთა რეესტრში რეგისტრირებულ პირთა შესახებ ინფორმაციის მოძიება. სსენებული ბრძანებით აგრეთვე განისაზღვრა, რომ რეესტრიდან ამონაწერის ან შესაბამისი ცნობის მიღების შესახებ განცხადების წარდგენა შესაძლებელია აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიულ ორგანოებში – აღსრულების ბიუროებში ან აღსრულების ეროვნული ბიუროს ვებ-გვერდის მეშვეობით (www.nbe.gov.ge);

2009 წლის პირველი აგვისტოდან „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის 18-ე მუხლში ამოქმედებული ცვლილების თანახმად თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის მიღებას, შესაბამისი თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის საჯაროობასა და დეკლარაციის დროულად ჩაბარებაზე კონტროლს უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო სამსახურის ბიურო, ბიურო აგრეთვე უზრუნველყოფს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შინაარსის საჯაროობას. აღნიშნულმა ასახვა ჰპოვა ბიუროს ვებ-გვერდზე მოყვანილ თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების საძიებო სისტემაში - <http://www.csb.gov.ge/content.php?id=3&lang=geo>;

2010 წლის 5 ივლისის საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მონმობისა და ბინადრობის (დროებითი და მუდმივი) ელექტრონული მონმობის მახასიათებლების დამტკიცების შესახებ“ №216 ბრძანების ძალით საჯარო სამართლის იურიდიული პირს – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დაევალა საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონული მონმობისა და ბინადრობის (დროებითი და მუდმივი) ელექტრონული მონმობის დამზადებისათვის საჭირო ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება, ბრძანებით აგრეთვე დამტკიცდა ელექტრონული პირადობის მონმობის მახასიათებლებიც;

საქართველოს იუსტიციის მინისტრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ №209 ბრძანებაში 2010 წლის 31 დეკემბერს დამატებული მე-41 მუხლის თანახმად, სააგენტოს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის – დისტანციური მომსახურების სამსახურის უფლებამოსილებებად განისაზღვრა: ელექტრონული ფორმით, პირდაპირი ვიზუალური კავშირის დამყარების შედეგად წარმოდგენილი განცხადებებს მიღება, სსენებული განცხადებებისა და მათზე დართული დოკუმენტების დამუშავება და დამუშავებული დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით სააგენტოს ტერიტორიული სამსახურისათვის გადაცემა;

საქართველოს ფინანსთა მინისტრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ №523 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის 2011 წლის 6 იანვარს დამატებული გ) 12 ქვე-პუნქტით განისაზღვრა, რომ სააგენტო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების რეალიზაციის ხელშეწყობას აუქციონის (ინტერნეტ-აუქციონის, საჯარო აუქციონის), პირდაპირი მიყიდვის (ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, სავაჭრო ობიექტების, მათ შორის ინტერნეტ მაღაზიის საშუალებით) ფორმებით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ამავე ბრძანებაში 2011 წლის 6 იანვარს განხორციელებული ცვლილებების თანახმად მარკეტინგისა და ინოვაციების სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციად განისაზღვრა ქონების ელექტრონული აუქციონისა და ელექტრონული მაღაზიის საშუალებით რეალიზაციის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინაცია. აღნიშნულმა პრაქტიკული ასახვა ჰპოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცალკევებული ვებ-გვერდის - www.eauction.ge-ს სახით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ 2010 წლის 31 დეკემბერს გამოცემული №996 ბრძანე-

ბის 11-ე მუხლით (ელექტრონული რეგისტრაცია) განისაზღვრა, რომ შემოსავლების სამსახურსა და გადასახადის გადამხდელს შორის კომუნიკაცია შესაძლებელია განხორციელდეს ელექტრონული ფორმით, ონლაინ რეჟიმში, შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის www.rs.ge გამოყენებით. ხსენებული ვებ-გვერდის მეშვეობით პირის მიერ ელექტრონული ფორმით შედგენილი და წარდგენილი დოკუმენტი/წერილი, ასევე საგადასახადო ორგანოს მიერ ელექტრონული ფორმით შექმნილი და გაგზავნილი დოკუმენტი/წერილი არ საჭიროებს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და მას აქვს ისეთივე იურიდიული ძალა, როგორც წერილობითი ფორმით წარდგენილ/გაგზავნილ, პირადი ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებულ წერილს/დოკუმენტს. ელექტრონული ფორმით კომუნიკაციაზე გადასვლა ხორციელდება გადასახადის გადამხდელის მიერ ვიდეოზარით მიმართვის ან შესაბამისი წერილობითი განცხადების საფუძველზე. ამასთან, განცხადების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანო უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის გადაყვანას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმაზე და მოკლე ტექსტური შეტყობინებით აცნობებს მას ავტორიზაციის შესახებ. გარდა ხსენებულისა, გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს ვიდეოზარით მიმართვის ან წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე მიმართოს საგადასახადო ორგანოს ელექტრონული ფორმით კომუნიკაციისას გამოსაყენებელი დაკარგული სახელწოდების/პაროლის აღდგენის მიზნით და აგრეთვე შეწყვიტოს ელექტრონული ფორმით კომუნიკაცია. ამავე ბრძანების მე-13 მუხლით (ელექტრონული საჩივარი) განისაზღვრა, რომ პირი უფლებამოსილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ელექტრონული საჩივარი წარადგინოს შემოსავლების სამსახურის ან სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით, რაც მას არ ართმევს უფლებას საგადასახადო დავის განმხილველ ორგანოსთან კომუნიკაცია აწარმოოს წერილობითი ფორმით. ამასთან, სამსახურის ვებ-გვერდის საშუალებით წარდგენილი ელექტრონული საჩივარი და თანდართული დოკუმენტები ითვლება მომჩივნის მიერ ხელმოწერილად და დანომრილად. პირს ინფორმაცია მის მიერ წარდგენილი საჩივრის განხილვების ეტაპებისა და განხილვის შედეგების შესახებ მიწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, რაც არ ათავისუფლებს საგადასახადო დავის განმხილველ ორგანოს ვალდებულებისაგან, მომჩივანს წერილობით შეატყობინოს საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. 93-ე მუხლის თანახმად, სამორინეს, ტოტალიზატორის, სათამაშო აპარატების სალონის, ლოტოს, ბინგოს, წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვა შემოსავლების სამსახურის მიერ გაიცემა პოლიგრაფიული შესრულების ფორმით ან ელექტრონულად, შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის (www.rs.ge) მეშვეობით, ხოლო 63-ე მუხლის თანახმად იმპორტის დღგ-ით დაბეგვრის სპეციალური წესით მოსარგებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე შეტყობინების მიზნით, საგადასახადო ორგანო პირს უგზავნის მოკლე ტექსტურ შეტყობინებას შემოსავლების სამსახურის ოფიციალური ვებ-გვერდის www.rs.ge-ის მეშვეობით. **როგორც ირკვევა, ზემოხსენებული უახლესი ბრძანება იძლევა ელექტრონული მმართველობის ვრცელ და მნიშვნელოვან რეგულირებას და განსაზღვრავს ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს (მოკლე ტექსტური შეტყობინება, ვიდეოზარი, კომუნიკაცია ოფიციალური ვებ-გვერდით).**

კონკრეტულ სფეროებთან მიმართებაში ელექტრონული მმართველობის გეგმით მოყვანილი მარეგულირებელი ნორმების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, საილუსტრაციოდ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ნაბიჯების სანყის ეტაპზე იმპლემენტაციის მცდელობებს. გაცილებით მწირად და ქაოტურად არის წარმოდგენილი საკითხთან მიმართებაში ელექტრონული გამჭვირვალობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები. მდგომარეობას ერთობ ამძიმებს არა მარტო ის გარემოება, რომ საქართველოში არ არსებობს საჯარო დანესებულებების მიერ თავიანთი ოფიციალური ვებ-გვერდების მეშვეობით საჯარო ინფორმაციის ელექტრონული სახით გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი, არამედ აგრეთვე ის ფაქტიც, რომ დანტერესებულ პირთა მხრიდან საჯარო დანესებულებათა საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით კონკრეტულ ინფორმაციაზე ინტერნეტ წვდომა შეზღუდულია და შემოიფარგლება თვით საჯარო დანესებულებათა ნებით, განათავსოს თუ არა აღნიშნული ინფორმაცია ვებ-გვერდზე, უფრო მეტიც, კონკრეტული გამოწვევის შემთხვევების გარდა, თვით საჯარო დანესებულებათა კეთილ ნებას წარმოადგენს მათი ოფიციალური ვებ-გვერდის ინტერნეტ სივრცეში არსებობის საკითხის გადაწყვეტა. შესაბამისად, უკანასკნელ წლებში სახელმწიფოს მიერ შემოღებული ელექტრონული გამჭვირვალობის მარეგულირებელი ნორმები წარმოადგენს ერთმანეთთან დაუკავშირებელ, არასტანდარტიზებული სამართლებრივი რეგულირების მაგალითებს, რომლებიც ტოვებენ უფრო კონკრეტული საჭიროებით განპირობებული ოფიციალური ვებ-გვერდების არსებობისა და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მაგალითებს, ვიდრე ელექტრონული გამჭვირვალობის პოლიტიკის სახელმწიფოს მხრიდან დანერგვის მცდელობებს. გეგმით აღწერილთან მიმართებაში წარმოგიდგენთ რიგ საილუსტრაციო მაგალითებს:

საქართველოს მთავრობის მოქმედი დადგენილება **საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს** დებულების დამტკიცების შესახებ (სამინისტროს დებულება) პირველ მუხლში ასახელებს სამინისტროს ვებ-გვერდის მისამართს (www.minenergy.gov.ge) და იქვე აკონკრეტებს, რომ აღნიშნული მისამართი წარმოადგენს საჯარო ადგილს. ამავე დებულების მე-3 მუხლის ერთ-ერთ ქვეპუნქტში დადგენილია, რომ სამინისტროს უფლება აქვს საჯაროდ გამოცხადების მიზნით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან/და სხვა სახის საჯარო ინფორმაცია განათავსოს ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ან/და სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართზე, ხოლო მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად სამინისტროს **ადმინისტრაციული დეპარტამენტის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამინისტროს ელექტრონული ვებ-გვერდის შედგენა, დამუშავება და მისი მუდმივი განახლება. სამინისტროს ნორმატიული აქტების, შესაბამისი საოქმო ჩანაწერების, წლიური ანგარიშების, ენერჯეტიკის დარგის სხვადასხვა სტატისტიკური ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლისა და სამინისტროში არსებული სხვა სახის საჯარო ინფორმაციის სამინისტროს ელექტრონულ ვებ-გვერდზე განთავსება.**

დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მოქმედი დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტში მოცემულია კომისიის ელ.ფოსტისა და ვებ-გვერდის მისამართები, ხოლო ამავე დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრულია, რომ კომისიის აპარატის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულის (საბოგადობასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი) ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კომისიის ელექტრონული ვებ-გვერდის შედგენა,

დამუშავება და მისი მუდმივი განახლება. კომისიის დადგენილებების, გადანყვები-
ლებების, შესაბამისი საოქმო ჩანაწერების, წლიური ანგარიშების, ელექტროენერ-
გეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორის სხვადასხვა სახის ტექნიკურ-ეკონომიკური
მაჩვენებლებისა და კომისიაში არსებული სხვა სახის საჯარო ინფორმაციის კომისიის
ელექტრონულ ვებ-გვერდზე განთავსება. **როგორც ირკვევა, ზოგადად ენერგეტი-
კის დარგთან, ხოლო კონკრეტულად, შესაბამისი სამინისტროსა და მისგან და-
მოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის სფეროსთან მიმართე-
ბაში საქართველოს კანონმდებლობა ადგენს ელექტრონული ფორმით საჯარო
ინფორმაციის გამჭვირვალობის ცალსახა იმპერატიულ რეჟიმს;**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეყნებო და-
წესებულების - **საქართველოს სასაზღვრო პოლიციის** დებულების მე-2 პუნქტით
გათვალისწინებულია სასაზღვრო პოლიციის ოფიციალური ვებ-გვერდის არსებობა,
ხოლო ამავე დებულების მე-18 პუნქტის თანახმად, სასაზღვრო პოლიციის ერთ-ერთი
სტრუქტურული ერთეული - პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსა-
ხური უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის ვებ-გვერდის მუშაობას. სამუხაზოდ,
რეგულირება ნაწილობრივი ხასიათისაა, ვინაიდან არ მოიპოვება მითითება თუ რა
სახის საჯარო ინფორმაცია ექვემდებარება დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერ-
დზე განთავსებას;

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა კონკურსის ჩა-
ტარების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010
წლის 18 ივნისის №115 ბრძანების III თავის, მე-8 მუხლის, მე-3 პუნქტის თანახმად:
„შეტყობინება კონკურსის შესახებ ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენ-
ტის მიერ **შეიძლება** განთავსებულ იქნეს სამინისტროს კორპორაციულ ვებ-გვერ-
დზე და საამისოდ განკუთვნილ სხვა ვებ-გვერდებზე.“ **ზემოთ მოყვანილი ნათლად
ასახავს მიდგომას, რომლის თანახმადაც საზოგადოებისათვის მნიშვნელობის
მატარებელი კონკრეტული შეტყობინების საჯარო დაწესებულების მიერ ინტერ-
ნეტ სივრცეში განთავსება დამოკიდებულია მხოლოდ ამ დაწესებულების ნების
გამოვლენაზე და არ ატარებს ცალსახა, იმპერატიულ ხასიათს;**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტში 2008 წლის 15
ივლისს შეტანილი N231 ცვლილების თანახმად **საქართველოს ცენტრალური სა-
არჩევნო კომისია** პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის კომპიუტერულ
დამუშავებასა და მისი საჯარო ინფორმაციისთვის მიკუთვნებული ნაწილის (გვარი,
სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული
პირისათვის - აგრეთვე ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი) ცესკოს ვებ-გვერდზე
(www.cec.gov.ge) განთავსებაზე; ხოლო ამავე კოდექსის 48-ე მუხლის მე-11 პუნქტში
2008 წლის 21 მარტს შეტანილი N6013 ცვლილების თანახმად, ინფორმაცია საარ-
ჩევნო შემოწირულობების შესახებ არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი. „ცესკო“
ვალდებულია, საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ფონდთან დაკავშირებუ-
ლი ინფორმაცია მიაწოდოს ყველა დაინტერესებულ პირს, აგრეთვე უზრუნველყოს
აღნიშნული ინფორმაციის შესაბამის ვებ-გვერდზე გამომქვეყნება მისი მიღებიდან
2 სამუშაო დღის ვადაში;

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლში
2008 წლის 27 ივნისს შეტანილი N67 ცვლილების თანახმად **საქართველოს კომუ-
ნიკაციების ეროვნული კომისიის** გადანყვებილებები, რაც კონკურენციის წინასწარ
რეგულირებისა და მომსახურების ბაზრის ანალიზის საფუძველზე მიიღება, ქვეყ-
ნდება ინტერნეტში - კომისიის ვებ-გვერდზე (www.gncc.ge), გარდა სახელმწიფო,
კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ნაწილებისა. ამავე კანონის 52-ე
მუხლში 2006 წლის 14 ივლისს შეტანილი N3453 ცვლილების თანახმად რადიო-

სიხშირული სუქტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გასაცემად აუქციონის გამართვის შესახებ კომისია იღებს გადაწყვეტილებას, რომელიც სულ ცოტა 1 თვით ადრე ვრცელდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით და განთავსდება ინტერნეტის ქსელში კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლში 2009 წლის 25 დეკემბერს შეტანილი N2457 ცვლილების თანახმად მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება მენარმე სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ ძალაში შედის მხარისათვის ოფიციალურად გაცნობისთანავე ან გამოქვეყნებისთანავე, გადაწყვეტილების გამოქვეყნებად ითვლება მისი მარეგისტრირებული ორგანოს ვებ-გვერდზე განთავსება; ამავე კანონის მე-7 მუხლში 2009 წლის 25 დეკემბერს შეტანილი N2457 ცვლილების თანახმად მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში არსებული მონაცემების საფუძველად გამოყენებული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ელექტრონული ასლები განთავსებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საფასურის გადახდის გარეშე;

პროქატიული გამოქვეყნების ვალდებულება აგრეთვე მოცემულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 333 მუხლში, რომელიც ეხება მზღვეველის ლიკვიდაციის საკითხს. მოცემული მუხლის თანახმად ლიკვიდატორმა დანიშნვიდან 15 დღის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს მზღვეველის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და **ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე**. ამავე კანონის 334 მუხლში, რომელიც ეხება მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოებას, განსაზღვრულია რომ გაკოტრების მმართველი ვალდებულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ეროვნული ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.nbg.gov.ge) გამოაქვეყნოს განცხადება მზღვეველის გაკოტრების საქმის წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების თაობაზე, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებიდან 14 დღის ვადაში; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემები საჯაროა. მარეგისტრირებული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს რეგისტრირებული არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ მონაცემების საკუთარ ვებ-გვერდზე განთავსება;

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 2010 წლის პირველი სექტემბრიდან ამოქმედებული 562 მუხლის თანახმად გადაწყვეტილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თაობაზე მიღებიდან 10 დღის ვადაში ქვეყნდება **განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე** (www.nea.ge);

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 2011 წლის 1 იანვრიდან მე-5 მუხლში ამოქმედებული ცვლილების თანახმად საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო ქონების განმკარგავი სუბიექტის ინტერნეტ გვერდზე ან/და ვებ-გვერდზე www.eauction.ge, რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება. ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს ასევე გაზეთ „24 საათში“;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ“ №127 ბრძანების მე-16 მუხლში 2009 წლის 26 ივნისს შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად მიღებული ქულები ქვეყნდება **გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე** (www.nce.gov.ge);

ნული ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.naec.ge);

საქართველოს ფინანსთა მინისტრის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – **საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის** დებულების დამტკიცების შესახებ“ 2010 წლის 31 მარტს გამოცემული №247 ბრძანების მე-2 მუხლში განსაზღვრულია, რომ სამსახური კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს სამინისტროს ვებ-რესურსების ადმინისტრირებას და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის განთავსების ხელშეწყობას; ანალოგიური სამართლებრივი რეგულირება მოცემულია აფხაზეთის მთავრობის „**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს** დებულების დამტკიცების შესახებ“ №18 დადგენილების 12-ე მუხლში 2009 წლის 2 სექტემბერს შეტანილ ცვლილებაშიც, რომლის თანახმადაც ფინანსური პოლიტიკისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას მიეკუთვნება სამინისტროს ვებ-გვერდის ადმინისტრირება და მასზე საჯარო ინფორმაციის განთავსების უზრუნველყოფა.

გარდა ზემოთ ხსენებულისა არსებობს რიგი შემთხვევები, როდესაც კონკრეტულ საჯარო დაწესებულებათა ხელმძღვანელი თანამდებობის პირები საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით იძლევიან მითითებებს გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციის დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსების თაობაზე. **თუმცა, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ერთეული შემთხვევები არ გვაძლევს საშუალებას გამოვყოთ ერთიანი საკანონმდებლო ხასიათის ტენდენცია საჯარო ინფორმაციის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსების რეგულაციასთან ან სტანდარტიზებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით, საქართველოში საჯარო ინფორმაციის მომსახურე საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების არსებობა ინტერნეტ სივრცეში დამოკიდებულია საჯარო დაწესებულების კეთილ ნებაზე...**

საქართველოში ელექტრონულ მმართველობასა და ელექტრონულ გამჭვირვალობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ბაზის ზემოთ მოყვანილი მოკლე მიმოხილვა ცხადყოფს სამომავლო სამართლებრივი რეგულირების საჭიროებას. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო მმართველობის ელექტრონულ ფორმაზე გადაყვანა სანყის სტადიაზე იმყოფება. არსებითია ის გარემოება, რომ მოცემულ ეტაპზე არსებული სამართლებრივი ბაზა თანაბარწილად დაბალ დონეზეა წარმოდგენილი როგორც სახელმწიფო ორგანოებისათვის და საჯარო მოხელეებისათვის, ასევე მოქალაქეებისათვის და ბიზნესისათვის ელ-მმართველობის შემთხვევებში. დაბალ დონეზეა წარმოდგენილი ელ-ჩართულობისა და ელ-კონსულტაციის ინსტიტუტები, და შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით არ არის დამკვიდრებული ელ-კონტროლის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიღებაზე დაკონკრეტებას, არ არის გათვალისწინებული საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდებზე არსებული მიმართვის ელექტრონული ფორმებით გაგზავნილ შეკითხვებზე იურიდიული ძალის მქონე პასუხების მიღების საშუალება, რაც აგრეთვე შეიძლება გათანაბრდეს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-გაცემის უკვე არსებულ ფორმასთან. **რაც შეეხება ელ-გამჭვირვალობის მარეგულირებელ ერთიან სამართლებრივ ბაზას, შეიძლება ითქვას, რომ ის საერთოდ არ არსებობს. საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არ არის დანერგილი ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების სტანდარტები. ამავე დროს, არ არის სახეზე სამართლებრივი ნორმა, რომელიც დაავალდებულებდა ყველა საჯარო დაწესებულებას – საზოგადოებასთან ურთიერთობის, ანგარიშვალდებულების, საჯაროობისა და ინფორმაციულობის ხარისხის გაზრდის მიზნით - იქონიოს ოფიციალური ვებ-გვერდი.**

IDFI-ის უპირველეს პრიორიტეტს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის ელ-მმართველობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწა-განვითარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება, იქნება ეს კონსულტაციების, შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზისა თუ საზოგადოების მხრიდან მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, საქართველოს რეალობას მორგებული მოქნილი სამართლებრივი ხასიათის წინადადებების შემუშავების განხორციელება. აღნიშნული შეუძლებელია სამოქალაქო ჩართულობის განვითარებისა და ინფორმაციის თავისუფლებისადმი საზოგადოების ინტერესის გაღვივების მიმართულებით გადადგმული პარალელური ნაბიჯების გარეშე, რასაც ემსახურება როგორც წინამდებარე სამართლებრივი ანალიზი, ასევე მთლიანად ანგარიშიც. თვით ტერმინი – „ელექტრონული მმართველობა“ გულისხმობს სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მონაწილეობის რეჟიმს, რაც უნდა აისახოს შესაბამისი დახვეწილი სამართლებრივი ბაზის არსებობაშიც. **ამასთან ტერმინი – „ელექტრონული გამჭვირვალობა“, საკუთარ თავში მოიაზრებს ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გამოქვეყნების არა ბუნდოვან, არამედ სტანდარტიზებულ რეგულირებას, პირადი, კომერციული თუ სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის რეჟიმის გათვალისწინებით განხორციელებულ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებას.**

IDFI-სთვის არანაკლებ პრიორიტეტულია სახელმწიფოსთან თანამშრომლობა (იქნება ეს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო თუ სხვა საჯარო დაწესებულებები) სამართლებრივი ხასიათის პრობლემატიკის აღმოფხვრისა და შესაბამისი კორექტივების შეტანის კუთხით. მისასაღმებელია ის გარემოება, რომ მიუხედავად იმ ერთიანი საკანონმდებლო რეგულირების არარსებობის პირობისა, რომელიც იმპერატიულად დაავალბდა საჯარო დაწესებულებებს ოფიციალური ვებ-გვერდების არსებობას, თითქმის ყველა მნიშვნელოვან საჯარო დაწესებულებას გააჩნია ოფიციალური ვებ-გვერდი. რიგი საჯარო დაწესებულების მხრიდან სახეზეა ელ-მმართველობის მიმართულებით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯები (მაგალითად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემა), აღსანიშნავია ელექტრონული გამჭვირვალობის დანერგვისაკენ მიმართული საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ნაბიჯებიც. საქართველოს კანონმდებლობაში გასულ წელს განხორციელებული ცვლილება-დამატებები აშკარად მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან გამართული ელექტრონული მმართველობისა და გამჭვირვალობის ნიადაგის შემზადების სურვილზე. IDFI მომავალშიც განაგრძობს მუშაობას ელ-მმართველობისა და ელ-გამჭვირვალობის მარეგულირებელი სამართლებრივი გარემოს შესწავლაზე და ღია თანამშრომლობის მოსურნე როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის ნებისმიერ წარმომადგენელთან.

საქართველოს საჯარო დაწესებულებების
საინფორმაციო რესურსების
(ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგი

თავი III

მონიტორინგის სამიზნე ობიექტები



წინამდებარე ანგარიში მოიცავს IDFI-ის მიერ პროექტის – „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების (ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგის“ შედეგად გამოვლენილი მონაცემებისა და ტენდენციების ანალიზს, რაც ემსახურება ვიწრო გაგებით – საქართველოს საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის დონის ამაღლებას, ხოლო ფართო გაგებით – საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ზოგადად ინფორმაციის თავისუფლების განვითარებას, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხარისხის ამაღლების კუთხით.

ამასთან, წინამდებარე ანგარიშში მოყვანილი ინფორმაცია მიმართულია ფართო მკითხველთა წრისათვის (პედაგოგები, სტუდენტები, ჟურნალისტები, იურისტები, სხვა ნებისმიერი დაინტერესებული პირები), თუმცა სასურველი იქნებოდა მოცემული ანგარიშისადმი საჯარო მოსამსახურეთა ინტერესის გაღვივებაც, რასაც ერთობ ართულებს ის ფაქტი, რომ სამუხაზოდ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, დღეის მდგომარეობით, არ ითვალისწინებს სამართლებრივი აქტის ან/და იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობის არსებობას, რომელიც დაავალდებულებდა ყველა საჯარო დაწესებულებას იქონიოს ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი, სადაც განთავსდებოდა, კანონმდებლობითვე განვრდილი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალი.


სანამ უშუალოდ მონიტორინგის პროცესის აღწერასა და მიღებულ შედეგებზე ვისაუბრებდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ იმ გარემოებას, თუ რა კრიტერიუმით შევარჩიეთ საჯარო დაწესებულებები და რა პარამეტრებით შეფასდა მათი გამჭვირვალობისა და ინფორმაციულობის ხარისხი.

საჯარო დაწესებულებები

როგორც ცნობილია, ტერმინი – „საჯარო დაწესებულება“, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად განიმარტება როგორც: „ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული ტერმინი გამოიყენება უშუალოდ ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებაში და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი თავის (თავი III – ინფორმაციის თავისუფლება) მიზნებისათვის.

ამავე კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, თავის მხრივ, ტერმინი „ადმინისტრაციული ორგანო“ განიმარტება, როგორც ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ რომ, საჯარო ინფორმაციის ღიაობის მიზნებისათვის საჯარო დაწესებულება არის:




როგორც ზემოთ მოყვანილი სქემატური ნახატიდან ირკვევა, **საჯარო ინფორმაციის ღიაობის მიზნებისათვის ცნება „საჯარო დაწესებულება“ ყველაზე ფართოა და სხვა დანარჩენებს შორის მოიცავს ისეთ ცნებასაც, როგორცაა ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო უფრო ვიწრო გაგებით – სახელმწიფო ორგანო.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჯარო დაწესებულებათა სახეობების სიმრავლის გამო IDFI-ის სამუშაო გუნდის წინ იდგა ამოცანა შეერჩია მონიტორინგის სამიზნე ობიექტების ის კატეგორია, რომელიც გარკვეული პრინციპით გააადვილებდა საქართველოს რეალობაში სანყის ეტაპზე საჯარო ინფორმაციის თავისუფლების დონეზე საუბარს საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის კუთხით. მონიტორინგის მიზნებისათვის IDFI-ის სამუშაო გუნდის მიერ უპირველეს ყოვლისა შეირჩა საჯარო დაწესებულების ისეთი კატეგორია, როგორცაა სახელმწიფო ორგანო.

სახელმწიფო ორგანო

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ორგანო იქმნება სახელმწიფოს ძირითადი ამოცანებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, სახელმწიფო პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად. სახელმწიფო ორგანო სახელმწიფო ფუნქციის შესასრულებლად ფლობს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, გამოსცემს შესასრულებლად სავალდებულო აქტებს, რომელთა განსახორციელებლად იყენებს დარწმუნებისა და იძულების მეთოდებს.



თავი III

IDFI-ის სამუშაო ჯგუფმა მონიტორინგის სამიზნე ობიექტად შეარჩია სახელმწიფო მმართველობის შემდეგი ცენტრალური ორგანოები - სამინისტროები და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები. აღნიშნული არჩევანი უმეტესწილად განაპირობა რიგი ფაქტორების

ერთობლიობამ. უპირველეს ყოვლისა, მონიტორინგის ჩატარების მომენტისათვის ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილი ქართული ელექტრონული მმართველობის ნიმუშები განვითარებული იყო, სწორედაც რომ საქართველოს სამინისტროებისა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური ვებ-გვერდების შემთხვევაში, ამასთან, ინტერნეტ სივრცეში არსებული ვებ-გვერდების სიუხვითაც სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოები გამოირჩეოდა. მეორე ფაქტორი, რის საფუძველზეც შერიჩა მონიტორინგის სამიზნე ობიექტებად ზემოთ ხსენებული სახის საჯარო დაწესებულებები, იყო ის გარემოება, რომ IDFI-ს მიერ შემუშავებული საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასების ცხრილის შიგნით მოყვანილი პარამეტრები არსობრივად მისადაგებულ იქნა კონკრეტულად სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებზე. აღნიშნული განხორციელდა იმ საერთო სამართლებრივი ხასიათის ორგანიზაციული და ფუნქციონალური კრიტერიუმების შესწავლა-განსაზღვრით, რაც ზოგადად ახასიათებთ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოებს საქართველოში. **აღნიშნული კრიტერიუმების შესახებ მკითხველისათვის უფრო ნათელი წარმოდგენის შექმნის მიზნით გთავაზობთ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემის მახასიათებელი ნიმუშების ზოგად განხილვას.**

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური ორგანოები

სამინისტროები

როდესაც საუბარია სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემის ისეთ მნიშვნელოვან რგოლზე, როგორსაც სამინისტროები წარმოადგენენ შეუძლებელია არ ვახსენოთ მთავრობა (სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანო), აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ **სამინისტრო – აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება, თავისი არსით წარმოადგენს სამთავრობო დეპარტამენტს.** „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი პირდაპირ აცალიბებს, რომ: „მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით.“ ხოლო, ამავე კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად: „სამინისტრო იქმნება კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად.“ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საქართველოს ყველა სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე, საქართველოს ყველა სამინისტრო ფინანსდება ბიუჯეტიდან. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები, ხოლო **სამინისტროს ზოგადი საქმიანობის მარეგულირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს – სამინისტროს დებულება.**

სამინისტროს დებულება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად უნდა შეიცავდეს:

- **სამინისტროს სრულ დასახელებას და იურიდიულ მისამართს**
 - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების პირველი მუხლის თანახმად - **სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, 0105, გორგასლის ქ. N16; სამინისტროს სრული სახელწოდებაა „საქართველოს ფინანსთა სამინისტრო“;**
 - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების პირველი მუხლის თანახმად - სამინისტროს ადგილსამყოფელია: **ქ. თბილისი, 0146, უზნაძის ქ. N52;** პირდაპირი მითითება სამინისტროს სრულ სახელწოდებაზე არ არის მოცემული, ინფორმაცია ირიბად გამომდინარეობს დებულების კონტექსტიდან;
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულების პირველი მუხლის თანახმად - სამინისტროს იურიდიული მისამართია: **ქ. თბილისი, გულუას ქ. N6;** პირდაპირი მითითება სამინისტროს სრულ სახელწოდებაზე არ არის მოცემული, ინფორმაცია ირიბად გამომდინარეობს დებულების კონტექსტიდან;
- **სამინისტროს მმართველობის სფეროს, ამოცანებსა და ფუნქციებს**
 - აგროსასურსათო, ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდის, კომპეტენციის ფარგლებში მცენარეთა დაცვის, მეცხოველეობის, აგროსაინჟინრო და ვეტერინარიის დარგები - **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფერო;**

- ეკონომიკური პოლიტიკა, ვაჭრობა და ინვესტიციები; ტურიზმი, სახელმწიფო ქონების მართვა და განკარგვა, ურბანული განვითარება და სივრცით-ტერიტორიული მოწყობა; მშენებლობა; ელექტრონული კომუნიკაციები; საინფორმაციო ტექნოლოგიები; ფოსტა, ტრანსპორტის სფეროს რეგულირება დამართვა - **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საქმიანობის ძირითადი სფეროები;**
- სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობაში მონაწილეობა, სამხედრო-სამობილიზაციო გეგმების შემუშავებაში მონაწილეობა, ტრანსპორტის სფეროში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, კოორდინაცია და კონტროლი - **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ამოცანები;**
- სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მის შემოსულობათა ოპერატიული მართვა, აღრიცხვა და ანგარიშგება, საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა - **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფუნქციები;**
- **სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზებას, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობებს**
 - სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ მინისტრი - **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზება;**
 - მინისტრო წარმოადგენს სამინისტროს ინტერესებს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. ხელს აწერს ხელშეკრულებებს, შეთანხმებებს, კონტრაქტებს, პერსონალურად აგებს პასუხს საქართველოს მთავრობის წინაშე დაკისრებულ ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისათვის - **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები;**
- **სამინისტროს სისტემას, სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებს და კომპეტენციას**
 - სამინისტროს სისტემას შეადგენენ სამინისტროს ცენტრალური აპარატი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სტრუქტურები, ასევე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები, სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები - **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემა;**
 - სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ამოცანები, ხელმძღვანელობა, მის შემადგენლობაში არსებული შიდა სტრუქტურული ერთეულები და მათი ძირითადი ამოცანები, თანამდებობათა ჩამონათვალი, ქვემდებარეობა და შენაცვლების წესი, აგრეთვე საკუთარი ბლანკის არსებობა და მისი გამოყენების წესი განისაზღვრება შესაბამისად სამინისტროს დებულებითა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებით, რომლებსაც ამტკიცებს მინისტრი. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფები არიან:

- ა) საფინანსო დეპარტამენტი;
- ბ) იურიდიული დეპარტამენტი;
- გ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
- დ) მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტი;
- ე) დევნილთა საკითხების დეპარტამენტი;
- ვ) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ზ) შიდა აუდიტის დეპარტამენტი;

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი შეიძლება დაიყოს სამმართველოებად და განყოფილებებად, რომელთა ხელმძღვანელებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

- სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები არიან: ა) აჭარისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველო; ბ) იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამმართველო; გ) ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთისა და კახეთის სამმართველო; დ) შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის სამმართველო – **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სტრუქტურა;**
- საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი ხელმძღვანელობს საბრძოლო და სამოხილიზაციო მომზადებას; ახორციელებს საქართველოს სამხედრო ძალების მართვას საომარი მდგომარეობის დროს; მის დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი ახორციელებს: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქართველოს სამინისტროს კომპეტენციას განკუთვნილ დანაშაულთა გამოძიებას, შეიარაღებული ძალების ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ სამხედრო მოსამსახურეთა მიერ დისციპლინის დაცვის კონტროლს, სამინისტროს სისტემაში არსებული ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების დაცვას, სამხედრო ობიექტების უსაფრთხოების უზრუნველყოფას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას – **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის ძირითადი ამოცანები;**
- მინისტრის აპარატის კომპეტენციაა: ა) მინისტრის ბრძანებების შესრულების კონტროლი; ბ) სამინისტროს ხელმძღვანელობის თათბირების ორგანიზება, თათბირის ოქმის შედგენა; გ) სამინისტროს ხელმძღვანელობის შეხვედრების განრიგის დაგეგმვა და მომზადება; დ) სამინისტროს ხელმძღვანელობის მივლინებების ორგანიზება; ე) სამინისტროს ხელმძღვანელობის მიერ მოქალაქეთა მიღების საკითხების რეგულირება; ვ) მინისტრის მრჩეველთა საქმიანობისათვის ხელშეწყობა – **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფის კომპეტენცია;**
- **სხვა არსებითი საკითხებს სამინისტროს საქმიანობის ორგანიზების შესახებ**
 - სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, სამინისტრო კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის – **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება;**
 - სამინისტროს ქონებას შეადგენს მის მფლობელობაში გადაცემული ძირი-

თადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები, აგრეთვე სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონება – **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქონება;**

- მინისტრს სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლისა და მომზადების მიზნით შეუძლია შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებებით (შემდეგში – სათათბირო ორგანოები); სათათბირო ორგანო იქმნება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც განისაზღვრება მისი ამოცანები, თავმჯდომარე (საჭიროების შემთხვევაში – თავმჯდომარის მოადგილე, მდივანი) და წევრები, ამოცანის შესრულების ვადა, დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესი და სათათბირო ორგანოს საქმიანობის უზრუნველყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფები – **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათათბირო ორგანოები;**
- სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია: საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი, „თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებები და განკარგულებები, საქართველოს მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტები, სამინისტროს დებულება და თავდაცვის მინისტრის სამართლებრივი აქტები – **საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები;**
- სამინისტროს ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს – **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშვალდებულება;**
- სამინისტრო გამოიყენებს სახელმწიფო დროშასა და სახელმწიფო გერბს, სხვა სახელმწიფო სიმბოლიკას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს გერბი გამოსახება სამინისტროს ფასადზე, ხოლო მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების სანებართვო დოკუმენტებში, თანამშრომლების პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში და ბლანკებზე; სამინისტროს აქვს ემბლემა (ლოგო), რომელიც რეგისტრირებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამინისტროს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი სამსახურებისა და სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებების, სამინისტროს თანამშრომლების სავიზიტო ბარათებზე, სხვა ბეჭდვით გამოცემებზე, აგრეთვე სამინისტროს სუვენირებსა და კუთვნილ სატრანსპორტო საშუალებებზე (ავტომანქანებსა და კატარღებზე) – **საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სიმბოლიკა.**

როგორც წესი, სამინისტროს დებულებას, მინისტრის წარდგინებით, შესაბამისი დადგენილებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა, თუმცა საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და იუსტიციის სამინისტროების დებულებებს, მთავრობის წარდგინებით, შესაბამისი ბრძანებულებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.


ზოგადად, სამინისტროების კომპეტენციაზე საუბრისას, აღსანიშნავია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესი, რომლის თანახმადაც სამინისტროს უფლება არ აქვს სხვა სახელმწიფო ან არა სახელმწიფო დაწესებულებებს გადასცეს ის უფლება-მოვალეობები, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხოლო სამინისტროების მმართველობის სფეროებზე საუბრისას, აღსანიშნავია ის მოქმედი ნორმა, რომლის თანახმადაც თუ აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობაში კანონით გადაცემული საკითხი არ მიეკუთვნება არც ერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, მასზე გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა. მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს ასევე გადაწყვეტილება შესაბამისი სამინისტროს მმართველობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხზეც, თუ შესაბამისი სამინისტრო არ იღებს გადაწყვეტილებას ან აყოვნებს გადაწყვეტილების მიღებას აღნიშნულ საკითხზე, გარდა ქვეყნის უშიშროების, თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისა. და ბოლოს, თუ საკითხი მიეკუთვნება რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროს და განსაზღვრული არ არის მასზე გადაწყვეტილების მიმღები სამინისტრო, გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

სამინისტროების ხელმძღვანელობის ორგანიზებაზე საუბრისას აღსანიშნავია სამინისტროს მეთაურის - მინისტრის როლი მთავრობაში, სადაც იგი წარმოადგენს მთავრობის შემადგენლობის ბირთვის:


საქართველოს მთავრობის შემადგენლობა



აგრეთვე მნიშვნელოვანია მინისტრის, როგორც თანამდებობის პირის, როლი საჯარო სამსახურის ორგანიზაციისას:



საჯარო მოსამსახურის სახეები



მონიტორინგის ჩატარების პერიოდში (2010 წლის აგვისტო-დეკემბერი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა შემდეგი 16 სამინისტროს არსებობას:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;
6. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
7. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
8. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ

- პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
9. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო;
 10. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო;
 11. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
 12. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
 13. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
 14. საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
 15. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;
 16. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო.

ამასთან, **მონიტორინგის ჩატარების პერიოდისათვის საბოლოოდ არ იყო დასრულებული საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს გაყოფის შედეგად წარმოქმნილი შესაბამისი სამინისტროების საბოლოო რეორგანიზაციის პროცესი, რაც აისახებოდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის de facto არარსებობაშიც, რის გამოც IDFI-ის სამუშაო ჯგუფის მიერ ვერ განხორციელდა ხსენებული სამინისტროს ვებ-გვერდის მონიტორინგი.**

ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მიზნებისათვის იმ ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებთ სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემის მთავარ რგოლს – საქართველოს სამინისტროებს:

საქართველოს სამინისტრო

- არის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულება;
- ორგანიზებულია დებულების საფუძველზე;
- უზრუნველყოფს სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელებას განსაზღვრულ სფეროში;
- ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გააჩნია დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ანგარიში ხაზინაში და ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით;
- ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;
- ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს;
- იყოფა სტრუქტურულ ქვედანაყოფებად;
- შეიძლება გააჩნდეს ტერიტორიული ორგანოები;
- ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე;
- ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც გამოსცემს ბრძანებებს, ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილეები;
- უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფოს წარმომადგენლობა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას;
- სამინისტროს მუშეობით მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში საქართველოს სამინისტროებთან ერთად მნიშვნელოვან როლს წარმოადგენენ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები. საქვეუწყებო დაწესებულებებზე საუბრისას უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ისინი ამა თუ იმ სამინისტროს გამგებლობაში არსებული, მმართველობის სფეროში შემავალი დაწესებულებაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი უშუალოდ „მიბმულია“ კონკრეტული სამინისტროს მმართველობის სფეროს. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო დეპარტამენტები რეორგანიზებულია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებად და განხორციელდა მათი შესაბამისი სამინისტროებისათვის გადაცემა. გემოხსენებულიდან გამომდინარე, მკითხველისათვის არ იქნება გასაკვირი, იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ორგანიზაციულ-სამართლებრივი და ფუნქციონალური გაგებით საქვეუწყებო დაწესებულებები, სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში არსებულ სხვა რგოლებს შორის ყველაზე ახლოს, სწორედაც რომ სამინისტროებთან დგანან. **უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში მხოლოდ მათ და სამინისტროებს გააჩნიათ უნიკალური საერთო მახასიათებელი ნიშნები.** მაგალითად, სამინისტროს მსგავსად, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაც წარმოადგენს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას, მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს როგორც სამინისტროების, ასევე მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობითაც. კიდევ ერთ საერთო უნიკალურ ნიშანს სახელმწიფოს წარმომადგენლობაც წარმოადგენს: „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლი პირდაპირ აცალიბებს, რომ: „სამინისტრო ან საქვეუწყებო დაწესებულება უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფოს წარმომადგენლობა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას.“ მოცემულ საკითხთან მიმართებაში, აღსანიშნავია ნორმა, რომლის თანახმადაც თუ საქართველოს კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, აღმასრულებელი ხელისუფლების რომელი დაწესებულება ჩაითვლება სახელმწიფოს წარმომადგენლად ამა თუ იმ სამართლებრივ ურთიერთობაში, სახელმწიფოს წარმომადგენელს ნიშნავს მთავრობა. რაც შეეხება სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების როლს საჯარო სამსახურთან მიმართებაში, ამ შემთხვევაშიც სახეზეა სამინისტროების ერთ-ერთი მახასიათებელი ანალოგიური ნიშანი – როგორც უკვე გემოთ აღვნიშნეთ სამინისტროები, ისევე როგორც სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები გამოკვეთილად წარმოადგენენ საჯარო ხელისუფლების ორგანოებს (სახელმწიფო დაწესებულებებს), სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად:

საქართველოს სამინისტროებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საერთო უნიკალური ნიშნები სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში			
აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება	მისი მეშვეობით მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას	სახელმწიფოს წარმომადგენლობა	საჯარო ხელისუფლების ორგანო, რომელშიც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს კანონით ან მთავრობის დადგენილებით. **სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად. სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.** რაც შეეხება ზოგად ანგარიშვალდებულებას, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, როგორც წესი, ანგარიშვალდებულია იმ მინისტრის წინაშე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მასზე ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას. თუმცა შესაძლებელია ანგარიშვალდებულება კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშეც, რომელსაც კანონმდებლობის საფუძველზე გადაცემული აქვს ზემოთ სხენებული ზედამხედველობის ფუნქცია. საინტერესოდ არის რეგულირებული ანგარიშვალდებულების საკითხი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის შემთხვევაში, რომლის მოქმედი დებულების თანახმად ადმინისტრაცია ანგარიშვალდებულია როგორც მინისტრის, ასევე საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე.

როგორც წესი, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელს მინისტრის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პრემიერ-მინისტრი, თუმცა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არსებობს ზემოთხსენებული წესისაგან განსხვავებული სამი შემთხვევა:

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება	ხელმძღვანელი თანამდებობის პირი	თანამდებობაზე ნიშნავს	თანამდებობიდან ათავისუფლებს
საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები	ყველა ხელმძღვანელი	პრემიერ-მინისტრი მინისტრის წარდგინებით და საქართველოს პრემიერდენტან შეთანხმებით	საქართველოს პრემიერდენტი საკუთარი ინიციატივით ან პრემიერ-მინისტრი მინისტრის წარდგინებით
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს პროკურატურა	მთავარი პროკურორი	საქართველოს პრემიერდენტი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით	საქართველოს პრემიერდენტი საქართველოს იუსტიციის მინისტრის წარდგინებით
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური	სამსახურის უფროსი	საქართველოს პრემიერდენტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული წარდგინებით	საქართველოს პრემიერდენტი საქართველოს ფინანსთა მინისტრის პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებული წარდგინებით

საქვეყნეზო დანესებულებების ზოგადი საქმიანობის მარეგულირებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს - სახელმწიფო საქვეყნეზო დანესებულების დებულება. სამინისტროს დებულების ანალოგიურად, საქვეყნეზო დანესებულების დებულებით, როგორც წესი, განისაზღვრება:

- საქვეყნეზო დანესებულების სრული დასახელება და იურიდიული მისამართი;
- საქვეყნეზო დანესებულების საქმიანობის სფერო, ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენცია;
- საქვეყნეზო დანესებულების ხელმძღვანელობის ორგანიზება, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობები;
- საქვეყნეზო დანესებულების სისტემა, სტრუქტურა, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითადი ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენცია;
- სხვა არსებითი საკითხები საქვეყნეზო დანესებულების საქმიანობის ორგანიზების შესახებ (საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები, დაფინანსება, ანგარიშვალდებულება, სიმბოლიკა და ა.შ.).

სახელმწიფო საქვეყნეზო დანესებულებებს შეიძლება გააჩნდეთ ტერიტორიული ორგანოები, რომლებიც წარმოადგენენ ამ დანესებულებებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მინისტრი:

- იღებს გადანყვეტილებას სახელმწიფო საქვეყნეზო დანესებულების ტერიტორიული ორგანოს შექმნის, გარდაქმნისა და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი;
- თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სახელმწიფო საქვეყნეზო დანესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს და მის მოადგილეს ამ დანესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით;
- ამტკიცებს ტერიტორიული ორგანოს დებულებას, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო საქვეყნეზო დანესებულების ტერიტორიული ორგანოს მმართველობის სფერო, უფლება-მოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

ლოგიკას ნამდვილად არ იქნებოდა მოკლებული IDFI-ის სამუშაო ჯგუფის მიერ მონიტორინგის სამიზნე ობიექტად საქართველოს სამინისტროების ვებ-გვერდებთან ერთად სწორედაც, რომ სახელმწიფო საქვეყნეზო დანესებულებების ვებ-გვერდების შერჩევა, თუმცა მონიტორინგის მეორე სამიზნე ობიექტად, საბოლოოდ შეირჩა საქართველოს სამინისტროების სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ერთის მხრივ, მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული სიმრავლის და, მეორეს მხრივ, მონიტორინგის ჩატარების მომენტისათვის მათი ვებ-გვერდების ინტერნეტ სივრცეში სახელმწიფო მმართველობის სხვა ცენტრალურ ორგანოებთან შედარებით უფრო უხვად არსებობის გამო. მონიტორინგის სამიზნე ობიექტების შერჩევის აღნიშნული პრინციპი მიჩნეულია ოპტიმალურ ვარიანტად, საქართველოს რეალობაში საჯარო დანესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის გამჭვირვალობის ზოგადი დონის განსაზღვრის ეტაპის საწყისი ხასიათის გამო, რაც არ გამორიცხავს უკვე შემდგომ ეტაპზე IDFI-ის მიერ საკითხისადმი უფრო დეტალურ ჩაღრმავებას და, შესაბამისად, მონიტორინგის სამიზნე ობიექტების წრის გაზრდას.

ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის მიზნებისათვის ნიშნების ერთობლიობა, რაც ახასიათებს სახელმწიფო მმართველობის

ცენტრალურ ორგანოთა სისტემის ერთ-ერთ რგოლს – საქართველოს სამინისტროების მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს:

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება

- არის საქართველოს სამინისტროს სისტემასა და მმართველობის სფეროში შემავალი საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულება;
- ორგანიზებულია დებულების საფუძველზე;
- იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად;
- ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გააჩნია დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ანგარიში ხაზინა შიდა ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით;
- ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე;
- იყოფა სტრუქტურულ ქვედანაყოფებად;
- შეიძლება გააჩნდეს ტერიტორიული ორგანოები;
- ჩვეულებრივ, ანგარიშვალდებულია მინისტრის/კურატორი მინისტრის მოადგილის წინაშე (შესაძლებელია მთავრობის და პრემიერ-მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებულებაც);
- ჰყავს ხელმძღვანელი (უფროსი, თავმჯდომარე და ა.შ.), რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, და რომელსაც ჰყავს მოადგილე(ები);
- უფლებამოსილია გასწიოს სახელმწიფოს წარმომადგენლობა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას;
- სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების მეშვეობით მთავრობა უზრუნველყოფს აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას.

საჯარო სამართლის იურიდიული პირები

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში და ზოგადად სახელმწიფო მმართველობის მექანიზმში განსაკუთრებულ როლს თამაშობს ისეთი რგოლი, როგორც წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. „სსიპ“-ების, როგორც მათ ხშირად მოიხსენიებენ, საჯარო საქმიანობის განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. **საჯარო სამართლის იურიდიული პირი კანონმდებლობის თანახმად არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას, თუმცა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს.** ამასთან, ჩვენს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა ჯგუფს მიკუთვნება, გარკვეულწილად, პირობითია და ხასიათდება სხვა ცენტრალურ ორგანოებთან ფუნქციონალური ანალოგიით. მართალია „სსიპ“-ის ძირითადი საქმიანობა გულისხმობს საჯარო საქმიანობის განხორციელებას, თუმცა აღნიშნული ცალსახად ჯერ არ ნიშნავს იმას, რომ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირი ზოგადად ახორციელებს ხელისუფლებით უფლებამოსილებებს. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის უფლების საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის გადაცემა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) სანევროები და შენატანები;
- ბ) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- გ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;
- დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ზემოხსენებული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ხოლო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში – სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს სისტემის განვითარებას – **სხვა მიზნებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახსრების გამოყენება კანონით აკრძალულია.** თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსება განხორციელდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეს აუცილებლად უნდა აისახოს შესაბამის საბიუჯეტო დოკუმენტში. მართალია საჯარო სამართლის იურიდიულ პირს აქვს სამენარმეო საქმიანობის უფლება, თუმცა, **თუ სსიპ-ი არსებითად გადავიდა სამენარმეო საქმიანობაზე, შესაბამისი სახელმწიფო მმართველობის ორგანო ვალდებულია დააყენოს ამ პირის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობის მარეგულირებელ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს – საჯარო სამართლის იურიდიული პირის წესდება (დებულება). კანონმდებლობის თანახმად „სსიპ“-ის წესდება (დებულება) უნდა შეიცავდეს:


- სახელწოდებას მითითებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირი“;
- მიზნებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საგანს;
- მართვის ორგანოების შექმნის წესსა და კომპეტენციას;
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის (არჩევის) წესსა და

კომპეტენციას;

- სახელმწიფო კონტროლის ფორმასა და ფარგლებს;
- საფინანსო საქმიანობის საფუძვლებს, შესატანების, სანწევროებისა და სხვა მოქმედებების მოთხოვნის უფლებების ჩათვლით;
- ლიკვიდაციის წესსა და პირობებს;
- წესდებაში (დებულებაში) ცვლილებების შეტანის წესს.

გემოაღნიშნული მოთხოვნები უმეტესწილად წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის (საჯარო კორპორაციები) არის გამოიხვეწილი. ამასთან, საქართველოს სამინისტროების დებულებებით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში უშუალოდ შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების (სახელმწიფო ქონების განკვერდობის გზით შექმნილი „სსიპ“-ების) დებულებების შესახებ საუბრისას აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ მათ დებულებათა სტრუქტურა თითქმის ანალოგიურია სამინისტროებისა და საქვეყნო დაწესებულებების დებულებათა სტრუქტურისა, რამაც ერთობ გაადვილა სამინისტროებზე მისადაგებული ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასების პარამეტრების, სამინისტროების სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზეც ანალოგიურად მისადაგება.

საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა სტრუქტურის მიხედვით დაყოფა („საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად):



საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ჯგუფების მიხედვით დაყოფა (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1509-ე მუხლის თანახმად):

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
(მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ჩამონათვალი არ არის ამომწურავი)

- | | |
|---|---|
| 1) საქართველოს სახელმწიფო | 4) სახელმწიფო დაწესებულებები და სახელმწიფო ფონდი |
| 2) თვითმმართველი ერთეული | 5) პოლიტიკური პარტიები |
| 3) სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობით ან ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირები | 6) საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია |

- (1)** საქართველოს სახელმწიფო საჯარო სამართლის უპირველესი სუბიექტია. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი მისი ორგანოების (სამინისტროები, საქვეუწყებო დაწესებულებები და ა.შ.) მეშვეობით, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები;
- (2)** არის საჯარო სამართლის კორპორაცია. სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში თვითმმართველი ერთეული მონაწილეობს ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი მისი ორგანოების (სამმართველოები, სამსახურები და ა.შ.) მეშვეობით, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები;
- (3)** სპეციალური კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებენ სახელმწიფო ფუნქციებს;
- (4)** საჯარო მიზნისათვის გათვალისწინებული ქონება, რომელიც იმართება სახელმწიფოს მიერ სპეციალურად ამ მიზნისათვის შექმნილ ორგანოს მიერ; სახელმწიფო ქონებისგან კერძოების გზით საჯარო ან სახელმწიფოებრივი მიზნების განსახორციელებლად შექმნილი იურიდიული პირი;
- (5)** საჯარო მიზნების მისაღწევად კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც განსხვავებით სხვა ჯგუფებისაგან, არ არის შექმნილი ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე;
- (6)** კონსტიტუციური შეთანხმებით აღიარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

იურიდიულ პირთა კატეგორიების სიმრავლიდან გამომდინარე, IDFI-ის სამუშაო გუნდის მიერ შეირჩა „სსიპ“-ების სავსებით ლოგიკური კონკრეტული სამიზნე კატეგორია – საქართველოს სამინისტროების დებულებებით განსაზღვრული, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვებ-გვერდები. მონიტორინგის ჩატარების პერიოდში (2010 წლის აგვისტო-დეკემბერი) ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილი იყო საქართველოს სამინისტროების მოქმედი დებულებების თანახმად, მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემდეგი მოქმედი ოფიციალური ვებ-გვერდები:

საქართველოს სამინისტრო	საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სამინისტროს დებულებით განსაზღვრული)
შინაგან საქმეთა სამინისტრო	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (www.policeacademy.ge) დაცვის პოლიცია (www.spd.ge) შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (http://saagento.security.gov.ge)
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	სოციალური მომსახურების სააგენტო (www.ssa.gov.ge) ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (www.ncdc.ge) ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (www.atipfund.gov.ge) ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური (www.him.ge)
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	გარემოს ეროვნული სააგენტო (www.nea.gov.ge) დაცული ტერიტორიების სააგენტო (www.dpa.gov.ge) სატყეო სააგენტო (www.forestry.gov.ge)
ფინანსთა სამინისტრო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია (www.mofacademy.ge) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (www.seragency.gov.ge)
სასჯელაღსრულებით სამინისტროსა და პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო	იურიდიული დახმარების სამსახური (www.legalaid.ge) არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (www.probation.ge) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი (www.pptc.gov.ge)
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (www.mdf.ge) ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მონაცემების რეფორმის ცენტრი (www.cegstar.ge)
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საწარმოთა მართვის სააგენტო (www.ema.gov.ge) საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო (www.dotr.gov.ge) საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (www.gcci.ge) საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (www.gnims.caucasus.net)
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (www.esida.ge) გამოცდების ეროვნული ცენტრი (www.naec.ge) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (www.ncac.ge) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (www.nea.ge) შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (www.rustaveli.org.ge) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (www.tpdc.ge)
იუსტიციის სამინისტრო	საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (www.notary.ge) საქართველოს ეროვნული არქივი (www.archives.gov.ge) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (www.napr.gov.ge) სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (www.cra.gov.ge) საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (www.tcj.gov.ge) აღსრულების ეროვნული ბიურო (www.nbe.gov.ge)

თავდაცვის სამინისტრო	სამინისტროს დებულებით განსაზღვრული 3“სსიპ“-იდან ოფიციალური ვებ-გვერდი არ გააჩნდა არც ერთს.
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	სამინისტროს სისტემა იმყოფებოდა რეორგანიზაციის ასრულების რეჟიმში.
ენერგეტიკის სამინისტრო	საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულების საფუძველზე სამინისტროს „სსიპ“ რეორგანიზებულ იქნა კერძო სამართლის იურიდიულ პირად.
საგარეო საქმეთა სამინისტრო	სამინისტროს დებულებით არ იყო განსაზღვრული რომელიმე კონკრეტული „სსიპ“.
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	სამინისტროს დებულებით განსაზღვრულ ერთადერთ „სსიპ“-ს არ გააჩნდა ვებ-გვერდი.
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	სამინისტროს დებულებით განსაზღვრული 3“სსიპ“-იდან ოფიციალური ვებ-გვერდი არცერთს არ გააჩნდა.
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა	სამინისტროს სისტემა იმყოფებოდა რეორგანიზაციის დასრულების რეჟიმში, ამასთან სამინისტროს არ გააჩნდა ოფიციალური ვებ-გვერდი.

ზოგადად, საჯარო სამართლის იურიდიული პირების სხვა დამახასიათებელ ნიშნებზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჯარო სამართლის იურიდიული პირი იქმნება და იურიდიული პირის სტატუსს იძენს დებულების (წესდების) დამტკიცებისა და იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის დანიშნვიდან (არჩევიდან), ხოლო საჯარო სამართლის იურიდიული პირი წყვეტს არსებობას:

- ა) დასახული მიზნის მიღწევის ან მიზნის მიღწევის შეუძლებლობის შემთხვევაში;
- ბ) დაფუძნების აქტით განსაზღვრული ვადის გასვლის გამო;
- გ) დაფუძნების აქტით ან დებულებით (წესდებით) გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

საჯარო სამართლის იურიდიული პირების ფორმალური დამოუკიდებლობის ხარისხის სახელმწიფო ორგანოთა მხრიდან ერთგვარ შეზღუდვის მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფო კონტროლი. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის თანახმად: **„საჯარო სამართლის იურიდიული პირი ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.“**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს კანონით ან საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობის ორგანო ან სახელმწიფო მინისტრი. სახელმწიფო კონტროლის ეფექტურად განხორციელების მიზნებისათვის, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა, ზემოთ ხსენებული ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს სა-

ჯარო სამართლის იურიდიული პირის არამართლმომიერი გადაწყვეტილება. ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების შემთხვევაში იურიდიულ პირზე კონტროლს, შესაბამისად, ახორციელებენ – ქალაქ თბილისის მთავრობა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს სათანადო ნორმატიული აქტით განსაზღვრული შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო. სახელმწიფოს მხრიდან საჯარო სამართლის იურიდიული პირების დამოუკიდებლობის ხარისხის შეზღუდვა აგრეთვე აისახება იმ საკანონმდებლო დათქმამაც, რომლის თანახმადაც – სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის) ქონების საფუძველზე შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიული პირის მხრიდან სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს თანხმობის გარეშე დაუშვებელია:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) თავდებობა;
- დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;
- ე) თანამშრომელთა მატერიალური წახალისებისათვის გამოსაყოფი სახსრების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ შესაძენი საწვავისა და გასაწვევი საკომუნიკაციო ხარჯების ლიმიტების განსაზღვრა (გარდა საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა);
- ვ) სხვა გადაწყვეტილებები საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონებასთან დაკავშირებით, თუ ისინი სცილდება ყოველდღიური, ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;
- ზ) სესხის აღება და თავდებობა შეუძლებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობის გარეშე.

ზემოთ მოყვანილი ნორმები ემსახურება სახელმწიფო ინტერესების დაცვას, თუმცა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გააჩნია სამართლებრივი დაცვის მექანიზმიც: სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს უარი ზემოთ ხსენებულ ქმედებათა განხორციელების თაობაზე უნდა იყოს დასაბუთებული და იგი შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში. სახელმწიფო კონტროლი აისახება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საბუღალტრო ანგარიშგებაშიც: საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს შესაბამის სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის წლიურ ბალანს ამონებებს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი. და ბოლოს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციისას, ზოგადად ლიკვიდაციას ახორციელებენ ის ლიკვიდატორები, რომლებსაც ნიშნავს სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო, ამასთან, ლიკვიდატორი შეიძლება იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი.

როგორც ირკვევა, მიუხედავად სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაციის სტატუსისა, სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, გარკვეულწილად, ბოჭავს სახელმწიფო ინტერესის ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს.

ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის მიზნებისათვის ნიშნების ერთობლიობა, რაც ახასიათებს სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემასთან კავშირში მყოფ ერთ-ერთ ქვე-რგოლს – სა-

ქართველოს სამინისტროების დებულებებით განსაზღვრულ, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებს:


საქართველოს სამინისტროს სისტემაში შემავალი „სსიპ“

- არის საქართველოს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი;
- ორგანიზებულია დებულების (წესდების) საფუძველზე;
- საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში, ასევე სასამართლოში მოსარჩელედ ან/და მოპასუხედ;
- საჯარო საქმიანობის მართვასა და განვითარებას ახორციელებს დამოუკიდებლად, თუმცა სახელმწიფო კონტროლით;
- უმეტეს შემთხვევებში, გააჩნია სახელმწიფოს მიერ გადაცემული განცალკევებული ქონება;
- გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო, სავალუტო და სხვა სახის საბანკო ანგარიშები, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები;
- იყოფა სტრუქტურულ ერთეულებად; შეიძლება გააჩნდეს ტერიტორიული ორგანოები;
- ანგარიშვალდებულია საქართველოს სამინისტროს წინაშე;
- ჰყავს ხელმძღვანელი (გენერალური დირექტორი, უფროსი, თავმჯდომარე, რექტორი და ა.შ.), რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და რომელსაც შეიძლება ჰყავდეს მოადგილე ან მოადგილეები;
- სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოა საქართველოს სამინისტრო.

დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებადი ორგანოები

სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემაში აუცილებელია განვიხილოთ ისეთი მნიშვნელოვანი რგოლი, როგორცაა დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოები. თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განსაკუთრებული ორგანოს სტატუსისა და საჯარო საქმიანობის დამოუკიდებლად განხორციელების რეჟიმისა, გარკვეულწილად მაინც სახეზე იყო კანონმდებლობით განმტკიცებული **სახელმწიფო ინტერესთა დაცვის ბოჭვა, სახელმწიფო კონტროლის სახით, ამგვარ რეგულირებას საერთოდ არ აქვს ადგილი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოების მაგალითზე. თვით ამ ორგანოთა სახელწოდების ელემენტი „დამოუკიდებელი“, პირდაპირ მიუთითებს სხვა ორგანოთა გავლენისაგან მათი დამოუკიდებლობის ხარისხის უმაღლეს დონეზე.**

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად (2010 წლის დეკემბრის მდგომარეობით) საქართველოში სახეზე იყო შემდეგი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები:



უნდა აღინიშნოს, რომ „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს. შესაბამისად, საქართველოს სამინისტროების სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან ორგანიზაციულ-სტრუქტურული ანალოგიის ხარჯზე, საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების შეფასების ცხრილი ესადაგება სხენებულ ორგანოთა ინფორმაციული გამჭვირვალობის მთელ რიგ პარამეტრებს.

მარეგულირებელ ორგანოთა დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი პრინციპებია:



**მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მარეგულირებელი ორგანოები და-
მოუკიდებელი არიან ყოველგვარი პოლიტიკური ზენოლისაგან, სახელმწიფო
ორგანოთა თუ სხვა პირთა არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებ-
რივი ჩარევისაგან, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ქმედებისაგან, რომელმაც შე-
იძლება ხელჰყოს მათი დამოუკიდებლობა.** დამოუკიდებელი მარეგულირებელი
ორგანო წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული სფეროს რეგულირების
მიზნით შექმნილ, სპეციალური უფლებაუნარიანობის მქონე საჯარო სამართლის
იურიდიულ პირს, რომელსაც არ გააჩნია სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანო,
დამოუკიდებელია სახელმწიფო ორგანოებისაგან და მოქმედებს კანონმდებლობით
დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში. კანონმდებლობით დაუშვებელია ნე-
ბისმიერი სახელმწიფო ორგანოს ჩარევა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგა-
ნოს საქმიანობაში, ამ საქმიანობის კონტროლი და აღნიშნულ საქმიანობასთან და-
კავშირებით ანგარიშის მოთხოვნა, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული
შესაბამისი კანონით. ამასთან, მარეგულირებელ ორგანოებს გააჩნიათ ფინანსური
დამოუკიდებლობა, რაც გულისხმობს რომ ისინი არ ფინანსდებიან ბიუჯეტიდან, მათი
ბიუჯეტის ძირითადი წყაროა რეგულირების საფასურიდან მიღებული დაფინანსება.
კანონმდებლობით, დამოუკიდებლობის გარანტიები შექმნილია მარეგულირებელი
ორგანოს სათანადო აქტის საფუძველზე დანიშნული წევრის – კომისიონერისათვი-
საც. კომისიონერის მიერ პროფესიული მოვალეობების შესრულებისას დაუშვებ-
ელია მის მიმართ არასათანადო ზემოქმედება და არასამართლებრივი ჩარევა, მას
კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სრული დამოუკიდებლობა შესაბამისი კანონის
ფარგლებში მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა
მიღებისას და კანონიერი ქმედებების განხორციელებისას. ამასთან, კომისიონერის
დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია მხოლოდ კანონმ-
დებლობით განსაზღვრულ შემდეგ შემთხვევებში: სასამართლოს გამამტყუნებელი
განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა, ეთიკის ნორმების დარღვევა, პროფესიული
მოვალეობების შეუსრულებლობა შესაბამისი კანონით დადგენილ ვადაში, სასამარ-
თლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანა კომისიონერის ქმედუწაროდ ცნობის ან
უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების ან გარდაცვლილად გამოცხადების თაობა-
ზე, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვა, გადადგომა და გარდაცვალება.

დამოუკიდებლობის გარდა, მარეგულირებელ ორგანოებს გააჩნიათ კანონმდებ-
ლობით გამყარებული ნორმატიული აქტების მიღების, სალიცენზიო და სანებართვო,
სატარიფო და დავების გადაწყვეტის უფლებამოსილებები:

ნორმატიული აქტების მიღების უფლებამოსილება

- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს სამართლებრივი ხასიათის ზოგადსაგვარდებულო ქვეყნის წესები (ნორმატიული აქტები);
- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ნორმატიული აქტია – ეროვნული კომისიის დადგენილება;
- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო ნორმატიულ აქტებს იღებს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სალიცენზიო და სანებართვო უფლებამოსილება

- დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს სრული უფლებამოსილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში გასცეს ლიცენზიები და ნებართვები, შეაჩეროს მათი მოქმედება, გააგრძელოს მათი მოქმედების ვადა, მოახდინოს მათი მოდიფიცირება, გააუქმოს ისინი;
- დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სალიცენზიო და სანებართვო უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ უფლებამოსილებაზე კონტროლის განხორციელება.

სატარიფო უფლებამოსილება

- დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოს აქვს სრული უფლებამოსილება დაადგინოს და არეგულიროს ტარიფები თავისი კომპეტენციის სფეროში, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში;
- დაუშვებელია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს სატარიფო უფლებამოსილებაში ჩარევა და ამ უფლებამოსილებაზე კონტროლის განხორციელება.

დავების გადაწყვეტის უფლებამოსილება

- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო უფლებამოსილია გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული დავები ამ მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიების ან/და ნებართვების მფლობელებს შორის ან ლიცენზიების ან/დანებართვების მფლობელებსა და მომხმარებლებს შორის;
- დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებები ზემოთხსენებულ დავების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მიუხედავად კანონმდებლობით განმტკიცებული დამოუკიდებელი სტატუსისა, მაინც არსებობს სახელმწიფო ორგანოთა მინიმალური როლი დამოუკიდებელ მარეგულირებელ ორგანოთა საქმიანობასთან მიმართებაში, რაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გადანაწილებულია შემდეგნაირად: დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის უფლება აქვს მხოლოდ **სასამართლოს**; საქართველოს **პარლამენტი** უფლებამოსილია გადაწყვიტოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულების აუდიტს ჩატარება – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს აუდიტს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ახორციელებენ დამოუკიდებელი აუდიტორები, რომელთაც შეარჩევს სატენდერო კომისია, რომლის შემადგენლობასაც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წარდგინებით ამტკიცებს **პარლამენტი**. ხოლო მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიმართ ნებისმიერი სახის კონტროლის დაუშვებლობა, არ გამოირიცხავს ანგარიშის მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენას, შესაბამისი კანონით დადგენილი წესით. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმო-

მარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კომისია ყოველი წლის 31 მარტამდე ადგენს თავისი საქმიანობის შესახებ გასული წლის ანგარიშს, რომელსაც უგზავნის საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს. ამავე დებულების მე-4 მუხლის თანახმად კომისიის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო კომისიის ერთ-ერთ წევრს საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს კომისიის თავმჯდომარედ.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მარეგულირებელი ორგანოს უმთავრესი ფუნქციის – რეგულირების გარდა (რაც გულისხმობს დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღებას, ლიცენზიების/ნებართვების გაცემას, მონიტორინგის, კოორდინაციის, ზედამხედველობისა და სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას), დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მომხმარებელთა საჯარო ინფორმაციით უზრუნველყოფა, მათი განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა. მომხმარებელთა ინტერესების დაცვის დამატებითი გარანტიების შესაქმნელად მარეგულირებელ ორგანოსთან, მარეგულირებელი კომისიის აპარატისაგან დამოუკიდებლად, ყალიბდება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური. მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველი (საზოგადოებრივი დამცველი) კანონმდებლობის თანახმად ინიშნება ღია კონკურსის წესით, საკონკურსო კომისიის გადანწყვეტილება ფორმდება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს თავმჯდომარის ბრძანებით, ხოლო საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევ საკონკურსო კომისიას ქმნის საქართველოს სახალხო დამცველი.

ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მონიტორინგის მიზნებისათვის ნიშნების ერთობლიობა, რაც ახასიათებს სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ ორგანოთა სისტემასთან კავშირში მყოფ ერთ-ერთ ქვე-რგოლს – დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებს:

დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანო

- მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ სახელმწიფო უწყებას;
- შექმნილია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით და გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა;
- ორგანიზებულია დებულების საფუძველზე;
- თავის საქმიანობის ფარგლებში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას;
- გააჩნია ფინანსური დამოუკიდებლობა – არ ფინანსდება ბიუჯეტიდან;
- გააჩნია დამოუკიდებელი ბალანსი და სათანადო ანგარიშები ბანკებში, ბეჭედი სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით;
- ფუნქციების განსახორციელებლად ჰყავს აპარატი, რომელიც აერთიანებს სტრუქტურულ ერთეულებს;
- მასთან მოქმედებს აპარატისაგან დამოუკიდებელი მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური;
- ჰყავს ხელმძღვანელი – კომისიის თავმჯდომარე.

სხვა საჯარო დანახვებები

ზოგადად, საჯარო ინფორმაციისა და მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის, ინტერნეტ გამჭვირვალობისა თუ ელექტრონულ მმართველობაზე საუბრისას ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია საჯარო დანახვებების ცნების ცოდნა, ანუ საზოგადოებას უნდა შეეძლოს ამოიცნოს ის ორგანო, რომელსაც გააჩნია საჯარო ინფორმაცია და, დაინტერესების შემთხვევაში, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აქვს ამ ინფორმაციის მოთხოვნის/მიღების უფლება. ჩვენს მიერ მონიტორინგის სამიზნე ობიექტებად შერჩეული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და საქართველოს სამინისტროების გარდა, არსებობს საჯარო დანახვებებათა სიმრავლე. რომელთაც გააჩნიათ საზოგადოებისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ვალდებულება. ამ დანახვებებებათა შორის საჯარო ინფორმაციის ღიაობის კუთხით, უპირველეს ყოვლისა, გამოირჩევიან სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ხელისუფლების სამივე შტოს ორგანოებით არიან წარმოდგენილი:

1. მთავრობის კანცელარია;
2. საქართველოს სახელმწიფო მინისტრების აპარატები;
3. სახელმწიფო საქვეყნებო დანახვებები, მათ შორის საქართველოს პროკურატურა;
4. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დანახვებები;
5. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია;
6. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია;
7. მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი სსიპ-ები – თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“ და ა.შ.;
8. საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დაქვემდებარებაში მყოფი დანახვებები და სათათბირო ორგანოები – პრეზიდენტის ადმინისტრაცია, საქართველოს დაზვერვის სამსახური, საქართველოს უშიშროების საბჭო, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, საჯარო სამსახურის საბჭო;
9. სასამართლო ხელისუფლების დანახვებები – საქართველოს უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები, რაიონული (საქალაქო) სასამართლოები, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
10. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, იუსტიციის უმაღლესი სკოლა;
11. საკანონმდებლო ხელისუფლების განმახორციელებელი უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული დანახვებები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;
12. მრავალი დამოუკიდებელი ორგანო – საქართველოში მოქმედი დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოები, საქართველოს კონტროლის პალატა, საქართველოს ეროვნული ბანკი და მასთან შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ფინანსური მონიტორინგის სამსახური, სახალხო დამცველის აპარატი, საქართველოს ცენტრალური სარჩევნო კომისია, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და ა.შ.

აღნიშნული წარმოდგენს საჯარო დანახვებებათა იმ არასრულ სიას, რომელ-

ზეც სრულად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით განსაზღვრული ინფორმაციის თავისუფლების ნორმები. ამასთან, საჯარო დაწესებულებებზე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიიჩნევიან ის კერძო სამართლის იურიდიული პირებიც (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები და ა.შ.), რომლებიც კონკრეტულ შემთხვევებში დაფინანსებულ იქნენ საბიუჯეტო სახსრებიდან.

საჯარო დაწესებულებებს, უმეტეს შემთხვევაში, გააჩნია მრავალი ზოგადი საერთო ნიშან-თვისება (ხელმძღვანელობის ორგანიზაცია, სტრუქტურული მონაცემები, საქმიანობის საფუძვლების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები, საქმიანობის მიზნები და ამოცანები, ფუნქციები და კომპეტენცია, სახელმწიფო კონტროლის მექანიზმი, ანგარიშვალდებულება საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის, სიმბოლიკა და ა.შ.), რომელთა შორის ყველაზე მთავარი მაინც ის გარემოებაა, რომ ყველა ამ დაწესებულებაში დაცული ოფიციალური დოკუმენტი, აგრეთვე ამ დაწესებულებების ან მოსამსახურის მიერ სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია **კანონმდებლობის თანახმად მიჩნეულია საჯარო ინფორმაციად**, მისი მოთხოვნის უფლება კი ყველას გააჩნია.

სამწუხაროდ, ზემოხსენებულ დაწესებულებებს არ გააჩნიათ კიდევ ერთი საერთო მნიშვნელოვანი ნიშან-თვისება – არ არსებობს საკანონმდებლო მოთხოვნა აღნიშნულ დაწესებულებათა ოფიციალური ვებ-გვერდების არსებობის შესახებ და ის სტანდარტი, რითაც განისაზღვრება იმ ინფორმაციის კატეგორია, რომელიც დაექვემდებარებოდა ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების ვებ-გვერდებზე განთავსებას. აღნიშნულ პრობლემატიკაზე ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი ამჟამად აქტიურად მუშაობს.

საქართველოს საჯარო დანახებულებების
საინფორმაციო რესურსების
(ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგი

თავი IV

მონიტორინგის მეთოდოლოგია და
შეფასების კრიტერიუმები



კვლევის (მონიტორინგის) მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება რუსეთის ფედერაციაში მოღვაწე არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაციის „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ („Институт Развития Свободы Информации“, Санкт-Петербург, РФ. (www.svobodainfo.org)) მიერ სახელმწიფო ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის შემუშავებულ მეთოდოლოგიას.

ინსტიტუტს აქვს მრავალწლიანი პრაქტიკა და გამოცდილება სახელმწიფო ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგისა და მათი გამჭვირვალობის შეფასების საქმეში. ინსტიტუტი, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების არქივთან ერთად (The National Security Archive, George Washington University, Washington DC. (<http://www.gwu.edu/~nsarchiv/>)), ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი პირველი პარტნიორია.

ჩვენს მიერ დაიხვეწა და საქართველოს რეალობას მიესადაგა „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ აპრობირებული მეთოდოლოგია. შემუშავდა ახალი მიდგომები საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციის ფარგლებისა და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით. ჩვენ ასევე განვსაზღვრეთ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიმდინარე საქმიანობის გამჭვირვალობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები.

შეფასების კრიტერიუმები

კვლევის მიმდინარეობისას თითოეულ პარამეტრს მიენიჭა სოციალური მნიშვნელობის კოეფიციენტი (კ-მნიშვნელობა). ეს კოეფიციენტი, კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, განსაზღვრავს კონკრეტული ინფორმაციის მნიშვნელობას და მისდამი საზოგადოების ინტერესის ხარისხს. აღნიშნული კოეფიციენტის განსაზღვრა საჭიროა, რადგან ყველა პარამეტრი ხარისხობრივად ვერ იქნება თანაბარი სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით. სოციალური მნიშვნელობის კოეფიციენტი განისაზღვრება სამიდან ერთი ხარისხობრივი მაჩვენებლით (1, 2 ან 3).

საბოლოო შეფასების ობიექტურობის მიზნით გაანალიზდა ის გარემოებები, რომლებიც განსაზღვრავს თითოეული სახელმწიფო ორგანოს კომპეტენციის ფარგლებს, ფუნქციებსა და ამოცანებს. საბოლოოდ, მიღებული მაჩვენებელი/კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფო ორგანოს ოფიციალურ საიტზე ამა თუ იმ ინფორმაციის განთავსების აუცილებლობა (კ-აუცილებლობა).

პარამეტრების შეფასების კრიტერიუმებად შეირჩა ინფორმაციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები:

- **ინფორმაციის არსებობა/არ არსებობა;**
- **ინფორმაციის სისრულე;**
- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;**
- **ინფორმაციის აქტუალობა.**

ოფიციალურ საიტზე ინფორმაციის განთავსება ან განუთავსებლობა განისაზღვრება არსებობის კოეფიციენტით ($K_{არსებობა}$). კოეფიციენტი ასახავს ინფორმაციის რაოდენობრივ მახასიათებელს და მას შეიძლება გააჩნდეს ორიდან ერთი მაჩვენებელი (1 - ვებ-გვერდზე ინფორმაცია მოცემულია ან 0 - ინფორმაცია საიტზე არ მოიძებნება).

ინფორმაციის სისრულის კოეფიციენტით ($K_{სისრულე}$) განისაზღვრება თუ რამდენად სრულად აისახება ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ცნობებში ესა თუ ის ინფორმაცია. კოეფიციენტი შეიძლება ჰქონდეს, ინფორმაციის სისრულის ხარისხის მიხედვით, სამიდან ერთი მაჩვენებელი:

- სისრულის მაღალი ხარისხი (70-100%) - $K_{სისრ.} = 1$ (ცნობები პარამეტრზე დეტალურადაა მოცემული და ინფორმაციაც წარმოდგენილია სრული მოცულობით);
- სისრულის საშუალო ხარისხი (30-70%) - $K_{სისრ.} = 0,5$ (ცნობები პარამეტრზე წარმოდგენილია საჭირო მოცულობით, მაგრამ ინფორმაცია არ არის განთავსებული მთლიანი მოცულობით; წარმოდგენილია ცნობების საჭირო რაოდენობა, მაგრამ ინფორმაცია არ არის საჭირო მოცულობით განთავსებული);
- სისრულის დაბალი ხარისხი (5-30%) - $K_{სისრ.} = 0,2$ (ინფორმაცია პარამეტრზე მწირია და ზედაპირული).

ინფორმაციის აქტუალობაში იგულისხმება ინფორმაციის მიღების მომენტისთვის მისი ფასეულობის ხარისხი. კოეფიციენტი დამოკიდებულია მისი მახასიათებლების დინამიკის ცვალებადობაზე და იმ დროის ინტერვალზე, რომელიც გასულია მოვლენის წარმოქმნიდან. აქტუალობა განისაზღვრება კოეფიციენტით ($K_{აქტუალობა}$) და ინფორმაციის აქტუალობის ხარისხიდან გამომდინარე შეიძლება ჰქონდეს სამიდან ერთი მაჩვენებელი:

- აქტუალობის მაღალი ხარისხი - $K_{აქტ.} = 1$ (ოფიციალური გამოსვლებისა და განცხადებების ტექსტები, ცნობები ოფიციალური ღონისძიებების, ოფიციალური ვიზიტებისა და სამუშაო შეხვედრების შესახებ არაუგვიანეს 7 დღისა. ცნობები სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის შესახებ, საქმიანობის გეგმები, მოხსენებები, ანგარიში, განვითარების პროგრამების აღწერილობები, ცნობები რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარების და ბიუჯეტის შესახებ, მოქალაქეთა მიმართულების მიმოხილვები, გამართული ტენდერები და სავაჭრო ოპერაციები მოცემულია რეალურ რეჟიმში);
- აქტუალობის საშუალო ხარისხი - $K_{აქტ.} = 0,85$ (ოფიციალური გამოსვლების და განცხადებების ტექსტები, ცნობები ოფიციალური ღონისძიებების, ვიზიტების და სამუშაო შეხვედრების შესახებ განთავსებულია 14 დღის დაგვიანებით. საქმიანობის - გეგმების, მოხსენებების, ანგარიშის, განვითარების პროგრამების აღწერილობების, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარებისა და ბიუჯეტის, მოქალაქეთა მიმართულების მიმოხილვების, გამართული ტენდერებისა და სავაჭრო ოპერაციების შესახებ ცნობებში ასახულია გასული წლის ვითარება);

- აქტუალობის დაბალი ხარისხი - $კ_{-აქტ.} = 0,7$ (ოფიციალური გამოსვლების და განცხადებების ტექსტები, ცნობები ოფიციალური დონისძიებების, ვიზიტების და სამუშაო შეხვედრების შესახებ არის 14 დღეზე გვიანდელი. საქმიანობის – გვეგების, მოხსენებების, ანგარიშის, განვითარების პროგრამების აღწერილობების, რეგიონული მიზნობრივი პროგრამების განვითარებისა და ბიუჯეტის, მოქალაქეთა მიმართულების მიმოხილვების, გამართული ტენდერებისა და სავაჭრო ოპერაციების შესახებ ცნობებში ასახულია წელიწადზე მეტი ხნის მდგომარეობა).

ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება საიტზე მისი მოძებნის სიმარტივის ხარისხი. ხელმისაწვდომობა განისაზღვრება კოეფიციენტით ($კ_{-ხელმისაწვდომობა}$), რომელსაც, ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხიდან გამომდინარე, შეიძლება ჰქონდეს სამიდან ერთი მაჩვენებელი:

- ხელმისაწვდომობის მაღალი ხარისხი - $კ_{-ხელმ.} = 1$ (ინფორმაცია განთავსებულია მომხმარებლისთვის მოხერხებულად, საიტის ლოგიკურ ნაწილში, თემატურ რუბრიკებში, მისი მოძებნა ადვილია);
- ხელმისაწვდომობის საშუალო ხარისხი - $კ_{-ხელმ.} = 0,95$ (ძიება გართულებულია, ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურ ნაწილში, მაგრამ ცუდადაა სტრუქტურირებული და მოსაძებნად რთულია ინფორმაციის მთელ მოცულობაში ან გაბნეულია მთელს საიტზე და არ არის მოხერხებულად დაჯგუფებული შესაბამის გვერდზე);
- ხელმისაწვდომობის დაბალი ხარისხი - $კ_{-ხელმ.} = 0,9$ (ძიება ძალიან გართულებულია, საიტზე ინფორმაცია განთავსებულია მისთვის არალოგიკურ ნაწილში, რუბრიკაში, ინფორმაციის მიკვლევა შეიძლება მხოლოდ სხვა დოკუმენტის ტექსტიდან, ან ინფორმაციის მოძებნა შეიძლება მხოლოდ ძიების ფუნქციის ან საიტის რუკის გამოყენებით).

ინფორმაციის რაოდენობის კოეფიციენტი ($კ_{-რაოდენობა}$) ასახავს ვებ-გვერდზე უშუალოდ ინფორმაციის არსებობას და არ არის დამოკიდებული ინფორმაციის ხარისხობრივ მახასიათებლებზე. $კ_{-რაოდ.}$ გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$კ_{-რაოდ.} = კ_{-სისრ.} \times კ_{-არსებობა}$$

ინფორმაციის ხარისხის კოეფიციენტი ($კ_{-ხარისხი}$) ასახავს ინფორმაციის ყველა ხარისხობრივ მაჩვენებელს და გამოითვლება ფორმულით:

$$კ_{-ხარისხი} = კ_{-სისრულე} \times (კ_{-აქტუალობა} + კ_{-ხელმისაწვდომობა} - 1)$$

ინფორმაციის სოციალური მნიშვნელობის ჯამური კოეფიციენტი ($კ_{-ჯამი}$) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$კ_{-ჯამი} = კ_{-მნიშვნელობა} \times კ_{-რაოდენობა} \times კ_{-ხარისხი}$$

ინფორმაციის ჯამური კოეფიციენტი ასახავს ექსპერტების მიერ არჩეული პარამეტრის ყველა მახასიათებელს.

თითოეული სახელმწიფო ორგანოს ოფიციალური საიტის გამჭვირვალობის კოეფიციენტი ($კ_{-გამჭვირვალობა}$) გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$კ_{-გამჭვირვალობა} = \frac{\sum კ_{-ჯამი}}{\sum (კ_{-მნიშვნელობა} \times კ_{-აუცილებლობა})}$$

ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხი ასახავს სახელმწიფო ორგანოების ინფორმაციის გამჭვირვალობის ჯამური კოეფიციენტების საშუალო არითმეტიკულს.

მონიტორინგის განხორციელების გზები

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, IDFI-ის სამუშაო გუნდის მიერ მონიტორინგის სამიზნე ობიექტებად შერჩეულ იქნა საქართველოს სამინისტროებისა და მათი დებულებების თანახმად, მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური ვებ-გვერდები.

მონიტორინგის სრულმა პროცესმა მოიცვა დროის მონაკვეთი 2010 წლის აგვისტოდან 2010 წლის დეკემბრამდე. მოცემულ პერიოდში ინტერნეტ სივრცეში სახეზე იყო 15 სამინისტროსა და 33 შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ოფიციალური ვებ-გვერდი. (აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის ჩატარების ზემოთ ხსენებული პერიოდის განმავლობაში ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა შემდეგი საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების შეფასება: საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (არ არსებობდა სამინისტროს განცალკევებული ოფიციალური ვებ-გვერდი – (www.msy.gov.ge), მოცემული იყო ან უკვე რეორგანიზებული საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთი დეპარტამენტის ვებ-გვერდის სახით); საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დებულებით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქველმოქმედო საზოგადოებრივი ორგანიზაცია (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.sanerge.com) იმყოფებოდა შემუშავების რეჟიმში); საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დებულებით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.trrc.ge) იმყოფებოდა შემუშავების რეჟიმში); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულებით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.investinggeorgia.org) არ ატარებდა საჯარო დაწესებულების, როგორც სტრუქტურული ორგანოს ვებ-გვერდის ხასიათს, წარმოადგენდა რა კომერციულ პროექტზე ორიენტირებული ელფერის მატარებელ ვებ-გვერდს); საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულებით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.gac.gov.ge) იმყოფებოდა შემუშავების რეჟიმში); საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულებით განსაზღვრული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.zspa.ge) იმყოფებოდა შემუშავების რეჟიმში), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საფინანსო ანალიტიკური სამსახური (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.fas.ge) იმყოფებოდა შემუშავების რეჟიმში), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახური (საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდი – (www.rs.ge) არ ატარებდა საჯარო დაწესებულების, როგორც სტრუქტურული ორგანოს ვებ-გვერდის ხასიათს, წარმოადგენდა რა ელექტრონული სერვისის ვებ-გვერდს);

ამასთან, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების (ოფიციალური ვებ-გვერდების) 2010 წლის მონიტორინგი ერთ-ერთ სამიზნე ობიექტად მოიცავდა საქართველოს სამინისტრო-

ბის დებულებებით პირდაპირ გათვალისწინებულ, ამ სამინისტროთა დებულებებით სამინისტროს სისტემის აღმწერ შესაბამის მუხლებში პირდაპირ მითითებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ჩამონათვალს, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის გარემოება, რომ მონიტორინგის ჩატარების პერიოდისათვის არსებული საქართველოს სამინისტროების დებულებათა კონტექსტიდან ირიბად გამომდინარე ან/და დებულებებით გათვალისწინებული შესაბამის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები არ მოიპოვებოდნენ მონიტორინგის სამიზნე ობიექტებად, რაც არ გამოორიცხავს შესაბამისი სურათის სისრულისათვის ზემოთ ხსენებული კატეგორიის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვებ-გვერდების ინფორმაციის გამჭვირვალობაზე მონიტორინგს სამომავლო ეტაპებზე, რა თქმა უნდა ამ საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების არსებობის პირობებში.

2009 წელს IDFI-ის სამუშაო გუნდის მიერ განხორციელებული პირველადი კვლევის საფუძველზე, 2010 წელს განხორციელებული კვლევა მოიცავდა შემდეგ მიზნებს:

- საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასების ცხრილის დახვეწა;
- საქართველოს სამინისტროებისა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის შეფასება;
- შეფასების საფუძველზე მონიტორინგს დაქვემდებარებული ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის ჯამური კოეფიციენტების გამოთვლა;
- მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ საჯარო დაწესებულებებისთვის სარეკომენდაციო ფურცლის შედგენა და გაგზავნა.

IDFI-ის სამუშაო გუნდის მიერ განხორციელებული კვლევის პროცესი შესაძლებელია პირობითად ორ ეტაპად დაიყოს:



საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე ინფორმაციის გამჭვირვალობის დონის შეფასება (ეტაპი 1.1). ინფორმაციის გამჭვირვალობის დონის, იგივე ინფორმაციის გამჭვირვალობის ხარისხის გამოვლენა შესაძლებელი იყო IDFI-ის მიერ საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგის 2009 წელს დახვეწილი მეთოდოლოგიის საფუძველზე. შეფასების კრიტერიუმებად, ისე-

ვე როგორც შარშან, კვლავ შერჩეულ იქნა ინფორმაციის შემდეგი მახასიათებლები: **ინფორმაციის არსებობა/არ არსებობა, ინფორმაციის სისრულე, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის აქტუალობა.** IDFI-ის მიერ შემუშავებული საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასების ცხრილის მიხედვით გამოთვლილ იქნა მონიტორინგს დაქვემდებარებული ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის ჯამური კოეფიციენტები.

საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდების შესაბამისი შეფასების საფუძველზე პრობლემებისა და ხარვეზების გამოვლენა (ეტაპი 1.2). მოცემული ეტაპი ატარებდა ორმაგ დატვირთვას: უპირველეს ყოვლისა, შეფასების შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და ხარვეზების წერილობითი დეტალიზაცია და შემდგომი ანალიზი ხელს შეუწყობდა საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე უარყოფითი თუ დადებითი ტენდენციების გამოვლენას ზოგადად ინფორმაციის განთავსების საკითხთან მიმართებაში, ხოლო ამავე დროს, წერილობითი ფორმით დაფიქსირებული შესაბამისი გამოვლენილი პრობლემები და ხარვეზები წარმოადგენდა სარეკომენდაციო ფურცლის შედგენის უშუალო წინაპირობას:

სარეკომენდაციო ფურცლის შედგენა და შესაბამის საჯარო დაწესებულებაში გაგზავნა (ეტაპი 2.1). IDFI-ის სამუშაო გუნდის მიერ შესაბამის საჯარო დაწესებულებებში გასაგზავნი სარეკომენდაციო ფურცლის შედგენა უშუალოდ ეფუძნება ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და ხარვეზების თემატური ბლოკების მიხედვით დალაგებას. ზემოხსენებული სარეკომენდაციო ფურცლები IDFI-ის თანამშრომლების მიერ მიენოდა თითოეულ შესაბამის საჯარო დაწესებულებას;

საჯარო დაწესებულების მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში შესაბამისი სარეკომენდაციო ხასიათის დახმარების განვება (ეტაპი 2.2). IDFI-ის მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში შესაბამის სარეკომენდაციო ფურცლებზე რეაგირება მოახდინეს და ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის დონის გაზრდის მიზნით სარეკომენდაციო დახმარება მიიღეს შემდეგმა საჯარო დაწესებულებებმა:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „გარემოს ეროვნული სააგენტო“;
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „აღსრულების ეროვნული ბიურო“;
4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „დაცვის პოლიცია“;
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „საწარმოთა მართვის სააგენტო“.

გარდა ზემოხსენებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, საკუთარი კეთილი ნების გამოვლენის საფუძველზე IDFI-ის მიერ დეტალური სარეკომენდაციო ხასიათის პრეზენტაცია ჩაუტარდა საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულ და მუდმივმოქმედ დამოუკიდებელ ორგანოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“. სარეკომენდაციო დახმარება მოიცავდა ზემოაღნიშნული საჯარო დაწესებულებებისათვის გაგზავნილ სარეკომენ-

დაციო ფურცლების საფუძველზე პრეზენტაციის ჩატარებასა და ვებ-გვერდის ოპტიმიზაციის შემთხვევაში, სხენული ვებ-გვერდის IDFI-ს მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისად ადაპტირების მეთვალყურეობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, IDFI-ს მიერ შემუშავებული საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდის ინფორმაციული გამჭვირვალობის შეფასების ცხრილის პარამეტრები მონიტორინგის მიზნებიდან გამომდინარე არსობრივად მისადაგებულ იქნა საქართველოს სამინისტროებისა და მათ სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის სტანდარტებს. წარმოგიდგინთ ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ სტანდარტებს, იგივე საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობის შეფასების პარამეტრებს, თემატური ბლოკების მიხედვით.

შეფასების პარამეტრების თემატური ბლოკები:

- I. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ;
- II. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა;
- III. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ;
- IV. ცნობები საკუთარი ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ;
- V. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა;
- VI. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას;
- VII. საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები;
- VIII. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა;
- IX. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი);
- X. ინფორმაციის მარტივად აღქმის კრიტერიუმები;
- XI. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები;
- XII. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის ნეგატიური კონტენტი და ფუნქციები.

საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობის შეფასების პარამეტრები

■ თემატური ბლოკი 1

ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ

1.1. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობის შესახებ

- 1.1.1. ხელმძღვანელის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- 1.1.2. ხელმძღვანელის კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ხელმძღვანელს;
- 1.1.3. ხელმძღვანელის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- 1.1.4. ხელმძღვანელის ყველა მოადგილის (მოვალეობათა შემსრულებლის) სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები;
- 1.1.5. ხელმძღვანელის ყველა მოადგილის (მოვალეობათა შემსრულებლის) კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა; იმ სფეროთა აღწერა, რომლებსაც კანონმდებლობის თანახმად კურირებენ მოადგილეები; საქართველოების სამინისტროების შემთხვევაში საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განმახორციელებელი მოადგილის შესახებ ინფორმაცია; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ხელმძღვანელის მოადგილეს;
- 1.1.6. ხელმძღვანელის ყველა მოადგილის (მოვალეობათა შემსრულებლის) საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

1.2. საჯარო დაწესებულების საერთო საკონტაქტო ინფორმაცია

- 1.2.1. საჯარო დაწესებულების სრული და შემოკლებული დასახელება (ინიციალები);
- 1.2.2. საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა;
- 1.2.3. იმ საჯარო დაწესებულების დასახელება, რომლის უფლებამონაცვლე / სამართალმემკვიდრე არის საჯარო დაწესებულება;
- 1.2.4. საჯარო დაწესებულების საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით);
- 1.2.5. საჯარო დაწესებულების მისაღების ადგილმდებარეობა (შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა);
- 1.2.6. საჯარო დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
- 1.2.7. საჯარო დაწესებულების სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა

- სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულის სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები);
- 1.2.8. საჯარო დაწესებულების ფაქსის ნომერი;
 - 1.2.9. საჯარო დაწესებულების ელექტრონული ფოსტის მისამართი;
 - 1.2.10. საჯარო დაწესებულების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

1.3. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს შესახებ

- 1.3.1. საჯარო დაწესებულების ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს სრული/ ნაწილობრივი დასახელება საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე;
- 1.3.2. საჯარო დაწესებულების ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმულის არსებობა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

1.4. ინფორმაცია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების შესახებ (სამინისტროების შემთხვევაში)

- 1.4.1. სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების სრული / ნაწილობრივი დასახელებების ჩამონათვალი სამინისტროს ვებ-გვერდზე;
- 1.4.2. სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულების არსებობა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.5. ინფორმაცია საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ (სამინისტროების შემთხვევაში)

- 1.5.1. სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სრული / ნაწილობრივი დასახელებების ჩამონათვალი სამინისტროს ვებ-გვერდზე;
- 1.5.2. სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულების არსებობა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

1.6. ინფორმაცია მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების შესახებ

- 1.6.1. მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების სრული / ნაწილობრივი დასახელებების ჩამონათვალი;
- 1.6.2. მსგავსი კომპეტენციის საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულების არსებობა.

1.7. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ

- 1.7.1. საჯარო დაწესებულების დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია;
- 1.7.2. საჯარო დაწესებულების კომპეტენციის, საქმიანობის (მმართველობის) სფეროს, ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების აღწერა.

■ თემატური ბლოკი 2

საჯარო დანეხებულების სისტემა/სტრუქტურა

2.1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დანეხებულების სისტემის (სტრუქტურის) შესახებ

- 2.1.1. საჯარო დანეხებულების სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა.

2.2. ინფორმაცია საჯარო დანეხებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების შესახებ

- 2.2.1. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ჩამონათვალი;
- 2.2.2. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- 2.2.3. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
- 2.2.4. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სტრუქტურული ქვედანაყოფის/ერთეულის ხელმძღვანელს;
- 2.2.5. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- 2.2.6. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები;
- 2.2.7. სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

2.3. ინფორმაცია საჯარო დანეხებულების ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების შესახებ

- 2.3.1. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ჩამონათვალი;
- 2.3.2. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;
- 2.3.3. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
- 2.3.4. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ტერიტორიული ორგანოს/ერთეულის ხელმძღვანელს;
- 2.3.5. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ხელმძღვანელის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- 2.3.6. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულების არსებობა საჯარო დანეხებულების ვებ-გვერდზე;
- 2.3.7. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით);

- 2.3.8. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების მისაღებების ადგილმდებარეობა (შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები);
- 2.3.9. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები;
- 2.3.10. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- 2.3.11. ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ფაქსის ნომრები.

2.4. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების შესახებ

- 2.4.1. საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების ჩამონათვალი;
- 2.4.2. საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
- 2.4.3. საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა;
- 2.4.4. საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების სხდომების ოქმები (საოქმო ჩანაწერები);
- 2.4.5. საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები.

2.5. ინფორმაცია საჯარო დაწესებულების საგარეო წარმომადგენლობების შესახებ

- 2.5.1. საგარეო წარმომადგენლობების ჩამონათვალი;
- 2.5.2. ინფორმაცია საგარეო წარმომადგენლობების შექმნის შესახებ და მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა;
- 2.5.3. საგარეო წარმომადგენლობების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
- 2.5.4. საგარეო წარმომადგენლობების ხელმძღვანელის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- 2.5.5. საგარეო წარმომადგენლობების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით);
- 2.5.6. საგარეო წარმომადგენლობების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- 2.5.7. საგარეო წარმომადგენლობების ფაქსის ნომრები;
- 2.5.8. საგარეო წარმომადგენლობების ელექტრონული ფოსტის მისამართები;
- 2.5.9. საგარეო წარმომადგენლობების მისაღებების ადგილმდებარეობა (შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები);
- 2.5.10. საგარეო წარმომადგენლობების ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულების არსებობა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

■ **თემატური ბლოკი 3**

მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ

- 3.1. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების ჩამონათვალი (მონაცემთა ბაზები, მონაცემთა ბანკები, რეესტრები, კადასტრები და ა.შ.);
- 3.2. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების აღწერა და მოხმარების წესები;
- 3.3. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების ონლაინ მოხმარების საშუალება;
- 3.4. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული შეზღუდული მოხმარების საინფორმაციო სისტემების ჩამონათვალი;
- 3.5. საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული შეზღუდული მოხმარების საინფორმაციო სისტემების აღწერა და მოხმარების წესები;
- 3.6. საჯარო დაწესებულებაში შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი;
- 3.7. საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსებზე წვდომის შესახებ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნათა რეგისტრაციის, მიღების, გადამისამართებისა და განხილვის წესის აღწერა;
- 3.8. საჯარო დაწესებულების მიერ შემოთავაზებული საინფორმაციო ხასიათის მომსახურების აღწერა და მისი მიღების წესი.

■ თემატური ბლოკი 4

ცნობები ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ

4.1. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები

- 4.1.1. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;
- 4.1.2. საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეთა (მოვალეობათა შემსრულებლის) გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები;
- 4.1.3. ცნობები საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;
- 4.1.4. ცნობები საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეთა (მოვალეობათა შემსრულებლის) ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ;
- 4.1.5. ცნობები საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში;
- 4.1.6. ცნობები საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის მოადგილეთა (მოვალეობათა შემსრულებლის) მონაწილეობის შესახებ ამა თუ იმ ღონისძიებაში.

4.2. საჯარო დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის შესახებ ცნობები

- 4.2.1. საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ მოხსენებები/ანგარიშები (წლიური ანგარიში);
- 4.2.2. საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ საინფორმაციო ხასიათის მიმოხილვები;
- 4.2.3. მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას;
- 4.2.4. საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა;
- 4.2.5. საჯარო დაწესებულების მიერ მომზადებული პროგნოზები;
- 4.2.6. საჯარო დაწესებულების მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია;
- 4.2.7. საჯარო დაწესებულების მიერ სხვა საჯარო დაწესებულებებთან (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან), პოლიტიკურ გაერთიანებებთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები;
- 4.2.8. საჯარო დაწესებულების მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთქმედების შესახებ ცნობები;
- 4.2.9. საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ან/და სემინარების კურსის შესახებ ცნობები.

4.3. სახელმწიფო პროგრამების შესახებ ცნობები

- 4.3.1. სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე

მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება;

- 4.3.2. ცნობები იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება;
- 4.3.3. იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება.

4.4. პროექტების რეალიზაციაში მონაწილეობის შესახებ ცნობები

- 4.4.1. პროექტების ჩამონათვალი, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება;
- 4.4.2. ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება;
- 4.4.3. იმ პროექტების შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება.

4.5. შემონმებების შესახებ ცნობები

- 4.5.1. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული შემონმებების შესახებ ინფორმაცია;
- 4.5.2. საჯარო დაწესებულების შიგნით განხორციელებული შემონმებების შესახებ ინფორმაცია.

4.6. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებისა და მათი ლიკვიდაციის შესახებ ცნობები

- 4.6.1. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებისა და მათი ლიკვიდაციისაკენ მიმართული ღონისძიებათა ჩამონათვალი;
- 4.6.2. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებისა და მათი ლიკვიდაციისათვის შემუშავებული რეკომენდაციები.

4.7. საჯარო დაწესებულების ან მის თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ მოქმედებათა (მოქმედებათაგან თავის შეკავების) და გადაწყვეტილებათა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) გასაჩივრების შესახებ ცნობები

- 4.7.1. საჯარო დაწესებულების ან მის თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ მოქმედებათა (მოქმედებისაგან თავის შეკავების) და გადაწყვეტილებათა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების პროცედურის აღწერა;
- 4.7.2. საჯარო დაწესებულების ან მის თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ მოქმედებათა (მოქმედებათაგან თავის შეკავების) და გადაწყვეტილებათა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) თაობაზე სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სარჩელის აღძვრის პროცედურის აღწერა;
- 4.7.3. საჯარო დაწესებულების ან მის თანამდებობის პირთა მიერ განხორციე-

ლებულ მოქმედებათა (მოქმედებათაგან თავის შეკავების) და გადაწყვეტილებათა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) თაობაზე სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სარჩელის აღძვრის პროცედურის აღწერა;

- 4.7.4. იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება ან მისი თანამდებობის პირი (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები და ა.შ.);
- 4.7.5. იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტები, რომლებიც არ იქნა საჯარო დაწესებულების სასარგებლოდ გამოტანილი.

4.8. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტიზების შესახებ ცნობები

- 4.8.1. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტიზების აღწერა;
- 4.8.2. საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტიზების შედეგები.

■ თემატური ბლოკი 5

სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა

5.1. სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ საჯარო დაწესებულების კომპეტენციას, ამოცანებს, ფუნქციებსა და საქმიანობის საფუძვლებს (საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები, შინაგანაწესი, მთავრობის დადგენილებები და პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები, მინისტრის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტები/ბრძანებები)

- 5.1.1. საჯარო დაწესებულების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები (დებულება (წესდება), შინაგანაწესი ანდა სხვა სამართლებრივი აქტი).

5.2. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების გემდგომი ან/და ქვემდგომი ორგანოების საქმიანობის ორგანიზებას

- 5.2.1. საჯარო დაწესებულების გემდგომი ან/და ქვემდგომი ორგანოების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები (დებულება (წესდება), შინაგანაწესი ანდა სხვა სამართლებრივი აქტი).

5.3. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების საქმიანობის ორგანიზებას

5.3.1. საჯარო დაწესებულების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ტექსტები (წევრების რაოდენობა, წევრების დანიშვნის წესის აღწერა, შეკრების პერიოდულობა, ორგანოს ფუნქციების აღწერა, გადაწყვეტილებათა მიღების წესი, ხელმძღვანელის არჩევის წესი, უფლებამოსილების ვადა, ფუნქციათა აღწერა და ა.შ.).

5.4. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების სისტემას (ორგანიზაციულ სტრუქტურას)

- 5.4.1. საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის, საქმიანობის ორგანიზაციის მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები;
- 5.4.2. საჯარო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის, საქმიანობის ორგანიზაციის მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები;
- 5.4.3. სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის, საქმიანობის ორგანიზაციის მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები (სამინისტროების შემთხვევაში);
- 5.4.4. სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის, საქმიანობის ორგანიზაციის მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები (სამინისტროების შემთხვევაში).

5.5. იმ საჯარო დაწესებულების სამართლებრივი აქტები, რომლის უფლება-მონაცვლე/სამართალმემკვიდრე არის საჯარო დაწესებულება;

- 5.5.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.6. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შექმნასა და მათ მოხმარების წესებს, აგრეთვე ზოგადად ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს

- 5.6.1. შესაბამისი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.7. საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და საჯარო დაწესებულების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საკანონმდებლო აქტების პროექტები

- 5.7.1. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტების ტექსტები;
- 5.7.2. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტებზე დართული განმარტებითი ბარათები.

5.8. საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და საჯარო დაწესებულების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე კანონქვემდებარე აქტების პროექტები

- 5.8.1. შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების პროექტების ტექსტები;
- 5.8.2. შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების პროექტებზე დართული განმარტებითი ბარათები.

5.9. საჯარო დაწესებულების საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები

- 5.9.1. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების ტექსტები;
- 5.9.2. საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი.

5.10. საჯარო დაწესებულების საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის სამართლებრივი აქტები

- 5.10.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.11. საჯარო დაწესებულების საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები

- 5.11.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.12. საჯარო დაწესებულების საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მინისტრისა და საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები

- 5.12.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.13. იმ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება

- 5.13.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.14. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებისადმი მიმართვის ზოგად წესს, მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით

- 5.14.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.15. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების მიერ სარგებლობის უფლების მინიჭების, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის განხორციელების, აღრიცხვა-რეგისტრაციის, ავტორიზაცია-ავრედიტაციის, დეკლარირება-ლეგალიზაციის, თუ სხვა სახის სახელისუფლებო და საჯარო ხასიათის რეგულირებისა და საქმიანობის წესს, რაც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით

- 5.15.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

5.16. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების მიერ გასაწევ მომსახურებასა და განუღებ მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის შესახებ საკითხებს;

- 5.16.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები;

5.17. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების მიერ სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების წესს;

- 5.17.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

- 5.18. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში ტენდერების, კონკურსების, სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესს**
5.18.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.
- 5.19. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სახელმწიფო ქონების სხვა სახის პრივატიზების განხორციელების წესს**
5.19.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.
- 5.20. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების თანამშრომელთა ქცევის წესების ნორმებს (ეთიკის კოდექსი)**
5.20.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.
- 5.21. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში სამსახურში თანამდებობაზე მიღებისა და საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესს**
5.21.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.
- 5.22. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსის გავლის წესს**
5.22.1. შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.
- 5.23. სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებასა და მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს**
5.23.1 შესაბამისი სამართლებრივი აქტების ტექსტები.

■ თემატური ბლოკი 6

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

6.1. ზოგადი მონაცემები

- 6.1.1. ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან განმარტებით საქმიანობას მიძღვნილი მასალები, რომლებიც მიეკუთვნება საჯარო დაწესებულების კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს (კონსულტაციები, განმარტებები, საინფორმაციო შეტყობინებები და მისთ.);
- 6.1.2. საჯარო დაწესებულებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

6.2. ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვებთან მუშაობა

- 6.2.1. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა;
- 6.2.2. ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ საჯარო დაწესებულებაში მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერა;
- 6.2.3. საჯარო დაწესებულებისათვის მიმართვის ან განცხადების ვებ-გვერდიდან გაგზავნის საშუალება.

6.3. საჯარო დაწესებულების საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან;

- 6.3.1. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობა (სახელი და გვარი) და თანამდებობა;
- 6.3.2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტა, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- 6.3.3. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
- 6.3.4. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმების/ნიმუშების არსებობა;
- 6.3.5. საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები და ა.შ.);
- 6.3.6. საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია;
- 6.3.7. საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ინფორმაცია;

- 6.3.8. საჯარო დაწესებულების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური სრული ანგარიშის არსებობა საჯარო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

6.4. საჯარო დაწესებულების მიერ სარგებლობის უფლების მინიჭების, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის განხორციელების, აღრიცხვა-რეგისტრაციის, ავტორიზაცია-აკრედიტაციის, დეკლარირება-ლეგალიზაციის, თუ სხვა სახის სახელისუფლებო და საჯარო ხასიათის საქმიანობა, რაც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

- 6.4.1. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა შესახებ ცნობები;
- 6.4.2. იმ პირთა კატეგორიის აღწერა, რომელიც უფლებამოსილია მიმართოს საჯარო დაწესებულებას სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად;
- 6.4.3. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელების ვადების აღწერა;
- 6.4.4. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა საფასურის შესახებ ინფორმაცია;
- 6.4.5. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე უარის თქმის ან ამ ქმედებათა განხორციელების შეჩერების კრიტერიუმების აღწერა;
- 6.4.6. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელების თაობაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვის წესის აღწერა (მათ შორის საკონტაქტო ინფორმაცია);
- 6.4.7. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული განცხადების ფორმები, რომლებიც აუცილებელია სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად;
- 6.4.8. ზემოთ ხსენებული თითოეული განცხადების ფორმის შევსების ინსტრუქცია;
- 6.4.9. ზემოთ ხსენებული თითოეული განცხადების ფორმის შესავსებად აუცილებელი თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
- 6.4.10. მოთხოვნათა ჩამონათვალი, რომელიც განკუთვნილია სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის მიმართ;
- 6.4.11. მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტები;
- 6.4.12. საჯარო დაწესებულების იმ თანამდებობის პირთა სახელები და გვარები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე;
- 6.4.13. საჯარო დაწესებულების იმ თანამდებობის პირთა საკონტაქტო რეკვიზიტები (ტელეფონის ნომრები, ელ. ფოსტები), რომლებიც პასუხისმგებელი არიან სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე;
- 6.4.14. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელება-სთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი.

6.5. სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებები

6.5.1. სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების საჯარო დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესი.

■ თემატური ბლოკი 7

საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ეონების კრივიპატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

7.1. ვაჭრობათა შესახებ ინფორმაცია

- 7.1.1. გამოცხადებულ ვაჭრობათა შესახებ ინფორმაციული ხასიათის ცნობათა ჩამონათვალი;
- 7.1.2. შევევთების განთავსების შესახებ ინფორმაციის მომცველ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული;
- 7.1.3. საჯარო დაწესებულებასა და მის სისტემაში შემავალ დაწესებულებებში ვაჭრობათა ჩატარების გეგმა.

7.2. გაფორმებულ ხელშეკრულებათა შესახებ ინფორმაცია

- 7.2.1. საჯარო დაწესებულებასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე საჯარო დაწესებულებასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქოსამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი;
- 7.2.2. საჯარო დაწესებულებასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე საჯარო დაწესებულებასა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქოსამართლებრივ) ხელშეკრულებათა პირობები.

■ **თემატური ბლოკი 8**

საჯარო დანეხებულების საკადრო უზრუნველყოფა

- 8.1. საჯარო დანეხებულებაში ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი;
- 8.2. ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები);
- 8.3. საჯარო დანეხებულებაში სამსახურში თანამდებობაზე მიღების წესი;
- 8.4. საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი;
- 8.5. კანდიდატთა მიერ საჯარო დანეხებულებისათვის სამსახურში თანამდებობაზე მისაღებად განცხადებით მიმართვის წესი;
- 8.6. საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (საჯარო დანეხებულების მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების (გამოქვეყნების) საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით (სამართლებრივი აქტის პირობა, თანხმობის სხვა ფორმა და ა.შ.);
- 8.7. საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა.

■ **თემატური ბლოკი 9**

საჯარო დანეხებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)

- 9.1. საჯარო დანეხებულებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- 9.2. საჯარო დანეხებულების ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასაღლების/ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის (საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაცია.

■ თემატური ბლოკი 10

ინფორმაციის მართივად აღქმის კრიტერიუმები

- 10.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის რუკის არსებობა;
- 10.2. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის განყოფილებებისა და რუბრიკების ანბანური ცნობარი;
- 10.3. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე მარტივი ძიების ფუნქციის არსებობა;
- 10.4. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე დეტალური/გაფართოებული ძიების ფუნქციის (პარამეტრების ფილტრაცია, თარიღის მიხედვით ძიება, სათაურებში და ტექსტის შიგნით ძიება და ა.შ.) არსებობა;
- 10.5. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის მიხედვით ძიების ფუნქციის არსებობა;
- 10.6. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან ჩამოსატვირთი ტექსტური, აუდიო, ვიდეო და ა.შ. ფაილების ფორმატზე მითითება;
- 10.7. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან ჩამოსატვირთი ტექსტური, აუდიო, ვიდეო და ა.შ. ფაილების ზომებზე მითითება;
- 10.8. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ფუნქციის - „ვერსია ამოზეცდვისთვის“ (ამოსაბეჭდი ვერსია) არსებობა.

■ **თემატური ბლოკი 11** **დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები**

- 11.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის რეგისტრაცია ძირითად საძიებო სისტემებში (Google, Yahoo);
- 11.2. საჯარო დაწესებულების საქმიანობის თემატიკის შესაბამისი სიახლეთა ლენტის არსებობა;
- 11.3. მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ქვითრების ელექტრონული ფორმის არსებობა (ფორმების შევსების და ამობეჭვდის შესაძლებლობა პირდაპირ საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან);
- 11.4. მომხმარებლის მიერ მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ქვითრის ბლანკის ტექნიკურ საშუალებებზე გადმოტვირთვის საშუალება, რომელიც შეიცავს გადასახდელის მიმღების ყველა საჭირო საბანკო რეკვიზიტს;
- 11.5. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად მიმართვის ფორმის შევსების და ამობეჭვდის საშუალება პირდაპირ ვებ-გვერდიდან;
- 11.6. სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად მიმართვის ფორმის შენახვის შესაძლებლობა მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებებზე იმ ფორმატში, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს დამოუკიდებლად შეავსოს და ამობეჭდოს გემოსხენებული ფორმა;
- 11.7. მიმართვის ინტერაქტიული ფორმის არსებობა (უშუალოდ საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან განცხადების შევსებისა და გაგზავნის საშუალება);
- 11.8. მიმართვის ფორმების გასახსნელად საჭირო პროგრამების არსებობა ვებ-გვერდზე და მათი გადმოტვირთვის საშუალება (ინსტალაციის მიზნით);
- 11.9. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის განახლებაზე თვალყურის დევნის საშუალება;
- 11.10. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდიდან ახალი ამბების გამონერის საშუალება;
- 11.11. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ფორუმის არსებობა;
- 11.12. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე რუბრიკის „კითხვა-პასუხი“ ან „ხშირად დასმული შეკითხვები“ არსებობა;

- 11.13. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის არსებობა;
- 11.14. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის დაყოფა მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების მიხედვით;
- 11.15. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე საჯარო დაწესებულების კომპეტენციის ფარგლებში გამოყენებად ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის არსებობა;
- 11.16. საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის ვებ-ადმინისტრატორისა და ვებ-გვერდის ფუნქციონირებასა და ინფორმაციულ განახლებებზე თვალყურის დევნაზე პასუხისმგებელი პირის/საჯარო დაწესებულების შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ელ. ფოსტის მისამართით ტექნიკური ხასიათის შენიშვნების მისაწოდებლად;
- 11.17. მომხმარებელთან ონლაინ ინტერაქტიულ რეჟიმში კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა (Skype, Facebook სხვა სახის ჩატი და ა.შ.);

■ თემატური ბლოკი 12

საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდის ნაგებობრივი კონტენტი და ფუნქციები

- 12.1. საჯარო დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა მომსახურების, საქონლის და მისთ. რეკლამის (მათ შორის ირიბი ან ფარული) არსებობა.

საქართველოს საჯარო დაწესებულებების
საინფორმაციო რესურსების
(ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგი

თავი V

მონიტორინგის შედეგები, გამოვლენილი
პრობლემები და ზოგადი ტენდენციები



IDFI-ის მიერ პროექტის „საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების (ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგი“ ფარგლებში განხორციელებული კვლევა, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო მონიტორინგის სამიზნე ობიექტებად შერჩეული საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის გამჭვირვალობის დონის შეფასებასა და შესაბამისი კვლევის საფუძველზე პრობლემატიკისა და ტენდენციების გამოვლენისაკენ. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევა აგრეთვე მიმართული იყო როგორც უარყოფითი (ნეგატიური), ასევე დადებითი (პოზიტიური) ტენდენციების გამოაშკარავებაზე. არსებული პრობლემატიკისა და ტენდენციების გამოვლენა შეუძლებელი იქნებოდა ზემოთ მოყვანილ თემატურ ბლოკებში გაერთიანებული იმ თითოეული პარამეტრის გამოყენების გარეშე, რომლითაც შეფასდა ზოგადად მონიტორინგს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობა. წარმოგიდგინოთ IDFI-ის სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად კონკრეტულ საჯარო დაწესებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდების მაგალითზე გამოვლენილ პრობლემატიკას და ზოგადი ტენდენციების აღწერას თემატური ბლოკების მიხედვით.

„საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსების (ოფიციალური ვებ-გვერდების) მონიტორინგი“ პროექტის ფარგლებში 2010 წლის აგვისტო-დეკემბერში განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და ზოგადი ტენდენციები თემატური ბლოკების მიხედვით.

■ **თემატური ბლოკი 1** **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დანახებულების შესახებ**

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

- » ხელმძღვანელობის შესახებ ინფორმაცია ხშირ შემთხვევებში შემოიფარგლება მხოლოდ სახელით, გვარით, ფოტოსურათითა და ბიოგრაფიული მონაცემებით. ხელმძღვანელისა და მოადგილეების კომპეტენციის აღწერა ცალკე არ არის გამოტანილი შესაბამის (ქვე-)განყოფილებებში, ზემოთ ხსენებული აღწერა მოიხიება ცალკეულ სამართლებრივ აქტებში (საჯარო და წესებულების დებულება, ხელმძღვანელის ბრძანება და ა.შ.), რომლებიც ვებ-გვერდზე არსებულ სამართლებრივ აქტების განყოფილებაში რთულად მოსაძიებელია დაინტერესებულ პირთათვის, თუ მათ არ გააჩნიათ სამართლის დარგის შესაბამისი ცოდნა. უმეტეს შემთხვევებში, არ არსებობს აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითებაც, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს ხელმძღვანელს/მოადგილე(ებ)ს თანამდებობიდან. უმეტეს შემთხვევებში, ხელმძღვანელობის საკონტაქტო რეკვიზიტები (სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების / თანაშემწის/ ტელეფონისა და ფაქსის ნომრები) ვებ-გვერდებზე სახეზე არ არის. არ არის მოცემული იმ სფეროთა აღწერაც, რომლებსაც კურირებენ მოადგილეები, სამინისტროების შემთხვევაში სახეზე არ არის საპარლამენტო მდივნის ფუნქციის განმარტებული მოადგილის შესახებ ინფორმაცია;
- » სახეზე არ არის ვებ-გვერდების ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნები. იშვიათად თუ წავაწყდებით დანესებულებების საფოსტო მისამართებს (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობის მდებარეობის აღმნიშვნელ შესაბამის რუკებს. ვებ-გვერდებზე თითქმის არასდროს არ არის წარმოდგენილი საჯარო დანესებულებების სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი და ფიზიკური/იურიდიული პირების მიღების გრაფიკი;
- » საკმაოდ იშვიათად არის წარმოდგენილი ზემდგომი (მაკონტროლებელი) ორგანოების დასახელებები და მათ ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები;
- » საკმაოდ იშვიათად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მსგავსი კომპეტენციის საჯარო დანესებულებების შესახებ (დასახელებათა ჩამონათვალი და ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები), რაც ართულებს დაინტერესებულ პირთათვის საჯარო დანესებულების მმართველობის სფეროს შესახებ სრული წარმოდგენის შექმნას;
- » საჯარო დანესებულებების საქმიანობის ისტორია ზომიერად არის წარმოდგენილი ვებ-გვერდებზე, თუმცა მათი კომპეტენციის, საქმიანობის (მმართველობის) სფეროს, ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების აღწერა უფრო ხშირად შესაბამის სამართლებრივ აქტებში (დებულებები, კანონები და ა.შ.) არის მოცემული, ვიდრე ვებ-გვერდების შესაბამის (ქვე-)განყოფილებებში, რაც კიდევ ერთხელ წარმოადგენს დაბრკოლებას დაინტერესებულ პირთათვის ინფორმაციის მიღების კუთხით, თუ მათ არ გააჩნიათ სამართლის დარგის შესაბამისი ცოდნა.

დადაბითი ტენდენციები

საჯარო დანესებულებების ვებ-გვერდებზე ზომიერად არის წარმოდგენილი შემდეგი სახის ინფორმაცია: ხელმძღვანელისა და მისი მოადგილის (მოადგილეების) სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ზომიერზე ნაკლებად – ბი-

ოგრაფიული მონაცემები; საჯარო დაწესებულებების სრული დასახელება, ზომიერზე ნაკლებად – შემოკლებული დასახელება (ინიციალები); ზომიერზე ნაკლებად არის წარმოდგენილი შემდეგი სახის ინფორმაცია – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონისა და ცხელი ხაზის ნომრები, ფაქსის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები.

დადებითი მაგალითი: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mfa.gov.ge) მთავარ გვერდზე გამოყოფილია განყოფილება სათაურად „საგარეო საქმეთა მინისტრი“, სადაც ფოტოსურათთან ერთად, ქვე-განყოფილებების სახით სახეზეა მინისტრის ბიოგრაფია, ინტერვიუები, გამოსვლები და ღონისძიებები, რაც უადვილებს ვებ-გვერდის დამთვალიერებელს მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას სამინისტროს პირველი პირის საქმიანობის შესახებ.

უარყოფითი ტენდენციების ილუსტრირებული მაგალითები:

@ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (www.mof.ge)

<p>სამინისტროს შესახებ შთავალი • სამინისტროს შესახებ • მინისტრი • ბიოგრაფია</p>	<p>ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის ფოტოსურათი, მინისტრის კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა.</p>
<p>ბიოგრაფია</p> <p>კახა შაინდუნაშვილი დაიბადა 1978 წლის 26 სექტემბერს ქობულთაში. სწავლობდა თბილისის ფინანს უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1998-2000წ. მიღებული აქვს ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი. 1995-1998წ. ეკონომიკურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი.</p> <p>1999-2000 წლებში მუშაობდა სააგენტოში „პრაიმ-ნიუსი“ რედაქციონის თანამდებობაზე.</p> <p>2000-2002 წლებში ეკავა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საინვესტიციო პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსის თანამდებობა.</p> <p>2002-2004 წლებში მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) კონსულტანტად.</p> <p>2004-2005 წლებში იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი.</p> <p>2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ივნისის პერიოდში სწავლობდა უილიამს კოლეჯში - უილიამსთაუნი, მასაჩუსეტსი, აშშ, (Williams College, Williamstown, MA, USA) მიღებული აქვს განვითარებადი ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.</p>	

ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის ფოტოსურათი და მასზე კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის (უფლება-მოვალეობების) აღწერა, აგრეთვე იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ხელმძღვანელს (ფინანსთა მინისტრს თანამდებობაზე საქართველოს პრემიერდენტის თანხმობით ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი). ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება შესაბამისი ქვე-განყოფილებები, სადაც მოყვანილი იქნებოდა ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობის დეტალური ისტორიისა და მისი კომპეტენციის, მმართველობის სფეროს, ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

@ **დასული ტერიტორიების სააგენტო**
(www.dpa.gov.ge)

სააგენტოს შესახებ
სტრუქტურა / სააგენტო სტრუქტურა

თავმჯდომარის მოადგილე	დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე	თავმჯდომარის მოადგილე
განვითარების სამსახური	შიდა კონტროლის სამსახური	დაგეგმვის სამსახური
ტერაიტორიული სამსახურები	აღმინისტრაციული სამსახური	
	მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური	
	ეკონომიკური სამსახური	
	იურიდიული სამსახური	

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სააგენტოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შესახებ, არ არსებობს შესაბამისი განყოფილებებიც.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სააგენტოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შესახებ (მათი სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები). ვებ-გვერდზე არ არსებობს შესაბამისი განყოფილებებიც.

@ **სასჯელალსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრი**
(www.pptc.gov.ge)

კონტაქტი

გარდაამის მუნიციპალიტეტი რუსთავის ვნატკეცილი შუა-17 კილომეტრი

ტელ/ფაქსი: +(995 24) 18 04 84

info@pptc.gov.ge

www.pptc.gov.ge

სახელი

ელ-ფოსტა

შეტყობინება

სასჯელალსრულების და პრობაციის სასწავლო ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის საფოსტო მისამართი, შენობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი და მათთან მუშაობის გრაფიკი და ცენტრის გაშლილი სარეკვიზიტო ცნობარი.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება), შენობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი, ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, ცენტრის გაშლილი სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფის საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია: ტელეფონის ნომრები, ელ-ფოსტები, ფაქსები და ა.შ.), სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სამინისტროს ტექსტური სახით მითითება ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე.

■ თემატური ბლოკი 2 საჯარო დანახებულების სისტემა/სტრუქტურა

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

- » ხშირ შემთხვევებში ინფორმაცია სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელობის შესახებ არის არასრული: იშვიათად თუ წავეწყვებით სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელთა გვარ-სახელებსა და ფოტოსურათებთან ერთად მათ ვრცელ ბიოგრაფიულ მონაცემებს. აგრეთვე იშვიათად არის წარმოდგენილი მათი საკონტაქტო რეკვიზიტებიც (სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების /თანაშემწეების/ ტელეფონისა და ფაქსის ნომრები). არ მოიძიება ინფორმაციული მითითებები იმ საჯარო თანამდებობის პირზე, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელებს. იგივე შეიძლება ითქვას სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერაზეც. იშვიათად მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა. ზემოსხენებული აღწერა მოიძიება ცალკეულ სამართლებრივ აქტებში (საჯარო დანახებულების დებულება, ხელმძღვანელის ბრძანება და ა.შ.), რომლებიც ვებ-გვერდზე არსებულ სამართლებრივი აქტების განყოფილებაში რთულად მოსაძიებელია დაინტერესებულ პირთათვის, თუ მათ არ გააჩნიათ სამართლის დარგის შესაბამისი ცოდნა. საკმაოდ იშვიათად მოიძიება სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- » ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ჩამონათვალი ხშირ შემთხვევებში არასრულია ან საერთოდ არ მოიძიება. იშვიათად მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია: ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ხელმძღვანელთა სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები. სამართლებრივი აქტების გარეთ არ მოიძიება მათი კომპეტენციის აღწერა და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს მათ თანამდებობიდან. არ მოიძიება ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები და ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა იშვიათად არის ერთობლიობაში წარმოდგენილი ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ელექტრონული ფოსტებისა და საფოსტო მისამართები, საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. იმის გათვალისწინებით, რომ დღესდღეობით საქართველოს ინტერნეტ სივრცეში საჯარო დანახებულებათა ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების განცალკევებული ვებ-გვერდები ჯერ არ არის წარმოდგენილი, არ არსებობს ზემოსხენებულ ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულებიც;
- » თითქმის არასდროს სახეზე არ არის ინფორმაცია საჯარო დანახებულებათა საკოორდინაციო ან/და სათათბირო ორგანოების შესახებ, მათი არსებობის პირობებში (ორგანოების ჩამონათვალი, მათი ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, ორგანოების სტრუქტურა და შემადგენლობა, სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები და სხდომების ოქმები/საოქმო ჩანაწერები);
- » გარკვეული სახის პრობლემატიკა აღინიშნება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოს საზღვარგარეთ მისიების შესახებ ინფორმაციასთან მიმართებაშიც: მოცემული არ არის ინფორმაცია წარმომადგენლობათა შექმნის შესახებ და მათი ძირითადი საქმიანობის აღწერა, ელჩების საკონტაქტო რეკვიზიტები (სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების)

ტელეფონისა და ფაქსის ნომრები) და საგარეო წარმომადგენლობათა შენობების მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები.

დადაბითი ბენეფიციარი

- » საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ზომიერად არის წარმოდგენილი შემდეგი სახის ინფორმაცია: საჯარო დაწესებულებათა სტრუქტურის სქემატური აღწერა, ზომიერზე ნაკლებად – სტრუქტურის ინფორმაციული აღწერა; ზომიერად ვანყდებით სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულების სრულ ჩამონათვალს; ზომიერზე ნაკლებად არის წარმოდგენილი შემდეგი სახის ინფორმაცია – საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონისა და ცხელი ხაზის ნომრები, ფაქსის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები;
- » საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე საქართველოს საზღვარგარეთ მისიების შესახებ ინფორმაცია მოცემულია შიდა პორტალის სახით, სადაც ზომიერად არის წარმოდგენილი ინფორმაცია საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების შესახებ, საზღვარგარეთ საქართველოს მისიების ჩამონათვალი, მათი საფოსტო და ელექტრონული ფოსტის მისამართები, მათი საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- » სამინისტროების ვებ-გვერდების შემთხვევაში ზომიერად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მათ სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შესახებ (დასახელებათა ჩამონათვალი და ვებ-გვერდებზე გადასასვლელი ბმულები).

დადებითი მაგალითი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (http://moe.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=72) მთავარ გვერდზე გამოყოფილია განყოფილება სათაურად „საზოგადოებრივი საბჭო“, რაც წარმოადგენს მონიტორინგს დაქვემდებარებული საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების ერთადერთ მაგალითს, რომელზედაც მოიძიება სათათბირო ორგანოს წევრების შესახებ დეტალური ინფორმაცია და სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები, თანდართული საოქმო ჩანაწერებით.

@ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (www.mcs.gov.ge)

სტრუქტურა / სამართლებრივი აქტები / პრიორიტეტები

მინისტრი
ნიკოლოზ რურუა

მინისტრის აპარატი
მუდისთან ურთიერთობის სამმართველო
პროტოკოლის სამმართველო
მინისტრის მრჩეველში

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტი

მინისტრის პირველი მოადგილე
დავით ცხადაძე

კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტი
საერთაშორისო პროგრამებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის დეპარტამენტი
საერთაშორისო პროგრამების სამმართველო
ქართული კულტურის პოპულარიზაციის სამმართველო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სტრუქტურული ხე.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს სისტემის სქემატური ნახატი (სტრუქტურული ხე), მოცემულია სტრუქტურის მხოლოდ ტექსტობრივი აღწერა.

@ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (www.economy.ge)

მთავარი | სპორტსკო | ცენტრები | სიბიუბი | გამოხვედლობა | დიოქსი | დესტრუქტები

სამინისტროს მუშაკები | ადმინისტრაცია

ადმინისტრაცია

ვერა ქობალაძე
მინისტრი

დაიბნა 1981 წლის 24 აგვისტო, ქ. სოხუმი

განათლება:
1999 - დასრულა შვედეთის სახელობის საშუალო სკოლა
2004 - დაამთავრა ბრიტანეთის კოლუმბიის ტექნოლოგიური ინსტიტუტი ზონტის მართვისა და საინჟინერო ტექნოლოგიების მიმართულებით
2001 - 2002 - საერთაშორისო უნივერსიტეტი კანადაში (CIBC) უნივერსიტეტის საერთაშორისო სისტემების პროექტი სპეციალისტი თბილისიდან

2004 - 2006 - Global TV, განათობის განვითარების პროფესორი
2007 - 2008 - Business Development მენეჯერი და ეკონომიკის მენეჯერი
2008 - 2010 - ეკონომიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი
2010 წლის ოქტომბერი - დაბრუნდა საქართველოში და სათავეში ჩაუდგა კონსალტინგის ორგანიზაციას - "კოლეჯი საქართველოსთვის", რომელიც ფუნქციონირებს დიდი საკომპანია მუშაკებისთვის
2010 წლის 2 ივლისი - დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად

ვერა ქობალაძე
www.economy.ge
+995 32 99 10 11
+995 32 89 28 66

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი ინფორმაცია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების შესახებ (ტერიტორიული ორგანოების ჩამონათვალი, მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა; ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა; ტერიტორიული ორგანოების საკონტაქტო რეკვიზიტები: ტელეფონისა და ფაქსის ნომრები, საფოსტო მისამართები, ელ.ფოსტის მისამართები).

თავი V

თები, მისაღებების ადგილმდებარეობა და ა.შ.). მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებს წარმოადგენენ შემდეგი სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოები: სამეგრელო-სვანეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმი-იმერეთის და მცხეთა-მთიანეთის.

@ **სამოქალაქო რეესტრის სააგენტო**
(www.cra.gov.ge)

The screenshot shows the website interface for the Civil Registry Agency. At the top, there is a search bar and the agency's name in Georgian. Below the search bar, there is a list of services and a search result for a person named Giorgi Vashadze. The search result includes a photo of Giorgi Vashadze and a photo of a woman, likely his wife, with their respective personal information. The text on the right side of the screenshot reads: "სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სააგენტოს 7 სტრუქტურული ერთეულის შესახებ."

ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ (სტრუქტურული ქვედანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა; სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა; იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელს, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელის საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანამშენებლის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები; სტრუქტურული ქვედანაყოფების საკონტაქტო ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები და ა.შ.); მოქალაქეობისა და მიგრაციის სამმართველო, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველო (შედგება შემდეგი ერთეულებისგან: ინფორმაციის დამუშავებისა და მონაცემთა ხარისხის ანალიზის განყოფილება, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების განყოფილება, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის განყოფილება, მომხმარებელთა მომსახურების განყოფილება), ლოჯისტიკის სამსახური, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, ბუღალტერია, საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური.

■ **თემატური ბლოკი 3** **მონაცემები საჯარო დაწესებულების** **საინფორმაციო რესურსების შესახებ**

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

ზემოსხენებული ბლოკი, გასული წლის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი შესაბამისი ტენდენციის ანალოგიურად, კვლავ რჩება ზოგადად საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდების ერთ-ერთ ყველაზე არასრულ კომპონენტად:

- » ვებ-გვერდებზე იშვიათად არის წარმოდგენილი, ხშირ შემთხვევებში კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრული, საჯარო დაწესებულების მმართველობას სფეროს მიკუთვნებული მონაცემთა ბაზები, რეესტრები და სხვა სახის საინფორმაციო რესურსები და სისტემები;
- » საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების აღწერა და მოხმარების წესები იშვიათად არის წარმოდგენილი ვებ-გვერდებზე;
- » თითქმის არასდროს არ არის წარმოდგენილი საჯარო დაწესებულებაში შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრები;
- » საკმაოდ იშვიათია საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემების ონლაინ მოხმარების საშუალების მაგალითებიც;
- » იშვიათად ვაწყდებით საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებულ შეზღუდული მოხმარების საინფორმაციო სისტემების ჩამონათვალს, მათი აღწერისა და მოხმარების წესებს;
- » არ მოიძიება აგრეთვე საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსებზე წვდომის შესახებ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მოთხოვნათა რეგისტრაციის, მიღების, გადამისამართებისა და განხილვის წესის აღწერა;
- » იშვიათად თუ წავაწყდებით საჯარო დაწესებულების მიერ შემოთავაზებულ საინფორმაციო ხასიათის მომსახურების აღწერასა და მის მიღების წესს.

დადაბითი ტენდენციები

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე, ნორმატიული აქტის ოფიციალურ (იურიდიული ძალის მქონე) გამოქვეყნებად ითვლება მისი სრული ტექსტის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე პირველად გამოქვეყნება, 2011 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა შესაბამისი ვებ-გვერდიც – www.matsne.gov.ge.

დადებითი მაგალითი: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საწარმოთა მართვის სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის განყოფილებაში სათაურად – „საწარმოები“ (<http://ema.gov.ge/content.php?id=94&lang=geo>) მოყვანილია შესაბამის საწარმოთა მონაცემთა ბაზა და მისი ონლაინ მოხმარების საშუალება.

@ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (www.gcci.ge)



საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემები.

ვებ-გვერდს, ფაქტობრივად, არ გააჩნია საჯარო მოხმარების საინფორმაციო სისტემები. სახეზე არ არის პალატის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზები, ბანკები, კადასტრები, რეესტრები და ა.შ.;

■ **თემატური ბლოკი 4** **ცნობები ძირითადი კომპეტენციის სფეროში** **საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ**


ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

- » ვებ-გვერდებზე იშვიათად არის წარმოდგენილი ცნობები საჯარო დაწესებულება-თა ხელმძღვანელების მოადგილეთა ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების და სხვა-დასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ, აგრეთვე მათი გამოსვლებისა და განცხადებების ტექსტები;
- » იშვიათად მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია: საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ მოხსენებები/ანგარიშები (წლიური ანგარიშები), მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათი განვითარების დინამიკას, საჯარო დაწესებულების მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და საჯარო დაწესებულების მიერ მომზადებული პროგნოზები, აგრეთვე საჯარო დაწესებულების მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია;
- » ვებ-გვერდებზე არ მოიძიება საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და საჯარო დაწესებულების შიგნით განხორციელებული შემომ-მებების შესახებ ინფორმაცია;
- » ვებ-გვერდებზე აგრეთვე არ მოიძიება საჯარო დაწესებულებების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული ექსპერტიზების აღწერა და მათი შედეგები;
- » ვებ-გვერდებზე იშვიათად მოიძიება ცნობები საჯარო დაწესებულებების მიერ სხვადასხვა პროექტების რეალიზაციაში მონაწილეობის შესახებ, ისევე როგორც იშვიათია ცნობები, ზოგადად, სახელმწიფო პროგრამების შესახებ. თითქმის არასდროს არ მოიძიება (წლიური) მოხსენებები იმ სახელმწიფო, მიზნობრივი და ა.შ. პროგრამების შესრულების შესახებ, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება; იშვიათია საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მიმდინარე ღონისძიებების, სახელმწიფო პროგრამების/პროექტების შესახებ ცნობების განთავსების მაგალითებიც;
- » არცერთ შემთხვევაში არ მოიძიება საჯარო დაწესებულების ან მის თანამდებობის პირთა მიერ განხორციელებულ მოქმედებათა (მოქმედებათაგან თავის შეკავების) და გადაწყვეტილებათა (ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების) გასაჩივრების შესახებ ცნობები. არ მოიძიება აღნიშნულ მოქმედებათა და გადაწყვეტილებათა ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების ან სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით სარჩელის აღძვრის პროცედურის აღწერა, აგრეთვე არ მოიძიება იმ სასამართლო საქმეთა მიმოხილვა, რომელთა ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო დაწესებულება ან მისი თანამდებობის პირი და იმ სასამართლო გადაწყვეტილებათა ტექსტები, რომლებიც არ იქნა საჯარო დაწესებულების სასარგებლოდ გამოტანილი;
- » არ მოიძიება საჯარო დაწესებულებების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებისა და მათი ლიკვიდაციისაკენ მიმართულ ღონისძიებათა ჩამონათვალი და შესაბამისი შემუშავებული რეკომენდაციები.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის ერთიანი წლიური ანგარიში და სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია; ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება სამინისტროს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა საჯარო დაწესებულებებთან (სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველოების ორგანოებთან, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, პროფესიულ კავშირებთან და სხვა ადგილობრივ ორგანიზაციებთან) ურთიერთქმედების/პარტნიორობის შესახებ ცნობები (ქვე-განყოფილებები – „საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერით და პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულების განთავსებით). არ მოიძიება აგრეთვე სახელმწიფო პროგრამების შესახებ არანაირი ცნობები. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ განყოფილებაში – ახალი ამბები არ მოიძიება არანაირი ცნობები იუსტიციის მინისტრის უკანასკნელი წლის განმავლობაში გაკეთებული განცხადებებისა და მისი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ.

@ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (www.mra.gov.ge)



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია მინისტრის მოადგილეების მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა ღონისძიებებში, ცნობები მათი სამუშაო ვიზიტების შესახებ და მათი განცხადებებისა და გამოსვლების ტექსტები.

ვებ-გვერდზე სიახლეების განყოფილებაში არ მოიძიება ინფორმაცია მინისტრის მოადგილეების მონაწილეობის შესახებ სხვადასხვა ღონისძიებებში, ცნობები მათი სამუშაო ვიზიტების შესახებ და მათი განცხადებებისა და გამოსვლების ტექსტები. ვებ-გვერდზე მოყვანილი განყოფილება „სტატისტიკა“ არ მუშაობს. ვებ-გვერდზე არ მოიძიება (ქვე-განყოფილება „წლიური ანგარიშები“. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად მინისტრი საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს სამინისტროს საქმიანობის ანგარიშს და არც სამინისტროს მიმდინარე საქმიანობის ანგარიში ვებ-გვერდზე არ მოიძიება.



გარემოს ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს მიერ ჩატარებული რომელიმე ექსპერტიზის შესახებ ცნობები. აგრეთვე არ არის მოცემული ინფორმაცია სახელმწიფო პროგრამების, სტატისტიკისა და გეგმების შესახებ.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება მაჩვენებლები სააგენტოს საქმიანობის სფეროების განვითარების დინამიკის შესახებ და სააგენტოს საქმიანობის სფეროებს მიკუთვნებული დარგების განვითარების გეგმების აღწერა. აგრეთვე არ არის მოცემული სახელმწიფო პროგრამების შესახებ ინფორმაცია და სააგენტოს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია. მოქმედი ვანონმდებლობის თანახმად, სააგენტო ახორციელებს გარკვეული სახის საექსპერტო საქმიანობას, მათ შორის წარმოადგენს საექსპერტო დასკვნებს. (მაგ.: მსხვილი სამეურნეო ობიექტების პროექტების კომპლექსური ექსპერტიზა გარემოს შესაძლო ცვლილებებზე მათი ზეგავლენის დასადგენად, ეკოლოგიური ექსპერტიზისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება, ნაპირდამცავ და სხვა ობიექტების პროექტებზე საექსპერტო დასკვნების მომზადება და ა.შ.). სააგენტოს მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ჩატარებული არც ერთი ექსპერტიზის აღწერა და შესაბამისი ექსპერტიზის შედეგები ვებ-გვერდზე არ მოიძიება.

■ **თემატური ბლოკი 5** **სამართლებრივი აქტები და საჯარო** **დანესებულების ნორმატიული დოკუმენტის** **საქმიანობა**

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

წინამდებარე ბლოკი წარმოადგენს საჯარო დანესებულებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მაჩვენებლის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ კომპონენტს.

საჯარო დანესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არ მოიძიება შემდეგი სახის სამართლებრივი აქტების ტექსტები:

- » საჯარო დანესებულებების ზემდგომი ორგანოების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ტექსტები (დებულებები, შინაგანაწესები ან/და სხვა სამართლებრივი აქტები);
- » საჯარო დანესებულებების საკოორდინაციო და სათათბირო ორგანოების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ტექსტები (წევრების რაოდენობა, წევრების დანიშვნის წესის აღწერა, შეკრების პერიოდულობა, ორგანოს ფუნქციების აღწერა, გადაწყვეტილებათა მიღების წესი, ხელმძღვანელის არჩევის წესი, უფლებამოსილების ვადა, ფუნქციათა აღწერა და ა.შ.);
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანესებულების მიერ სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების წესს;
- » იმ პროგრამების დამტკიცების შესახებ სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საჯარო დანესებულება (ერთეული გამონაკლისის გარდა);
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანესებულებაში ტენდერების, კონკურსების, სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესს (ერთეული გამონაკლისის გარდა);
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანესებულებაში ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სახელმწიფო ქონების სხვა სახის პრივატიზების განხორციელების წესს;
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანესებულების თანამშრომელთა ქცევის წესების ნორმებს (ეთიკის კოდექსები);
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანესებულების მიერ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საგანგებო სიტუაციების შესახებ შეტყობინებასა და მათ ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანესებულების მიერ გასაწევ მომსახურებასა და განუული მომსახურებისათვის დანესებული საფასურის შესახებ საკითხებს (ერთეული გამონაკლისის გარდა);
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დანე-

სებულებისადმი მიმართვის ზოგად წესს, მათ შორის ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით;

- » აგრეთვე, საჯარო დაწესებულების საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ან/და საჯარო დაწესებულების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საკანონმდებლო ან/და კანონქვემდებარე აქტების პროექტების ტექსტები და პროექტებზე დართული განმარტებითი ბარათები.

საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე იშვიათად არის განთავსებული შემდეგი სახის სამართლებრივი აქტების ტექსტები:


- » სამინისტროების შემთხვევაში ქვემდგომი ორგანოების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ტექსტები (დებულებები (წესდებები), შინაგანაწესები ან/და სხვა სამართლებრივი აქტები);
- » საჯარო დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფების/ერთეულებისა და ტერიტორიული ორგანოების/ერთეულების ძირითადი ამოცანებისა და კომპეტენციის, საქმიანობის ორგანიზაციის მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები;
- » საქართველოს კონსტიტუციის ტექსტი, საჯარო დაწესებულების საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტების, საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტების, საქართველოს მინისტრის ან/და საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ტექსტები;
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების, ატესტაციის, ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, სასწავლო ანდა სემინარების კურსის გავლის წესს;
- » სამართლებრივი აქტების ტექსტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო დაწესებულების მიერ სარგებლობის უფლების მინიჭების, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის განხორციელების, აღრიცხვა-რეგისტრაციის, ავტორიზაცია-აკრედიტაციის, დეკლარირება-ლეგალიზაციის, თუ სხვა სახის სახელისუფლებო და საჯარო ხასიათის რეგულირებისა და საქმიანობის წესს, რაც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით.

დადაბითი ტანდენცია

საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდებზე ზომიერად არის წარმოდგენილი შემდეგი სახის სამართლებრივი აქტების ტექსტები: საჯარო დაწესებულებების საქმიანობის ორგანიზების მარეგულირებელი მოქმედი სამართლებრივი აქტების ტექსტები, რაც ყველაზე ხშირად წარმოდგენილია შესაბამისი დებულებების (წესდებების) სახით.

დადებითი მაგალითი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად - „კანონმდებლობა“ (http://mof.ge/search_system) მოყვანილია სამართლებრივი აქტების საძიებო სისტემა, რომლის შიგთავსიც მონიტორინგს დაქვემდებარებული სხვა საჯარო დაწესებულებების სამართლებრივი აქტებთან შედარებით ყველაზე უფრო გამოირჩევა სამართლებრივი აქტების სიუხვით.

@ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (www.justice.gov.ge)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ვებ-გვერდს არ გააჩნია სამართლებრივი აქტების ბაზა (განყოფილება – „სამართლებრივი აქტები“)

ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული განყოფილება – „სამართლებრივი აქტები“, ანუ ვებ-გვერდზე, ფაქტობრივად, არ არსებობს უნიფიცირებული სამართლებრივი აქტების ბაზა, რაც განსაკუთრებულ ნაკლს წარმოადგენს სამინისტროს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ვებ-გვერდზე განთავსებული სამინისტროს დებულება მოცემულია ძველი მდგომარეობით, ამასთან სამინისტროს შინაგანაწესი, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო საექვეყნებო დაწესებულებებისა და სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებები, რომლებსაც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი, საერთოდ არ მოიძიება ვებ-გვერდზე. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად იუსტიციის მინისტრი ამტკიცებს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესს და სტაჟირის ანაზღაურების ოდენობას, რის შესახებაც შესაბამისი სამართლებრივი აქტი აგრეთვე არ მოიძიება ვებ-გვერდზე. ზოგადად, სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითადი ამოცანების გათვალისწინებით, იმ მნიშვნელოვან სამართლებრივი აქტების რიგს, რომელიც არ მოიძიება სამინისტროს ვებ-გვერდზე მიეკუთვნებიან:

- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ მინისტრის მოადგილეთა უფლებამოსილებებს;
- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საინფორმაციო რესურსების შექმნასა და მათ მოხმარების წესებს;
- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სამინისტროს სათათბირო ორგანოების – კომისიებისა და საბჭოების საქმიანობის ორგანიზებას;
- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ ელექტრონულ მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ იმ პროგრამების დამტკიცებას, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სამინისტრო;
- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესს, საკონკურსო და საატესტაციო მოთხოვნებს სამინისტროს მოხელეებისადმი;
- სამინისტროს მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს

პრეზიდენტისა და საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები, იუსტიციის მინისტრის ნორმატიული და ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები;

- სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების წესს;
- საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები;
- სამინისტროს მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები (მათ შორის, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონი“ და ა.შ.);
- სამინისტროს მმართველობის სფეროსთან დაკავშირებული და სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების პროექტები;
- შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებები/შეთანხმებები.

@ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (www.notary.ge)

The screenshot shows the website of the Notary Chamber of Georgia. The main content area displays a list of news items, each with a date and a brief description. The sidebar on the right contains a blue box with the following text:

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ნოტარიუსთა ეთიკური კოდექსი.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის მიერ შემუშავებული, საერთო კრების მიერ მონონებული და საქართველოს იუსტიციის მინისტრისათვის დასამტკიცებლად წარდგენილი ნოტარიუსთა ეთიკური კოდექსი.

■ თემატური ბლოკი 6

საჯარო დანახარებების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

წინამდებარე ბლოკი წარმოადგენს საჯარო დანახარებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მაჩვენებლის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ კომპონენტს.

- » საკმაოდ ხშირ შემთხვევებში ვებ-გვერდებზე სახეზე არ არის საჯარო დანახარებების კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს მიკუთვნებული ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან განმარტებით საქმიანობას მიძღვნილი მასალები, წარმოდგენილი სხვადასხვა სახის კონსულტაციების, განმარტებების, საინფორმაციო შეტყობინებების და მისთ. სახით. თითქმის არასდროს არ მოიძიება საჯარო დანახარებებში ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვებიც; ვებ-გვერდებზე არ მოიპოვება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დანახარებებში მიღების წესის აღწერა, აგრეთვე მიღებულ მიმართვათა განხილვის წესისა და ვადების აღწერა;
- » ერთეული გამონაკლისების გარდა, ვებ-გვერდებზე საერთოდ არ მოიძიება ინფორმაცია საჯარო დანახარებების საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ჩვეულებრივ, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობისა (სახელი და გვარი) და თანამდებობის შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია მისი საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ; ვებ-გვერდებზე არ მოიძიება ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან, ხელმისაწვდომობასთან, გაცემასთან, გაცემაზე უარის თქმასთან, გასაიდუმლოებასთან და ინფორმაციის თავისუფლების სხვა საკითხებთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები; არ მოიძიება არც საჯარო დანახარებების მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ რაიმე ცნობები (სასამართლოს გადაწყვეტილებების, განჩინებების, დადგენილებების, ბრძანებების ტექსტები, მათი კანონიერ ძალაში შესვლის შესახებ ცნობები და ა.შ.); არც ერთ შემთხვევაში არ არის მოცემული საჯარო მოსამსახურეთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ინფორმაცია. ვებ-გვერდებზე არ მოიძიება საჯარო დანახარებების მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში ან მისი ნაწილი, ხოლო საჯარო დანახარებებში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია თითქმის არასდროს არ მოიძიება;
- » ვებ-გვერდებზე არ მოიძიება სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების საჯარო დანახარებების მიერ განსაზღვრული წესი;

» სასურველზე ნაკლებად არის წარმოდგენილი საჯარო დაწესებულებების მიერ სარგებლობის უფლების მინიჭების, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის განხორციელების, აღრიცხვა-რეგისტრაციის, ავტორიზაცია-აკრედიტაციის, დეკლარირება-ლეგალიზაციის, თუ სხვა სახის სახელისუფლებო და საჯარო ხასიათის საქმიანობის შესახებ ცნობები. რიგ შემთხვევებში არ მოიძიება ინფორმაცია სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელების ვადებისა და საფასურის შესახებ; იშვიათად არის მოცემული სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელების თაობაზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვის წესის აღწერა (მათ შორის საკონტაქტო ინფორმაცია), სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებასთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულების მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღებისა და მათთან მუშაობის გრაფიკი, აგრეთვე იშვიათად მოიძიება მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის გადახდისათვის განკუთვნილი რეკვიზიტებიც; იშვიათად მოიძიება იმ თანამდებობის პირთა სახელები, გვარები და საკონტაქტო რეკვიზიტები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე, აგრეთვე შესაბამისი განცხადების ფორმები, მათი შევსების ინსტრუქცია და თანდართული დოკუმენტაციის ჩამონათვალი. სახეზე არ არის სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განხორციელებაზე უარის თქმის ან ამ ქმედებათა განხორციელების შეჩერების კრიტერიუმების აღწერაც.

დადაბითი ტანდენცია

ვებ-გვერდებზე საკმაოდ ხშირად არის წარმოდგენილი საჯარო დაწესებულებებისათვის მიმართვის/განცხადების ვებ-გვერდიდან გაგზავნის საშუალებები მიმართვის ელექტრონული ფორმების (ელექტრონული უკუკავშირის ფორმების) სახით, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში სამსუხაროდ არ გააჩნიათ ფაილის მიმაგრების ფუნქცია.

დადებითი მაგალითი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებობს განცალკევებული ქვე-განყოფილება სათაურად „საჯარო ინფორმაცია“ განყოფილებაში „სასარგებლო ინფორმაცია“ (http://justice.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=20), რომლის შიგთავსიც მართალია მცირე ინფორმაციული ხასიათით გამოირჩევა, თუმცა ვებ-გვერდზე საჯარო ინფორმაციის საკითხებთან დაკავშირებული ცალკე განყოფილების არსებობა მისასალმებელია, რაც აგრეთვე იძლევა მისი ინფორმაციული შიგთავსის დახვეწისა და შევსების სამომავლო შესაძლებლობას. ანალოგიური ქვე-განყოფილება მოიძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზეც (http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=29).

@ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (www.mcla.gov.ge)

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, მიმართვათა მიღების წესი, მიმართვათა განხილვის ვადები და წესი. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ არის წარმოდგენილი ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება განცალკევებული განყოფილება, სადაც განერილი იქნებოდა სამინისტროს კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების შესახებ განმარტებითი ინფორმაცია: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, მიმართვათა მიღების წესი, მიმართვათა განხილვის ვადები და წესი. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება მითითება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობასა (სახელი და გვარი) და თანამდებობაზე, მისი საკონტაქტო რეკვიზიტები (სამუშაო ელ.ფოსტა, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები); არ მოიძიება ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები; სამინისტროს მიერ საჯარო ინფორმაციის უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები, სამინისტროში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, სამინისტროს თანამშრომლების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ ინფორმაცია, საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარსადგენი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური სრული ანგარიში.

@ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (www.police.ge)

ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამართალდარღვევათა შესახებ (უფლებათა დარღვევის, შემთხვევათა და მისთ. შესახებ) განცხადებათა მიღების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესი. ამასთან, მართალია ვებ-გვერდზე არსებობს სამინისტროს-

ვის მიმართვის/განცხადების ვებ-გვერდიდან გაგზავნის საშუალება („მიმართვის ელ.ფორმა“), თუმცა მიმართვის ინტერაქტიული ელ.ფორმის ადრესატი შეზღუდულია საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სამმართველოთი, რაც საკითხთან მიმართებაში დანიტერესებულ პირებს უზღუდავს ინტერესის სფეროს არეალს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამართალდარღვევათა შესახებ განცხადებათა მიღების წესი, ხოლო მიმართვის ელ. ფორმის ადრესატი შეზღუდულია საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი სამმართველოთი

@ სატყეო სააგენტო (www.forestry.gov.ge)

სატყეო სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სატყეო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად მომსახურების საფასური არის: „ხე-ტყის დამზადების ბილეთისა და ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთის გაცემისათვის, სალიცენზიო ობიექტის მომზადებისა და ტყის ფონდის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ დოკუმენტაციის მომზადებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი, სააგენტოსთვის სავალდებულოდ გადასახდელი თანხა.“ ამავე კანონის თანახმად, სააგენტოს უფლებამოსილებებს მიეკუთვნება ხე-ტყის დამზადების ბილეთის გაცემა, ტყის რესურსით სარგებლობის ბილეთის გაცემა, სალიცენზიო ობიექტის მომზადება, ტყის ფონდის სარგებლობის უფლებით გაცემა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ა.შ. როგორც ირკვევა, სატყეო სააგენტო ახორციელებს საჯარო ხასიათის საქმიანობას (სარგებლობის უფლების მინიჭება, სალიცენზიო/სანებართვო საქმიანობა), რის შესახებაც არანაირი ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ მოიპოვება (მაგ., ზემოხსენებულ საქმიანობასთან მიმართებით: იმ პირთა კატეგორიის აღწერა, რომელიც უფლებამოსილია მიმართოს სააგენტოს, ქმედებათა განხორციელების ვადებისა და კონკრეტული საფასურის შესახებ ინფორმაცია, სარგებლობის მინიჭებაზე მიმართვის წესის აღწერა და უარის თქმის კრიტერიუმები, შესაბამისი საკონტაქტო ინფორმაცია და ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან მუშაობის გრაფიკი და ა.შ.):

■ თემატური ბლოკი 7

საჯარო დანახებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

წინამდებარე ბლოკი წარმოადგენს საჯარო დანახებულებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მაჩვენებლის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ კომპონენტს

- » მართალია ვებ-გვერდების უმრავლესობაზე არსებობს განყოფილებები სათაურად „ტენდერები“, თუმცა უმეტეს შემთხვევებში მათი შიგთავსი ძალიან მწირია და რიგ შემთხვევებში ცარიელიც. არც ერთ შემთხვევაში არ მოიძიება შეკვეთების განთავსების შესახებ ინფორმაციის მომცველ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელი ბმული და საჯარო დანახებულებასა და მის სისტემაში შემავალ დანახებულებებში ვაჭრობათა ჩატარების გეგმა. საჯარო დანახებულებათა ოფიციალურ ვებ-გვერდებზე არ არის წარმოდგენილი არანაირი ცნობები სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ;
- » ვებ-გვერდებზე არ მოიძიება საჯარო დანახებულებასა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე საჯარო დანახებულებასა და სხვა საჯარო დანახებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქოსამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და შესაბამისი პირობები.


დადაბითი ტენდენციები

მოცემული ბლოკის მიხედვით სამწუხაროდ რაიმე სახის დადებითი ტენდენციები ჯერჯერობით არ შეიმჩნევა.

დადებითი მაგალითი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე მოცემულია განყოფილება სათაურად „ტენდერები“ (<http://mof.ge/Archive/42/1.2011/>), სადაც წლებისა და თვეების მიხედვით მოცემულია მეტ-ნაკლებად ვრცელი ინფორმაცია ტენდერების შესახებ.

უარყოფითი ტენდენციების ილუსტრირებული მაგალითები:

@ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (www.mrdi.gov.ge)



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ცენტრალური აპარატის მიერ გამოცხადებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე არსებული განყოფილება „ტენდერები“ შემოიფარგლება სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეყნებო დაწესებულების – საავტომობილო გზების დეპარტამენტის, სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისა და საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ვებ-გვერდებზე არსებული ტენდერების განყოფილებაზე გადასასვლელი ბმულებით. თვით სამინისტროს (ცენტრალური აპარატის) მიერ გამოცხადებულ/განხორციელებული ტენდერების შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე არ მოიძიება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ინფორმაცია სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაციაც.

@ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (www.mdf.ge)



მუნიციპალური განვითარების ფონდის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია ფონდის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ფონდი (ფონდის აღმასრულებელი დი-

რექტორი ფონდის სახელით) დებს ხელშეკრულებებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ორმხრივ/მრავალმხრივ დონორებთან; დებს ფონდის მიერ დაფინანსებული ინვესტიციების ან ტექნიკური დახმარების პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებულ სასესიო და/ან საგრანტო ხელშეკრულებებს, აფორმებს სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, მათ შორის სამუშაოების, საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ კონტრაქტებს; კონტრაქტების საფუძველზე ქირაობს სათანადო კონსულტანტებს კონკრეტული დროებითი სამუშაოს შესასრულებლად და ა.შ. ვებ-გვერდზე არ მოიპოვება არანაირი ინფორმაცია ფონდის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების შესახებ, არ არსებობს შესაბამისი ქვე-განყოფილება („ხელშეკრულებები“), სადაც განთავსდება ხელშეკრულებები, შესაბამისი პირობებით.

■ თემატური ბლოკი 8 საჯარო დანახებულების საკადრო უზრუნველყოფა

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

წინამდებარე ბლოკი წარმოადგენს საჯარო დანახებულებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მაჩვენებლის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ კომპონენტს

- » მართალია უმეტესობა ვებ-გვერდებზე არსებობს განყოფილებები სათაურად „ვაკანსიები“, თუმცა უმეტეს შემთხვევებში მათი ინფორმაციული შიგთავსი შემოიფარგლება უახლეს ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ ცნობებით, რა ცნობებიც აღნიშნულ თანამდებობათა დაკავების შემდგომ საჯარო დანახებულებების ვებ-გვერდებზე აღარ მოიძიება, ანუ არ მოიძიება გამოცხადებული ვაკანსიების არქივი, რის გამოც ხშირად ვებ-გვერდებზე არსებული განყოფილება „ვაკანსია“ ცარიელია და შემოიფარგლება ფრაზით – „ამჟამად ვაკანსიები არ არის“, რაც ნამდვილად არ აკმაყოფილებს შესაბამის ინტერესს. აგრეთვე არის შემთხვევები, როდესაც ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ ცნობები თავს იჩენს მხოლოდ განყოფილებაში – „ახალი ამბები“ ან „სიახლეები“;
- » ინფორმაცია ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალის (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), სამსახურში თანამდებობაზე მიღების წესის, კანდიდატთა მიერ თანამდებობაზე მისაღებად განცხადებით მიმართვისა და საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის შესახებ ან საერთოდ არ მოიძიება ვებ-გვერდებზე ან კიდევ, თან ერთვის ვაკანტურ თანამდებობათა შესახებ ცნობებს, რა ინფორმაციაც, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის დაკავების შემდგომ უბრალოდ აღარ მოიძიება ვებ-გვერდების შესაბამის განყოფილებებში;
- » ვებ-გვერდებზე ძალიან იშვიათად ვაწყდებით საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგებს. ამასთან, იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ვებ-გვერდებზე სახეზე მაინც არის ზემოხსენებული შედეგები, არც ერთ შემთხვევაში არ არის მცირედი მითითებაც კი საჯარო დანახებულების მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების (გამოქვეყნების) საფუძვლებზე (სამართლებრივი აქტის პირობა, თანხმობის მიღება და ა.შ.);
- » ვებ-გვერდებზე არ მოიძიება საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი აღმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა.


დადაებითი ტენდენციები

მოცემული ბლოკის მიხედვით სამწუხაროდ მნიშვნელოვანი დადებითი ხასიათის ტენდენციები ჯერჯერობით არ შეიმჩნევა.

დადებითი მაგალითი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განყოფილებაში „სასარგებლო ინფორმაცია“, ქვე-განყოფილებაში სათაურად – „ვაკანსიები“ (http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=31), მოცემულია მეტ-ნაკლებად ვრცელი ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ (მათ შორის ვაკანსიების მცირე არქივიც).

უპროფიტი ტანდენციების ილუსტრირებული მაგალითები:

@ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (www.mra.gov.ge)



ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მუშაობს ქვე-განყოფილება – „კონკურსები და ვაკანსიები“.

არ მუშაობს ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილება „კონკურსები და ვაკანსიები“. ამასთან, მოცემული ქვე-განყოფილება ვებ-გვერდზე განთავსებულია ალოგიკურ განყოფილებაში – „მედია“. ვებ-გვერდზე არ მოიძიება: სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა ჩამონათვალი, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, კანდიდატთა მიერ განცხადებით მიმართვის წესი, სამინისტროში სამსახურში თანამდებობაზე მიღების წესი, სამინისტროში თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის შედეგები, კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა.

■ **თემატური ბლოკი 9** **საჯარო დანახებულების დაფინანსება და** **ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

წინამდებარე ბლოკი წარმოადგენს საჯარო დანახებულებების ვებ-გვერდების ინფორმაციული გამჭვირვალობის მაჩვენებლის ყველა კომპონენტს შორის ყველაზე სუსტ კომპონენტს. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ IDFI-ს მიერ შარშან განხორციელებული კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციის ანალოგიურად, წელსაც ინფორმაცია საჯარო დანახებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მათ დაფინანსებასა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ, უმეტეს შემთხვევაში გაუხსნელი რჩება.

- » იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ვებ-გვერდებზე არსებობს განყოფილება „ბიუჯეტი“ ან როდესაც შესაბამისი განყოფილების ინფორმაციული შიგთავსი არ არის ცარიელი, უმეტესწილად სახეზეა ინფორმაცია საჯარო დანახებულებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ. ხსენებული ინფორმაცია, მართალია ფასეულია, თუმცა საჯარო დანახებულებების მხრიდან ვებ-გვერდებზე ფინანსური ინფორმაციის ღიაობისაკენ მიმართულ რაიმე სახის განსაკუთრებულ ძალისხმევას ნამდვილად არ წარმოადგენს, ვინაიდან ხსენებული ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია, როგორც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდის შესაბამის ქვე-განყოფილებაში (“ბიუჯეტის მიმოხილვა წლების მიხედვით” – <http://mof.ge/4069>), აგრეთვე პირველწყაროდანაც – „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე აქტის მე-5 თავში (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები);
- » როდესაც საუბარია საჯარო დანახებულებების ვებ-გვერდებზე ფინანსური ინფორმაციის ღიაობაზე, უპირველეს ყოვლისა იგულისხმება საჯარო დანახებულების ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ინფორმაცია. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო დანახებულებები ძალიან ხშირად წარმოადგენენ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, სწორედაც რომ ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების მხრიდან ყველაზე დიდი ინტერესის საგანს. ერთეული, ზედაპირული ინფორმაციის მაგალითების გარდა, საჯარო დანახებულებების ვებ-გვერდებზე მოცემული ინფორმაცია არ არის განთავსებული;
- » ზემოთქმული ინფორმაცია წარმოადგენს ყოველწლიურად ცვალებად მაჩვენებლების ერთობლიობას, სამწუხაროდ, ვებ-გვერდებზე აგრეთვე არ არის მოცემული საჯარო დანახებულებების ყოველწლიური ბიუჯეტის არქივები.

დადაბითი ტენდენციები


მოცემული ბლოკის მიხედვით დადებითი ხასიათის ტენდენციები არ შეიმჩნევა.

დადებითი მაგალითი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განყოფილებაში „ჩვენს შესახებ“, ქვე-განყოფილებაში სათაურად – „ბიუჯეტი“ (http://nbe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=166), მოცემულია როგორც სააგენტოსათვის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ, ასევე შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ინფორმაცია. სამწუხაროდ, მიუხედავად ვებ-გვერ-

დღე განსათავსებელი ფინანსური მაჩვენებლების შესახებ ინფორმაციის სწორი სისტემატიზაციისა, თვით მოცემული ინფორმაცია მწირია და საკმაოდ ზედაპირული.

უარყოფითი ტენდენციების ილუსტრირებული მაგალითები

@ საქართველოს ბანკთა და მეცნიერების სამინისტრო (www.mes.gov.ge)



განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია

ვებ-გვერდზე არ მოიძიება სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის (ბიუჯეტის შესრულების ბალანსი) შესახებ ინფორმაცია. ამასთან, სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს არა მხოლოდ უკანასკნელი მდგომარეობით, არამედ გასული წლების ყოველწლიური მაჩვენებლების სახითაც.

@ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
(www.moa.gov.ge)




სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნებებისა და მათი ხარჯვის შესახებ ინფორმაციის მაგივრად მოცემულია მხარჯავი დაწესებულების განაცხადი ორგანიზაციულ ჭრილში 2009 წლის მდგომარეობით.

ვებ-გვერდზე განთავსებულია მოძველებული მონაცემები სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ (მხარჯავი დაწესებულების განაცხადი ორგანიზაციულ ჭრილში 2009 წლის მდგომარეობით), ამასთან, შემოსენებული ინფორმაცია არ წარმოადგენს არც სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების და არც ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის (ბიუჯეტის შესრულების ბალანსი) შესახებ ინფორმაციას. სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ ვებ-გვერდზე განსათავსებელი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს არა მხოლოდ უკანასკნელი მდგომარეობით, არამედ გასული წლების ყოველწლიური მაჩვენებლების სახითაც.

თავი V

მართალია ვებ-გვერდის რუკა ფორმალურად არსებობს (რუკის აღმნიშვნელი გამოსახულება), თუმცა რეალურად იგი არ მუშაობს. ვებ-გვერდზე არ მოიძიება განყოფილებებისა და რუბრიკების ანბანური ცნობარი და ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის მიხედვით ძიების ფუნქცია.

@ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (<http://saagento.security.gov.ge>)



შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდს არ გააჩნია ძიების ფუნქცია. ვებ-გვერდზე აგრეთვე, არ არის მოცემული ჩამოსატვირთი ფაილების ფორმატისა და ზომების აღნიშვნა.

ვებ-გვერდზე არ მუშაობს საძიებო სისტემა, ანუ ვებ-გვერდს არ გააჩნია არც მარტივი და არც დეტალური/გაფართოებული ძიების ფუნქცია. ვებ-გვერდიდან ჩამოსატვირთ ფაილებს არ გააჩნიათ ფორმატზე და ზომებზე მითითება. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ვებ-გვერდის რუკა, განყოფილებებისა და რუბრიკების ანბანური ცნობარი და ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების მონაცემთა ბაზის მიხედვით ძიების ფუნქცია.

■ **თემატური ბლოკი 11** **დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები**

ზოგადი ტენდენციები

უარყოფითი ტენდენციები

- » ვებ-გვერდებზე არ მოიძიება მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ქვითრების ინტერაქტიული ფორმები (ფორმების შევსების და ამობეჭვლის შესაძლებლობა პირდაპირ ვებ-გვერდიდან), აგრეთვე სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად მიმართვის ფორმის შევსების და ამობეჭვლის საშუალება პირდაპირ ვებ-გვერდიდან. არ არსებობს მომხმარებლის მიერ მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ქვითრის ბლანკის ტექნიკურ საშუალებებზე გადმოტვირთვის და სანებართვო და სხვა სახის სახელისუფლებო ქმედებათა განსახორციელებლად მიმართვის ფორმის შენახვის შესაძლებლობა მომხმარებლის ტექნიკურ საშუალებებზე იმ ფორმატში, რომელიც საშუალებას აძლევს მომხმარებელს დამოუკიდებლად შეავსოს და ამობეჭდოს ზემოხსენებული ფორმები;
- » ვებ-გვერდებისათვის ზოგადად უცხოა მიმართვის იმ სახის ინტერაქტიული ფორმის არსებობა, რომელიც გულისხმობს უშუალოდ საჯარო დაწესებულების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან განცხადებების შევსებასა და გაგზავნას;
- » საკმაოდ იშვიათად ვაწყდებით საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე რუბრიკებს „კითხვა-პასუხი“ ან „ხშირად დასმული შეკითხვები“;
- » თითქმის არასდროს სახეზე არ არის საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე მათ კომპეტენციის ფარგლებში გამოყენებად ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონები, აგრეთვე მომხმარებელთან ონლაინ ინტერაქტიულ რეჟიმში კონტაქტის დამყარების შესაძლებლობა (Skype, Facebook სხვა სახის ჩატი და ა.შ.);
- » საკმაოდ იშვიათია საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდებიდან ახალი ამბების გამოწერის საშუალება და მიმართვის ფორმების გასასხნელად საჭირო პროგრამების გადმოტვირთვის საშუალება ინსტალაციის მიზნით;
- » საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე თითქმის არ არსებობს საზოგადოებრივი აზრის დაფიქსირების საშუალებები: სხვადასხვა სახის ფორუმები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები, ვებ-დღიურები (ბლოგები) და ა.შ.;
- » საჯარო დაწესებულებებისათვის აგრეთვე უცხოა თავიანთ ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ვებ-ადმინისტრატორისა და ვებ-გვერდის ფუნქციონირებასა და ინფორმაციულ განახლებადობაზე თვალყურის დევნაზე პასუხისმგებელი პირების/შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ელ. ფოსტის მისამართების განთავსება დაინტერესებულ პირთა მხრიდან ტექნიკური ხასიათის შენიშვნების მისაწოდებლად.

დადაებითი ტენდენციები

ვებ-გვერდებზე საკმაოდ ხშირად მოიძიება საჯარო დაწესებულების საქმიანობის თემატიკის შესაბამისი სიახლეთა ლენტები და ვებ-გვერდების ძირითადი განყოფილებების უცხოენოვანი ვარიანტები; ხშირ შემთხვევებში არსებობს ვებ-გვერდებზე არსებული ინფორმაციის განახლებადობაზე თვალყურის მიდევნების საშუალებაც. სახეზეა აგრეთვე საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების დაყოფა მიზნობრივი ჯგუფების ინტერესების მიხედვით და მათი

რეგისტრაცია ისეთ ძირითად საძიებო სისტემებში, როგორებიცაა Google და Yahoo. ზოგადად, ონლაინ სერვისები საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საჯარო რეესტრის ეროვნულ და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოების მაგალითებზე. ამავე სამინისტროს სისტემაში შენარჩუნებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე არსებობს ონლაინ რეჟიმში სამართლებრივი კონსულტაციის განცხადების მიზნით სკაიპის მისამართების ჩამონათვალი, ხოლო ვებ-გვერდის განყოფილება სათაურად „ონლაინ მომსახურება“ იუნყება, რომ 2010 წლის 20 იანვრიდან საქართველოშიც და მსოფლიოშიც პირველად სანოტარო მოქმედება ონლაინ რეჟიმში, ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით შესრულდება.

დადებითი მაგალითი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „სხვადასხვა“ (<http://mof.ge/tools>) მოყვანილია სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოყენებად ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი და აგრეთვე, უცხოენოვანი ტერმინები. ამავე სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „საგადასახადო-საბაჟო“, ქვე-განყოფილებაში „მიიღე ინფორმაცია“ მოცემულია ვრცელი თემატური კითხვა-პასუხის განყოფილება (<http://mof.ge/3977>).

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობაში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის ოფიციალურ ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე (http://www.spd.ge/portal/alias_SPD/tabid_2135/default.aspx) არსებობს მომსახურებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში ელექტრონული განაცხადის შევსების საშუალება და დაცვის პოლიციის facebook-ის ოფიციალურ მისამართზე გადასასვლელი ბმული.

ზარყოფითი ტენდენციების ილუსტრირებული მაგალითები

@ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (www.mfa.gov.ge)



საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება კითხვა-პასუხის რუბრიკა, ფორუმი, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, და ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონი. აგრეთვე შეუძლებელია ვებ-გვერდიდან ახალი ამბების გამონერგავ.

ვებ-გვერდზე არ მოიძიება რუბრიკა „კითხვა-პასუხი“ ან „ხშირად დასმული შეკითხვები“. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ფორუმი, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში გამოყენებად ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი. არ არსებობს მომხმარებელთან ონლაინ ინტერაქტიული რეჟიმში კონტაქტის დამყარების და ვებ-გვერდიდან ახალი ამბების გამონერგვის საშუალებებიც.

თავი V

@ საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (www.gnims.caucasus.net)




საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდზე არ არსებობს ერთიანი განყოფილება – „სიახლეები“, შეუძლებელია ახალი ამბების გამოწერა. არ მუშაობს ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია და მრავალი სხვა (ქვე)-განყოფილება.


ვებ-გვერდზე არ არსებობს განცალკევებული განყოფილება – „სიახლეები“. ამასთან, უკანასკნელი ცნობა დათარიღებულია 2010 წლის 01 ივლისით. განყოფილება სათაურად – „შეკითხვა-პასუხი (FAQ)“ და ვებ-გვერდის ინგლისურენოვანი ვერსია არ მუშაობს. შეუძლებელია ვებ-გვერდიდან ახალი ამბების გამოწერა. განყოფილებები – „ბიზნესის მხარდაჭერა“, „ინფორმაცია მომხმარებლებისათვის“, „შესაბამისობის შეფასება“, „პუბლიკაციები“ და „ჩვენი მომსახურება“ არ მუშაობს. ვებ-გვერდზე განთავსებული ერთადერთი დაუთარიღებელი გვერდის თანახმად („უახლოეს მომავალში დაგეგმილი ღონისძიებების ჩამონათვალი“) ერთ-ერთ დაგეგმილ ღონისძიებას წარმოადგენს: „სააგენტოს ვებ-გვერდის განახლების სამუშაოები მომხმარებლისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების და გამარტივების მიზნით“, რა ღონისძიებაც, ვებ-გვერდზე არსებული მრავალი ხარვეზის ფონზე, ნამდვილად არ შესრულებულა.

№	საჯარო დაწესებულებები/ სამინისტროები	ონლაინ გამჭვირვალობის ინდექსი
1	აღსრულების ეროვნული ბიურო (www.nbe.gov.ge)	36.76
2	ფინანსთა სამინისტრო (www.mof.gov.ge)	31.80
3	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო (www.moe.gov.ge)	31.16
4	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (www.mes.gov.ge)	30.68
5	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (www.napr.gov.ge)	30.18
6	სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (www.cra.gov.ge)	29.32
7	საგარეო საქმეთა სამინისტრო (www.mfa.gov.ge)	28.26
8	სოციალური მომსახურების სააგენტო (www.ssa.gov.ge)	28.12
9	თავდაცვის სამინისტრო (www.mod.gov.ge)	26.51
10	შინაგან საქმეთა სამინისტრო (www.police.ge)	25.88
11	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო (www.economy.gov.ge)	24.59
12	დაცული ტერიტორიების სააგენტო (www.dpa.gov.ge)	24.57
13	საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (www.mdf.ge)	24.57
14	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (www.moh.gov.ge)	24.48
15	განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (www.mra.gov.ge)	24.31
16	ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი (www.ncac.ge)	22.67
17	იურიდიული დახმარების სამსახური (www.legalaid.ge)	22.60
18	ენერჯეტიკის სამინისტრო (www.minenergy.gov.ge)	22.35
19	არასპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (www.probation.ge)	22.23
20	საგანმანათლებლო დასაშენიერო ინფრასტრუქტურის ცენტრი (www.esida.ge)	22.17
21	იუსტიციის სამინისტრო (www.justice.gov.ge)	21.76
22	საქართველოს ნოტარიუსთა პალატა (www.notary.ge)	20.91
23	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (www.tpd.c.gov.ge)	20.76
24	სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო (www.mcla.gov.ge)	20.70
25	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (www.nea.ge)	20.38
26	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი (www.pptc.gov.ge)	20.36
27	ჯანმრთელობის დაზღვევის მედიაციის სამსახური (www.him.ge)	20.20
28	საქართველოს ეროვნული არქივი (www.archives.gov.ge)	20.03
29	შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (www.rustaveli.org.ge)	19.90
30	გამოცდების ეროვნული ცენტრი (www.naec.ge)	19.44
31	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (www.mrdi.gov.ge)	19.09
32	გარემოს ეროვნული სააგენტო (www.nea.gov.ge)	18.13
33	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (www.mcs.gov.ge)	17.18
34	სოფლის მეურნეობის სამინისტრო (www.moa.gov.ge)	16.49
35	შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია (www.policeacademy.ge)	16.47
36	ეფექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მონყობის რეფორმის ცენტრი (www.cegstar.ge)	16.42
37	დაცვის პოლიცია (www.spd.ge)	15.89
38	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო(www.seragency.gov.ge)	15.58
39	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (www.spa.gov.ge)	14.86
40	საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატა (www.gcci.ge)	12.71
41	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო(www.saagento.security.gov.ge)	12.33
42	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (www.ncdc.ge)	12.33
43	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო აკადემია (www.mofacademy.ge)	10.68
44	საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი (www.tcj.gov.ge)	9.49
45	სატყეო სააგენტო (www.forestry.gov.ge)	9.11
46	ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი(www.atipfund.gov.ge)	8.72
47	ტურიზმის ეროვნული სააგენტო (www.dotr.gov.ge)	8.10
48	საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო (www.gnims.caucasus.net)	6.85


საჯარო დაწესებულებათა ვებ-გვერდების გამჭვირვალობის ხარისხი საქართველოში




საქართველოს სამინისტროების ვებ-გვერდების გამჭვირვალობის ხარისხი



ვებ-გვერდების გამჭვირვალობის ხარისხი საქართველოს სამინისტროების მმართველობის სფეროების მიხედვით (სამინისტროები და მათ სისტემაში შეშვავალი სსიპ-ები)



საქართველოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა ვებ-გვერდების გამჭვირვალობის ხარისხი



დასკვნის სახით

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ მიერ 2010 წელს ჩატარებული საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების ანალიზი/მონიტორინგი, მიმართული იყო საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-რესურსების ინფორმაციული შიგთავსის გამჭვირვალობისა და მათი მომხმარებელზე ორიენტირებულობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოსავლენად. კვლევის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფო ოფიციალური ვებ-სივრცის საერთო სურათისა და განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენა-აღწერა.

ჩატარებული კვლევის შედეგად აშკარად დადასტურდა, რომ საქართველოს ოფიციალური ინტერნეტ სივრცის გამჭვირვალობა, IDFI-ის ექსპერტთა შეფასებით, კვლავ არ ემთხვევა საზოგადოების ძირითად ინტერესებსა და მოთხოვნებს. ისეთი ინფორმაცია, როგორცაა საჯარო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგება და ელექტრონული ფორმით ანგარიშვალდებულება, ინფორმაცია სახელმწიფო და სტრუქტურული პროგრამების/პროექტების შემუშავების, მიმდინარეობის და შედეგების შესახებ ფაქტობრივად არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული ორგანოების ვებ-გვერდებზე, არასრულად და ზედპირულად არის წარმოდგენილი მნიშვნელოვანი შინაარსისა და საჯარო დატვირთვის მონაცემები: კომპეტენციის სფეროს განვითარების სრული მაჩვენებლები, სტატისტიკური ინფორმაცია, ფინანსური მონაცემები და სხვა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დაწესებულებები კვლავ არ იყენებენ ინტერნეტს, როგორც მოქალაქეებთან, მედიასთან და ბიზნეს სექტორთან ინტერაქტიული ურთიერთობის ეფექტურ მექანიზმს. ამავე დროს ელექტრონული მმართველობის საერთაშორისო ტენდენციების ანალიზმა ცხადყო, რომ მოსახლეობის ელ-ჩართულობა ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტულ პრინციპად არის მიჩნეული თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესისთვის. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ საჯარო დაწესებულებები იშვიათი გამოწვევის გარდა (მაგ. გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო) ყველაზე ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საკუთარი ვებ-გვერდების ვებ 2.0 კონცეფციის შესაბამისობაში მოყვანას.

შესაბამისად საჯარო დაწესებულებათა უმეტესობა კვლავ არ აღიქვამს ვებ-გვერდებს, როგორც საკუთარ საქმიანობაზე ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელების, საზოგადოებრივი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ეფექტურ საშუალებას, მოქალაქეებისა და ორგანიზაციებისთვის სახელმწიფო საინფორმაციო რესურსების მოხმარების ხელმისაწვდომ პლატფორმას.

საუნებაროა, ის ფაქტიც, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოს პოლიტიკური ისტემლიმენტის მხრიდან ოფიციალური ვებ-სივრცე არ აღიქმება, როგორც მოსახლეობასთან ურთიერთკომუნიკაციის გაუმჯობესების საშუალება. არ შეიმჩნევა ტენდენცია, რომ ვებ-რესურსები გახდეს მოსახლეობასთან ინტერაქტიული ურთიერთობის ხელმისაწვდომი საშუალება, გადანაცვლებების მიღების პროცესში საზოგადოების აქტიური ნაწილის ჩართვის ხელშეწყობი ატრიბუტი, რაც მთლიანობაში საჯარო მმართველობის ახალი ფორმის - მთავრობა 2.0 მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს. მეტიც, მონიტორინგის შედეგებმა დაადასტურეს, რომ რიგი გამოწვევების გარდა, თანამედროვე ინტერნეტ მმართველობის ოთხივე ძირითადი კომპონენტი (საჯარო მონაცემები, მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფა, ელექტრონული სერვისები, საზოგადოების ჩართულობა) სუსტად არის წარმოდგენილი საჯარო დაწესებულებების ოფიციალურ ვებ-გვერდებზე. მიუხედავად ელექტრონული მომსახურების სფეროს განვითარებაში არსებული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, მაინც ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ლოკალურ ხასიათს ატარებს და ძირითადად ორი საჯარო დაწესებულების (ფინანსთა სამინისტ-

ტრო და იუსტიციის სამინისტრო) კომპეტენციის სფეროში ვითარდება. შესაბამისად ამ მიმართულებით განხორციელებული ცალკეული ნაბიჯები ამკარა პროგრესად ვერ ჩაითვლება.

რაც მთავარია, ელექტრონული მომსახურების დანერგვა, არ ნიშნავს ელექტრონული გამჭვირვალობის პრინციპების დამკვიდრებას და ამისთვის ჩვენის აზრით, საჭიროა მთავრობის ნება, მკვეთრად გამოხატული პოზიცია, სახელმწიფოს მიერ გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შექმნა, და უპირველს ყოვლისა, შესაბამისი სამართლებრივი რეგულირება.

იმისთვის, რომ სახელმწიფო ორგანოების ოფიციალურ ვებ-გვერდებს ჰქონდეთ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლები, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ოთხ ძირითად კრიტერიუმს:

- ვებ-გვერდების ინფორმაციული შიგთავსის/კონტენტის საყოველთაოდ მიღებული ტექნიკური მაჩვენებლები, მათ შორის „ღია მონაცემების“ გამოქვეყნების ტექნიკური მახასიათებლები;
- ფიზიკური და იურიდიული პირების კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დამყოფილება ოფიციალური ვებ-გვერდებიდან საჯარო ინფორმაციის მიღების გზით;
- ვებ-გვერდის შინაარსის შესატყვისობა საკანონმდებლო ნორმებთან, რომლებიც არეგულირებენ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ;
- სახელმწიფო ორგანოების ერთიან მიდგომას ოფიციალური ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსისა და სტრუქტურული წყობის მიმართ.

სამწუხაროდ, ოფიციალური ვებ-გვერდების მონიტორინგმა დაადასტურა, რომ ყველა გამოკვეთულ ვებ-გვერდზე არსებობს ხარვეზები ოთხივე ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით. ამავე დროს, IDFI-ი მიიჩნევს, რომ საქართველოს ოფიციალური ვებ-სივრცის გაუმჯობესება რამდენიმე ძირითად ეტაპად უნდა განხორციელდეს;

პირველი ეტაპი - საჯარო დანესებულებების ოფიციალური ვებ-გვერდების ინფორმაციული და ტექნიკური შიგთავსის სტანდარტიზირება საკანონმდებლო დონეზე. ოფიციალური ვებ-გვერდების სტრუქტურის/აგებულების, ვებ-გვერდებზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და საჯარო მონაცემების აუცილებელი ჩამონათვალის, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებისა და განთავსებული მონაცემების ტექნიკური მახასიათებლების იმპერატიულად განსაზღვრული ჩარჩო, შესაბამისობაში მოყვანილი უპირველს ყოვლისა საქართველოს კონსტიტუციასა და ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის III თავთან (ინფორმაციის თავისუფლება), ისევე როგორც საქართველოს სხვა მოქმედ სამართლებრივ აქტებთან, ხელს შეუწყობს საქართველოს საჯარო დანესებულებების ვებ-რესურსების პროგრესულ განვითარებას და ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების გაღრმავებას.

მეორე ეტაპი - საჯარო დანესებულებების ვებ-გვერდების გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესება. კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ელექტრონული რეჟიმის დამკვიდრება ხელს შეუწყობს საჯარო მოსამსახურეთა და საზოგადოებას შორის ნდობის ახალი სტანდარტის დაფუძნებას; განავითარებს საჯარო დანესებულებების მიმდინარე საქმიანობის საზოგადოებრივ გამჭვირვალობას და ამ უწყებების ანგარიშვალდებულებას; ელექტრონული ღიაობის პრინციპი გაზრდის ოფიციალური ვებ-რესურსების მომხმარებელთა რიცხვს და დაარწმუნებს საზოგადოებას ვებ-გვერდების საინფორმაციო/ელექტრონული სერვისების ეფექტურობაში, მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიუროკრატიულ პროცედურებს და გააჯანსაღებს ზოგად დემოკრატიულ ფონს ქვეყანაში;

მესამე ეტაპი - ელექტრონული მომსახურების ინსტიტუციონალური დამკვიდრება საჯარო სექტორის ყველა დონეზე. საჯარო დაწესებულებების ვებ-რესურსებზე ელექტრონული სერვისების განვითარება, მოქალაქეებსა და მთავრობას შორის ელექტრონული კომუნიკაციის მექანიზმების ხელშეწყობა, მომგებიანია არა მარტო ფინანსური დანახარჯების შემცირებისა და უკეთესი ადმინისტრირების კუთხით, არამედ ინფორმაციული, მაღალ ტექნოლოგიებზე დამკვიდრებული საზოგადოების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მომსახურების ელექტრონული ფორმატზე გადასვლა თავის მხრივ ხელს უწყობს ოფიციალურ ვებ-გვერდებზე ინტერნეტ მომხარებელთა დიდი აუდიტორიის მოზიდვას და რაც მთავარია ამკვიდრებს საზოგადოებაში ელექტრონული კომუნიკაციის კულტურას;

მეოთხე ეტაპი - ელექტრონული ჩართულობისა და ელექტრონული თანამონაწილეობის განვითარებით ციფრული დემოკრატიის საფუძვლების დანერგვა. ვებ-გვერდების გადაქცევა საჯარო დისკუსიების, აზრებისა და იდეების ურთიერთგაცვლის უნივერსალურ პლატფორმად, მოსახლეობის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებების კორექტირება, საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების ელექტრონული ფორმატი, პროექტებისა და პროგრამების საზოგადოებრივი ექსპერტიზა ძალიან მნიშვნელოვანია ელექტრონული დემოკრატიის ინსტიტუციონალური დამკვიდრებისთვის საქართველოში.

ზემოთაღნიშნული ეტაპების განხორციელება შემუშავებული და ფორმირებული სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში უნდა ვითარდებოდეს. ამავე დროს, პარალელურ რეჟიმში, ხელისუფლებამ უნდა იზრუნოს საქართველოში შესაბამისი სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და მოსახლეობის ფართო ფენებში თანამედროვე ტექნოლოგიური უნარ-ჩვევების დამკვიდრებაზე, რათა მთელს საზოგადოებას ჰქონდეს ელექტრონული სიახლეებისადმი და ინოვაციებისადმი წვდომის საშუალება.

სამწუხაროდ, დღესდღეობით, საქართველოს საჯარო დაწესებულებების ვებ-რესურსები არ აკმაყოფილებს ჩვენს მიერ წარმოდგენილ ელემენტარულ ტექნიკურ და საინფორმაციო მოთხოვნებს. ელექტრონული მომსახურების, როგორც ცალკე აღებული სფეროს განვითარება, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული თანამედროვე ელემენტარული ძირითადი პრინციპების სრულფასოვან ალტერნატივად, რადგანაც ელექტრონული მმართველობა საკმაოდ კომპლექსური მექანიზმია. მეორეს მხრივ, საქართველოს ხელისუფლება თავადვე ცდილობს შექმნას მოთხოვნილება ამ სფეროში. დეკლარირების და შესყიდვების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამ დაადასტურა საზოგადოების მზაობა არ ჩამორჩეს თანამედროვე ტექნიკურ მიღწევებს და აითვისოს კომუნიკაციის ელექტრონული ფორმატი (ამას კერძოდ ადასტურებს ფინანსთა სამინისტროს მომხმარებელთა რიცხვის ზრდის დინამიკაც). IDFI-ის მიერ ჩატარებული კვლევა სწორედ არსებული პრობლემეტიკის გამოვლენისკენ იყო მიმართული. ამავე დროს “ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი” კვლავაც აპირებს გააგრძელოს თავისი საქმიანობა და საჯარო დაწესებულებების ოფიციალური ვებ-რესურსების მონიტორინგს პერმანენტული სახე მისცეს. ინსტიტუტი გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს საჯარო დაწესებულებებთან ოფიციალურ ინტერნეტ სივრცეში გამჭვირვალობისა და უკეთესი მმართველობის პრინციპების დამკვიდრებისათვის.

**„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“
(IDFI) არის არასამთავრობო ორგანიზაცია.**

ინსტიტუტის პრიორიტეტს წარმოადგენს კანონით ნებადართული ნებისმიერი ღონისძიების და საქმიანობის განხორციელება, რომელიც დაკავშირებულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხელშეწყობასა და მისი ხარისხის ამაღლებასთან, ასევე სახელმწიფო ვებ-რესურსების განვითარებით ხელისუფლების ღიაობისა და გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან, დოკუმენტების ხელმისაწვდომობის და არქივების გახსნილობის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობასთან.

საკონტაქტო ინფორმაცია:
ა.მაჭავარიანის (არაგვის) ქუჩა №4
საქართველო, თბილისი. 0179.
ტელ: + 99532 996364
ელ ფოსტა: info@idfi.ge
ვებ-მისამართი: www.idfi.ge

**ღია საზოგადოების ინსტიტუტი
(Open Society Institute)**



**ეროვნული უსაფრთხოების არქივი
(The National Security Archive)**



ISBN 978-9941-0-3203-5



9 789941 032035